

ალექსანდრე გვენცაძე



ზოგადი სტილისტიკა

საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს მიერ
დამტკიცებულია დამხმარე სახელმძღვანელოდ
პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებისათვის

საგვ-2000
ფეიქვაულია

გამომცემლობა „განათლება“
თბილისი-1991

416 +4999621-6

812-7

3456



ქსეილისცვა
2) ჩახაყი ენის სეილისცვა


ენისა და ლიტერატურის სწავლება მკიდრიდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული. ტექსტის ენის ყოველმხრივი ანალიზი დიდად უწყობს ხელს ნაწარმოების შინაარსის, იდეურ-მხატვრული ღირსების გაგება-ათვისებას. ენობრივი ანალიზი პირველ რიგში გულისხმობს გრამატიკული და ლექსიკური მხარის გარკვევას. ცხადია, ვერ აუუვლით გვერდს განსაკუთრებულ სტილისტიკურ შესაძლებლობასაც. როგორც მასწავლებელს, ასევე მოსწავლეს ენის ამ მხარეში მუშაობისათვის უნდა ჰქონდეს სათანადო სახელმძღვანელო. ეს წიგნი ასეთ დანიშნულებას ემსახურება.

რედაქტორი პროფ. ა. ლ. ლ. ლ. ო. ნ. ტ. ო.
რეცენზენტები: პროფ. ლ. კ. ვ. ა. ჯ. ა. ძ. ე.
პროფ. ნ. კ. ო. ტ. ი. ნ. ო. ვ. ო.

K 249339
3

Г 4602000000-084 206-91
M-602(08)-91

ISBN 5-505-00950-6



© ალ. ჰვეციანიძე, 1991



ადამიანთა საზოგადოება ენის (მეტყველების) გარეშე წარმოადგინებულია. ადამიანისათვის ენა არის ძალ-ლონე, ბასრი იარაღი, თანამემწე, რათა არა მარტო ენობრივი ურთიერთობა დაამყაროს სხვა ადამიანთან (ადამიანებთან), არამედ გაიაზროს, გარკვეულ შემეცნებითს წესრიგში მოაქციოს საგნები და მოვლენები, დააგროვოს ცოდნა მათ შესახებ და ამ ცოდნის წყალობით უშუალოდ ჩაერიოს განვითარების პროცესში, რათა სათანადო მიმართულება მისცეს თავის საქმიანობას.

ენა (მეტყველება) რომ არ ჰქონდეს საზოგადოებას, მისი წევრების აღზრდა და ადამიანად ჩამოყალიბება შეუძლებელი იქნებოდა. ენა თაობის ზრუნვით შექმნილი განძია, რომელიც საზოგადოებასთან ერთად უწყვეტ ნაკადად აგრძელებს სამომხმარებლო ფუნქციას. „ენა არსებობს მხოლოდ საზოგადოებაში და მხოლოდ საზოგადოების წყალობით; ენის ბედი დაკავშირებულია საზოგადოების ბედთან“¹.

ადამიანი როდესაც მეტყველებს, მოქცეულია ენობრივი კანონების სფეროში, ამავე დროს ხიძულებულია დაიცვას წესები, რომლებიც ტრადიციულად არის შემუშავებულ-ჩამოყალიბებული. მიუხედავად ამისა, მეტყველი არ არის შეზღუდული, რომ მიზნობრივად, სწორად, სათქმელის შესაბამისად შეარჩიოს და მოხმაროს ენობრივი საშუალებები. ადამიანმა მეტყველების სტრუქტურული წესების გვერდით „შიაგნო“ და გამოიყენა დამატებითი შესაძლებლობები არა მარტო ენობრივი ურთიერთობისათვის, არამედ იმისათვის, რომ ენა, როგორც იარაღი, ყოფილიყო უფრო ენერგიული, ქმედითი და მოხერხებული ყოველგვარი აზრისა და გრძნობის გამოსახატავად.²

სიტყვა „ცეცხლი“ მეტყველებაში არსებობს ბუნების გარკვეული მოვლენის აღსანიშნავად, ეს არის ამ სიტყვის ძირითადი მნიშვნელობა, მაგრამ ზოგჯერ მას იყენებენ სხვადასხვა ვითარების გამოსახატავად: მგზნებარება, სიხარული, დარდი, უბედურება და სხვა. ეს არის სიტყვის მეორადი, დამატებითი ფუნქცია, ანუ გადატანითი მნიშვნელობით გამოიყენება. მეტყველებაში შეიქმნა სხვადასხვა სახის განსაკუთრებული შესაძლებლობები, რომლებსაც შეისწავლის ენათმეცნიერების ცალკე დარგი — სტილიზტიკა.

გარდა სიტყვათა გადატანითი მნიშვნელობით მოხმარებისა (ტროპიზაციისა), მეტყველებაში არსებობს სხვა სახეობების განსაკუთრებული შესაძლებლობებიც: მაგ; სინონიმია, გამეორებები, მოდალური საშუალებები, სტილიზაცია და სხვა.

1. არნ. ჩიქობავა. ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952 წ., გვ. 14.

2. გ. რამიშვილი. ენის ენერგეტიკული თეორიის საფუძვლები, თბ., 1979 წ., გვ. 199.



ადამიანებს უხსოვარი დროიდანვე აინტერესებდათ ენის რაობა, მეტყველების მექანიზმი, სხვადასხვა ენათა არსებობის საფუძველი და სხვა. ისინი ძალზე მარტივად წყვეტდნენ საკითხებს: ენა და მასთან დაკავშირებული ყველა მოვლენა მიაჩნდათ ღმერთის ნაბოძებ სიკეთედ. შრომის საშუალებების გაუმჯობესება, საზოგადოების ცხოვრების საურთიერთო ფორმების განუწყვეტელი ცვლილებები იწვევდნენ ადამიანთა აზროვნებისა და საგან-მოვლენებზე შეხედულებათა ცვლილებებსაც. ისტორიამ შემოინახა უდავო ფაქტები, რომ სხვა ხალხებთან ერთად ძველმა ბერძნებმა განსაკუთრებით გაითქვეს სახელი აზროვნების ასპარეზზე. გაჩნდა მოთხოვნილება, აეხსნათ, თუ რას წარმოადგენს საგანი და მოვლენა. ეს უკვე ფილოსოფიური აზროვნების დასაწყისია, სიბრძნის, გონიერების უფრო მაღალი საფეხურია (სიტყვა ფილოსოფია: ფილო — სიყვარული, სოფია — სიბრძნე).

ფილოსოფოსები (მოაზროვნენი, მაშინდელი მეცნიერები) სწავლობდნენ რა საგნებსა და მოვლენებს, გვერდს ვერ აუვლიდნენ იმ სინამდვილეს, რომ საგანთან და მოვლენასთან ერთად არსებობდა მათი სახელიც, ანუ **სიტყვა**.

ამან ახალი საზრუნავი გაუჩინა ფილოსოფოსებს: რა არის სიტყვა? რა საფუძველზე დაერქვა საგანსა და მოვლენას სახელი? და სხვა. შემუშავდა სხვადასხვა თვალსაზრისი იმის შესახებ, თუ რა მიმართება არსებობს საგან-მოვლენებსა და მათ სახელებს შორის. რაც უკვე ნიშნავს ენის საკითხებით დაინტერესებას, მაგრამ ყოველივე ეს განიხილებოდა ფილოსოფიის სფეროში, ვინაიდან **ენათმეცნიერება**, როგორც მოძღვრება ენის შესახებ, ჯერ კიდევ ცალკე დარგად არ არსებობდა.

ყოველი ხალხის ცხოვრებაში განსაკუთრებული მოვლენა იყო **დამწერლობის** შემოღება. ამის შემდეგ უფრო ხელსაყრელი პირობები შეიქმნა ენაზე დაკვირვებისათვის. პირველ რიგში, თვალში საცემი იყო ის ფაქტი, რომ ნაწერის ტექსტის ენა უცვლელი რჩებოდა, მაგრამ ზეპირ მეტყველებაში რიგ ცვლილებებს ჰქონდა ადგილი.

გამოჩენილ მოაზროვნეთა ნაწერებში გაჩნდა ცნობები ენის სტრუქტურული მოვლენების ირგვლივ, რომ: ზოგი სიტყვა საგნის, სახელია, ზოგი გამოხატავს მოქმედებას ან მდგომარეობას, აგრეთვე მეტყველებაში არის სიტყვები სხვაგვარი დანიშნულებითაც. ყოველივე ამის შესაბამისად შემუშავდა შეხედულება ე. წ. **მეტყველების ნაწილებზე**, ანუ სიტყვათა ჯგუფებად დაყოფის პრინციპზე. ფილოსოფოსებს არ გამოჩენიათ სიტყვათა ფორმების ცვლის წესების არსებობა, ფონეტიკური მოვლენების

3. შ. ძიძიგური, საენათმეცნიერო საუბრები, 1975 წ. გვ. 101.



ფაქტები; და, საერთოდ, აღსანიშნავია, რომ შეიქმნა უკეთესად თქმის დამახასიათებელი ნიშნები, რომ მეტყველება უნდა იყოს: სწორი, ძლიერი, სათქმელთან შესაბამისი და ლამაზი. ეს უკვე ნიშნავს „მეტყველების სტრუქტურის“ საკითხებით დაინტერესებას და ენაზე მოძღვრების უფრო მაღალი საფეხურია.

ასეთმა მდგომარეობამ მოამზადა ნიადაგი, რომ ცალკე დარგად ჩამოყალიბებულიყო ენის შემსწავლელი მეცნიერება. ძველი წელთაღრიცხვის მეორე-პირველი საუკუნეების საზღვარზე უკვე მოგვეპოვება ბერძნული ენის ნორმატიული გრამატიკა, რომლის ავტორად ითვლება დიონისე თრაკიელი.

მართალია, ძველი წელთაღრიცხვის მეოთხე საუკუნეში, ინდოელებს შეუქმნიათ ინდური ენის გრამატიკა, მაგრამ ინდური გრამატიკა არ გავრცელებულა სხვა ხალხებში; ბერძნული ნორმატიული გრამატიკა კი საფუძველი გახდა ენის შესახებ აზროვნების დამოუკიდებელ, ცალკე დარგად გამოყოფისა და ითვლება ლინგვისტიკის, ანუ ენათმეცნიერების სათავედ.

ბერძნულმა ნორმატიულმა გრამატიკამ თავისი ზეგავლენა განავრცო სხვა ენებზე გრამატიკების შექმნისათვის, — პირველ რიგში კი ლათინური ენის გრამატიკის სასკოლო კურსის შექმნისათვის, აქედანვე მომდინარეობს ფრანგული, გერმანული, რუსული, სომხური, ქართული და სხვა ენების გრამატიკები.

ენათმეცნიერების ისტორიკოსები რატომღაც გვერდს უვლიან საყურადღებო მოვლენას, რომელსაც ადგილი ჰქონდა საბერძნეთში ძველი წელთაღრიცხვის მეხუთე საუკუნის ნახევრიდან მაინც; ამ დროს საზოგადოება კლასებად არის დაყოფილი. უკვე არსებობს პრივილეგიური კლასების სახელმწიფო ორგანოები: ადმინისტრაცია, სასამართლო, მხედრიონი, სკოლები და სხვა. დიდი ბრძოლები წარმოებდა სახელმწიფო ორგანოებში ხელმძღვანელი პოსტების დასაკავებლად. გარკვეული მნიშვნელობა ენიჭებოდა მასების მხარდაჭერას. დაინტერესებული პირები ყოველგვარი საშუალებით ცდილობდნენ მათ მიმხრობას. ზემოქმედების ერთ-ერთ ძლიერ იარაღად ითვლებოდა — ენა: ვისაც შეეძლო, რომ უკეთესად ეთქვა, შთამბეჭდავად გამოეთქვა აზრი, ეთქვა ლამაზად — ახერხებდა დემოსის (მასის) გადაბირებას, მიმხრობას.

ასეთი პრაქტიკული მიზანდასახულებისათვის მაშინდელ სკოლებში საგანგებოდ ასწავლიდნენ მჭევრმეტყველების წესებს. ეს სკოლები ეკუთვნოდათ ე. წ. „სოფისტებს“, ანუ „სიბრძნის“ მასწავლებლებს. ასწავლიდნენ არა მარტო მჭევრმეტყველების წესებს, არამედ ყოველმხრივ ამზადებდნენ ადამიანს პოლიტიკური მოღვაწეობისათვის. თუ ასეთი პიროვნება დაჯილდოებული იყო ორატორის ნიჭით, დაუფლებული იყო ძლიერად და ლამაზად თქმის ხელოვნებას, სასურველ შედეგს აღწევდა.



ასეთმა ვითარებამ გააცხოველა განსაკუთრებული მისწრაფებები მკვებ-
რმეტყველებისადმი. ჩამოყალიბდა ცოდნის დარგი, რომელსაც ეწოდებო-
და **რიტორიკა**, ანუ მოძღვრება საორატორო სიტყვის ოსტატობაზე. სა-
ორატორო სიტყვა პროზაული ჟანრის შემოქმედების ნიმუშია. ამიტომ,
საერთოდ, „რიტორიკა“ სწავლობდა პროზაული ნაწამოებების აგების
წესებს. მაგრამ, ძველმა ბერძნებმა, თვალსაჩინოდ განავითარეს, აგრეთვე,
პოეტური შემოქმედებაც, ე. ი. ლექსად თქმული ხელოვნება, რომლის წე-
სების შესასწავლად შეიქმნა ცალკე დარგი, რომელსაც ეწოდა **პოეტიკა**.

როგორც „რიტორიკის“, ასევე „პოეტიკის“ სახელმძღვანელოებში გან-
საკუთრებული ყურადღება ექცეოდა ენის (მეტყველების) საკითხებს. შე-
მუშავდა მოძღვრება მეტყველების დამატებით, განსაკუთრებულ შესაძ-
ლებლობებზე, ანუ სტილისტიკურ კატეგორიებზე. იმდენად დიდი გატა-
ცება იყო ამ სფეროში, რომ შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას: ჯერ კი-
დეც ანტიკურ საბერძნეთსა და რომში დასრულებული შეხედულება შე-
მუშავდა სტილისტიკურ ერთეულებზე.

წარმოდგენა რომ ვიქონიოთ მეტყველების განსაკუთრებულ შესაძ-
ლებლობებზე, ე. ი. დამატებით საშუალებებზე, მოვიყვანო ერთ მაგა-
ლითს: იაკობ ხუცესის (ცურტაველის) „შუშანიკის წამებაში“ არის შემ-
დეგი წინადადება: „შემდგომად ორისა დლისა მოვიდა მგელი იგი ტაძ-
რად.“ როგორც ჩანს, ვარსკენი წასული ყოფილა და მოსულა ორი დლის
შემდეგ, როცა შუშანიკმა დატოვა ოჯახი და ეკლესიას შეაფარა თავი. ნა-
წარმოების ავტორი თავიდანვე მტრულად არის განწყობილი ვარსკენისა-
დმი და ახლაც არ მოიხსენიებს მას თავისი ნამდვილი სახელით, ე. ი. ჩვე-
ულებრივი სიტყვით. ხუცესმა ეს პიროვნება გაუტოლა მგელს და ამით
გვაგარძნობინებს მისდამი უარყოფით დამოკიდებულებას. ამრიგად, მწე-
რალმა სიტყვა „მგელს“ შეუცვალა ჩვეულებრივი, პირველადი, პირდაპირი
მნიშვნელობა და დააკისრა მას ახალი, მეორადი, არაპირდაპირი
მნიშვნელობა. ჩვეულებრივი მნიშვნელობით „მგელი“ აღნიშნავს მხეცს
ხოლო გადატანითი, დამატებითი მნიშვნელობით აღნიშნავს შუშანიკის
მეუღლეს. მეტყველების ასეთ ხერხს ეწოდება მეტაფორა.

მეტაფორა არის სტილისტიკური კატეგორია. მეტყველების განსაკუთ-
რებული შესაძლებლობები, ანუ სტილისტიკური კატეგორიები მრავალ-
ფეროვანია, ცხადია, არსებობს სრული საფუძველი, რათა გამოიყოს ლინ-
გვისტიკის ცალკე დარგი, რომელიც სტილისტიკის სახელწოდებით აღი-
ნიშნება.

როგორც ჩანს, სტილისტიკის საკითხებიც ენათმეცნიერების ობიექტთა
წრეს მიეკუთვნება. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ნორმატიულ გრამატიკაზე
უფრო ადრე შექმნილა მოძღვრება ენის განსაკუთრებულ შესაძლებლო-
ბებზე, ანუ სტილისტიკურ კატეგორიებზე. მაგრამ ძალიან დიდხანს სტი-
ლისტიკის პრობლემები ადგილს იკავებდა „პოეტიკებსა“ და „რიტორი-



კებში". სახელმძღვანელომა ბერძენმა ფილოსოფოსმა არისტოტელემ დაუ-
ტოვა როგორც „პოეტიკა“, ასევე „რიტორიკა“ (ორივე თარგმნილია ქარ-
თულ ენაზე).

მოხდა ისე, რომ „რიტორიკამ“ თანდათან დათმო თავისი პოზიციები
და საკითხებმა „პოეტიკაში“, ანუ ლიტერატურისმცოდნეობის კურსში
გადაინაცვლა. მაგრამ მეოცე საუკუნის მეორე მეოთხედიდან ისევ გაცხო-
ველდა ინტერესი ენათმეცნიერების სტილისტიკისადმი და დღეს გარკვე-
ული სინამდვილის წინაშე ვართ, სტილისტიკა ცალკე დარგად ყალიბდე-
ბა და, ამასთან ერთად, სათანადო კურსით მისი სწავლება შემოღებულია,
როგორც საშუალო სასწავლებლებში, ასევე უნივერსიტეტისა და ინსტი-
ტუტების ფილოლოგიის სპეციალობებზე.

სტილი

სტილი პირველადი მნიშვნელობით აღნიშნავდა ლითონის ან ძვლის პატარა ჭოხს. ასეთ ჭოხს იყენებდნენ საწერ იარაღად. წერა სრულდებოდა ასეთი წესით: გასუფთავებული ფიცრის დაფას გადააკრავდნენ ცვილს (თაფლის სანთელს). ამრიგად, შეიქმნებოდა რბილი ზედაპირი. შემდეგ სტილის საშუალებით (სტილს ერთი თავი წამახვილებული ჰქონდა) ჩაიტვიფრებოდა ასოები ან ნახატი. ასეთ მასალას ის უპირატესობა ჰქონდა, რომ შეიძლებოდა მისი ხელახლა გამოყენება. საამისოდ სტილის მეორე თავით (რომელიც უფრო ფართო იყო) ამოტკეპნიდნენ ცვილზე არსებულ ნაწერს ან სურათს და ისევ შეიძლებოდა მასზე ახალი ტექსტის ჩატყვია, პაპირუსი და სხვა) ეს საშუალება უფრო მოხერხებული და ხელსაყრელიც იყო. წერის ასეთი საშუალება თვალსაჩინოდ თავისებური იყო. ეს იყო სტილით ნაწერი. ამასთან ერთად და ამასთან დაკავშირებით სიტყვა „სტილი“ ერთგვარად ამაინც, აღნიშნავდა ენობრივი საშუალებების თავისებურებასაც. შემდეგ „სტილის“ პირველადი მნიშვნელობა, რომ იგი პატარა ჭოხს აღნიშნავდა, თანდათან იცვლება და იძენს ახალ მნიშვნელობას: „სტილით“ გამოიხატებოდა ყოველგვარი და ყველაფრის თავისებურება. როგორც ჩანს, სიტყვა „სტილს“ თან დაჰყვა და შეინარჩუნა განსაკუთრებულის, თავისებურის აღნიშვნა. ამიტომ არის, რომ სიტყვა „სტილი“ იხმარება სხვადასხვა დარგში. სადაც შესაძლებელია ჩვეულებრივისა და განსაკუთრებულის დაპირისპირება, იქ შესაძლებელია საგნის ან მოვლენის სტილზე საუბარი. სადმე რომ რამდენიმე (ათეული, ასეული...) ნაგებობა სავსებით ერთნაირი იყოს, — ეს ჩაითვლება ჩვეულებრივად; მაგრამ ერთი სახლიც რომ გამოერიოს რაიმე განსაკუთრებული ნიშნით, ჩვეულებრივისაგან მკვეთრად განსხვავებული, უფლებამვაქვს, ვთქვათ, რომ ეს სახლი განსაკუთრებული სტილის ნიმუშია. ამის შესაბამისად აღნიშნავენ ნაგებობათა სტილს. ჩვეულებრივისა და განსაკუთრებულის დაპირისპირება ყველა სფეროშია შესაძლებელი, ამიტომ არსებობს: ტანსაცმლის სტილი, ვარცხნილობის სტილი, ყოფაქცევითი სტილი... და სხვა.⁴

4. О. С. Ахманова, Словарь лингвистических терминов, М., 1966



თუ საგანსა და მოვლენას ახასიათებს განსაკუთრებული ნიშანი და ამით ის უპირისპირდება ჩვეულებრივს, მხოლოდ მაშინ შეიძლება სტილი-ზე საუბარი. სტილი არის ერთი რიგის საგნებისა და მოვლენების შეპირისპირება ჩვეულებრივისა და განსაკუთრებულის თვალსაზრისით.

რა თქმა უნდა, ენაშიც (მეტყველებაშიც) ასეთივე მდგომარეობაა: ნათქვამი ან ჩვეულებრივი საშუალებებით არის გამოხატული, ან განსაკუთრებული შესაძლებლობაა მოხმარებული. ეს განსაკუთრებული არის სტილური ნიშანი, როგორც დამატებითი შესაძლებლობა.⁵

ხალხურ „არსენას ლექსში“ ერთი ადგილი ასე იკითხება:
 „გაჯავრებული არსენა
 პირიდანა ყრიდა ცეცხლსა“

ამ გალექსილ სტრიქონებში სიტყვა „ცეცხლს“ გამოცლილი აქვს ჩვეულებრივი მნიშვნელობა: პირიდან ცეცხლის გამოყრა წარმოდგენილია. როგორც ჩანს, ამ სიტყვას შეუცვლია პირველადი, ძირითადი, პირდაპირი მნიშვნელობა და აღნიშნავს ახალს. ეს მეორადი მნიშვნელობა „ცეცხლისა“ არის რისხვა, წყრომა, გაბრაზება. ამრიგად, აქ სიტყვა „ცეცხლი“ მოხმარებულია განსაკუთრებული დანიშნულებით. ეს იმას ნიშნავს, რომ მეტაფორულად გამოყენებული „ცეცხლი“ სტილური ნიშანია, ე. ი. დამატებითი შესაძლებლობები მეტყველებაში სხვადასხვა ხასიათისაა. აღმნიშნავს ვერასოდეს ვერ აუვლის გვერდს მათ. პირიქით, საჭიროა მათი გამოვლინება, შესწავლა, კვალიფიკაცია და დახასიათება ფუნქციონირების თვალსაზრისით.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ არის ენათმეცნიერების სტილისტიკის საგანსა და ამოცანებზე ერთნაირი და შეთანხმებული თვალსაზრისი. ვხედებით ერთმანეთის საწინააღმდეგო მოსაზრებებს.

დავასკვნით: სტილისტიკა ჩამოყალიბდა ენის (მეტყველების) სტილის შესწავლის საფუძველზე, სტილისტიკის ობიექტია მეტყველებაში არსებული განსაკუთრებული (დამატებითი) შესაძლებლობები, ანუ სტილისტიკური კატეგორიები. მეტყველების სტილისტიკა ლინგვისტიკის ერთ-ერთი დარგია.⁶

ენის (მეტყველების) სტილი ძალზე მრავალფეროვანი სფეროა. საჭირო არის ყველა თავისებურების გამოვლენა, აღწერა, ფუნქციონირების ასპარეზის დადგენა, ყოველი სტილური ერთეულის დახასიათება და შეფასება. საამისოდ მოწოდებულია ზოგადი სტილისტიკა, როგორც თეორიული კურსი.

ეს წიგნიც, თავისი ხასიათით, ზოგადი სტილისტიკის ამოცანების შესაბამისად არის აგებული.

5. გ. ნებეირიძე, ენათმეცნიერების შესავლის საკითხები, 1972 წ. გვ. 266.
 6. А. И. Ефимов, О Языке художественных произведений, М., 1954, тш. 174

ზოგადი სტილისტიკა

სტილისტიკის კურსში ცალკე გამოიყოფა „ზოგადი სტილისტიკა“, როგორც მისი თეორიული ნაწილი. „ზოგადმა სტილისტიკამ“ უნდა განსაზღვროს ენათმეცნიერების სტილისტიკის ადგილი საენათმეცნიერო დარგებს შორის, საერთოდ, ფილოლოგიურ საგნებს შორის; უნდა დაადგინოს ლინგვისტიკის საგანი და ამოცანები; უნდა შექმნას მოძღვრება სტილისტიკურ კატეგორიებზე; განსაზღვროს სტილისტიკის სწავლების მეთოდიკა, სტილისტიკის პროგრამისა და სახელმძღვანელოს აგების პრინციპები და სხვა.

ყოველივე ამის დადგენა და დასაბუთება აუცილებელია, რათა სტილისტიკის კურსის ცოდნა მოხმარებულ იქნას პრაქტიკული მუშაობის სფეროში. ამიტომ არის, რომ ენათმეცნიერების სტილისტიკა ცალკე ნაწილად გამოიყოფს ფუნქციურ, ანუ პრაქტიკულ სტილისტიკას.⁷

ფუნქციური სტილისტიკა (პრაქტიკული სტილისტიკა)

ფუნქციური სტილისტიკა საგნის პრაქტიკული ნაწილია. ფუნქციური სტილისტიკის ამოცანაა, ნებისმიერ ტექსტში, ე.ი. მეტყველების გარკვეულ მონაცემში, დაძებნოს ენის განსაკუთრებული შესაძლებლობების არსებობა, დაადგინოს მათი ხასიათი და მისცეს მათ შესაბამისი სახელი, გარკვიოს სტილისტიკური კატეგორიის ფუნქციონირების როლი და სხვა.⁸

ფუნქციური სტილისტიკა ყველა ენარის (სახეობის) ენას იყენებს. საანალიზოდ. აღმოჩნდება, რომ მეცნიერების ენის ტიპი უპირატესად მოიხმარს ისეთ სტილისტიკურ კატეგორიებს, როგორიც არის ტერმინები, ანუ ცნებების გამომხატველი სიტყვები ან გამოთქმები; ხოლო სიტყვიერი ხელოვნების ძეგლის ენაში უპირატესად გამოყენებულია ტროპები, ანუ სიტყვა-გამოთქმის გადატანითი მნიშვნელობები, გამეორებები, ანუ ფიგურები, მოდალური საშუალებები და სხვა.

ფუნქციური სტილისტიკის საანალიზო ობიექტი შეიძლება იყოს ყველა სახეობის ნაწარმოების ენის ტიპი; მაგ., ილია ჭავჭავაძის პოემა „განდევნილი“, ნიკოლოზ მუსხელიშვილის რომელიმე მათემატიკური ნაშრომი და სხვა. ფუნქციურმა სტილისტიკამ ზოგჯერ შეიძლება შესწავლის ობიექტად გაიხადოს ერთი ავტორის ყველა ნაწარმოების ენა, მაგალითად,

7 გ. შალამბერიძე, რ. გაბუნავა, ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა, 1974 წ.
8. Ш. Балли, Французская стилистика, М., 1961, გვ. 32.



ა. ს. პუშკინის ენის სტილი; ზოგჯერ შეიძლება შესწავლის ობიექტი გახდეს რომელიმე მიმდინარეობის ენის სტილის თავისებურებანი, მაგალითად, ფუნქციური ენის სტილის თავისებურებანი; ფუნქციური სტილისტიკა შესწავლის ობიექტად ჩვეულებრივად მიიჩნევა ცალკეული ნაწარმოების ენის სტილს, მაგალითად, აკაკი წერეთლის „გამზრდელის“ ენის სტილი და სხვა. შეიძლება ფუნქციურმა სტილისტიკამ შეისწავლოს ერთი რომელიმე სინტაქსური კატეგორიის ფუნქციონირება ცალკე ნაწარმოებში: ეპითეტის ადგილი ილია ჭავჭავაძის „განდევლის“ ენაში, ან ეპითეტის ადგილი მწერლის მთელი შემოქმედების ენაში და სხვა.

როგორც ჩანს, ფუნქციური სტილისტიკის ასპარეზი ძალზე ფართო და მრავალფეროვანია.⁹

სტილისტიკური კატეგორიების საჭიროებისათვის

როგორც აღნიშნული გვაქვს, სტილისტიკური კატეგორიები (განსაკუთრებული შესაძლებლობები, სტილური ერთეულები) მეტყველებაში დამატებითი საშუალებებია. ასეთი საშუალებები რომ არ იყოს, მაინც მოხერხდებოდა აზრებისა და გრძობების გადმოცემა... საამისოდ ენას მოეპოვება ჩვეულებრივი საშუალებები, როგორც ძირითადი საშუალებები. მაგრამ დამატებითი საშუალებების საჭიროება მეტყველებაში გამოიწვია თვით ენის ამალღებულმა დანიშნულებამ, მეტყველების „ჟანდოსურმა“ მეგობრობამ მის მომხმარებელთან. ყველას შეუძლია ხელის თითის განსაკუთრებული მოძრაობით მოიხმოს სხვა ვინმე; მაგრამ სულ სხვა ვითარებაა, როდესაც ვეუბნებით ადამიანებს: მოდი, მოდი, მობრძანდით; ჭამე, მიირთვი, ინებეთ, ისიამოვნეთ და სხვა. ყოველგვარ დამატებითს საშუალებას მეტყველების ფაქტში თავისი გამართლება აქვს. როდესაც ავთანდილი და ფრიდონი გალავნის შიგნით შევიდნენ, ნახეს, რომ ტარიელი უფრო ადრე შესულიყო და გაეთავისუფლებინა ნესტანი. აქ ყველაფერი ნათელია, გადმოცემულია მეტყველების ჩვეულებრივი საშუალებით. მგოსანმა გვერდი აუარა ასეთ შესაძლებლობებს და აირჩია სხვაგვარად თქმის წესი:

ნახეს მზისა შესაყრელად გამოეშვა მთვარე გველსა.

თითქოს ნათელი ჩაგველვარა სულში, რამდენი რამის დანახვა შეიძლება ამ სტრიქონებში! — „მზე“ აღნიშნავს ტარიელს; მთვარე-ნესტან-დარეჟანს; გველი ქაჭეთის ციხეს. პოეტმა არა მარტო გამოხატა აზრი, არამედ დაგვაწაფა სახეებით გადმოცემულ ესთეტიკურ სიმაღლეს.

დავაკვირდეთ გალაკტიონ ტაბიძის ცნობილი ლექსის სტრიქონებს:

9. А. Н. Василева, Курс лекции по стилистике русского языка, 1978., გვ. 21



მგოსანმა ამ განსაკუთრებული ხერხით (გამეორებით) მეტი სიდიადე მიანიჭა ბრძოლებით მოპოვებულ თავისუფლებას.

ილია ჭავჭავაძე წერს: „ლუარსაბი მთელ ზაფხულს ისე გაატარებდა, რომ პერანგისა და მისი ამხანაგის მეტს არას მიიკარებდა ტანზე“. მწერალმა პატივი სცა მკითხველს და დაიცვა ენობრივი ზრდილობა. თვით მეცნიერების ენაც კი ვერ (ან არ) ასახელებს ზოგიერთ საგანს და მოვლენას თავისი ნამდვილი, ჩვეულებრივი სახელით და იძულებულია, მოძებნოს და შეცვალოს სხვა სიტყვით, რათა არ მიაყენოს „უსიამოვნება“ მკითხველს ან მსმენელს.

„კაკო ყაჩაღში“ სოციალურად გატანჯულ-გაქედილი მამა ეუბნება გულქვა ბატონს:

„ფუ, შენ სამართალს, შენს სამსჯავროსა!“ – აქ სულ ორმა ბგერამ – „ფუ“ მოხუცის გულიდან გადმოღვარა უსამართლობით ჩაგუბებული ბოღმა და ბაღლაძი.

სტილისტიკური კატეგორიები, დამატებითი საშუალებები, ენას ანიჭებენ ენერგიას; გამოხატავენ მთქმელის დამოკიდებულებას-მიმართებას საგნებისა და მოვლენებისადმი; სუბიექტური გააზრება, სიტყვებსა და გამოთქმებში ჩაქსოვილი, ამაღლებს ენის სოციალურ დატვირთვას. დამატებითი ენობრივი საშუალებები, ამავე დროს, წარმოადგენენ მიმზიდველ „სამკაულებს“, ძლიერ შესაძლებლობებს სახეებისა და სურათების შესაქმნელად.

ამიტომ არის, რომ ენათმეცნიერების სტილისტიკას ენიჭება საპატიო საგანმანათლებლო-აღმზრდელიობითი დანიშნულება. ადამიანის ინტელიგენტად ჩამოყალიბებას ისევე სჭირდება მეტყველების კულტურის მაღალი დონე, როგორც სხვა წეს-ჩვევების გამომუშავება. ადამიანს საამაყოფუნდა მიაჩნდეს თავისი მეტყველებით გამოწვეული ჭანსალი განცდები.

ენის სტილი და „მხატვრული სტილი“

ლიტერატურის თეორიაში ლაპარაკია „მხატვრული სტილის“ შესახებ. „მხატვრული სტილი“ – ნაწარმოების სიტყვიერი ხელოვნების ერთ-ერთი არსებითი ნიშანი. მხატვრული ნაწარმოების შესწავლისას ყურადღებას იქცევს შემოქმედებითი მეთოდისა და სტილი სერთობლიობა. ეს არის ძირითადი თავისებურება, რომლითაც მხატვრული მწერლობა განსხვავდება სხვა დარგების შემოქმედებისაგან. მაგრამ „მეთოდისა და სტილის“ თავისებურებით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ცალკეული მწერლის, თუ ცალკეული მიმდინარეობების შემოქმედებითი ნიმუშებიც. „მეთოდისა და

სტილის" თავისებურებათა საფუძველზეა აღმოცენებული ლიტერატურის ისტორიაში ცნობილი მიმდინარეობები: რომანტიზმი, კრიტიკული რეალიზმი, სოციალისტური რეალიზმი და სხვანი.

ენა კი არ ქმნის „მხატვრულ სტილს“, არამედ ის სპეციფიკური კანონები, რომლებიც ახასიათებს სიტყვიერ ხელოვნებას. არსებობს ისეთი ნაწარმოები, რომლის ენაში ან სრულებით არ არის, ან ნაკლებად მოიპოვება „მხატვრული ენის“ მაგალითები, მაგრამ ზოგიერთი ასეთი ნაწარმოები მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლია. თუ მხატვრულ ნაწარმოებს ამკობს მხატვრული ენაც, ეს კიდევ ამალღებს მის ღირსებას. ამის შესანიშნავი ნიმუშია „ვეფხისტყაოსანი“. მართებულია მოსაზრება: „ლიტერატურა სიტყვის ხელოვნებაა, მაშასადამე, მის სპეციფიკურ მასალას სიტყვა წარმოადგენს. ამ მასალის საფუძველზე ქმნის იგი სინამდვილის მხატვრულ სურათს, გვიხატავს ცხოვრებას, ადამიანთა მოქმედებასა და სულიერ სამყაროს. ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია. მაგრამ, მიუხედავად ამისა, შეუძლებელია იმ შეხედულების შეწყნარება, რომელიც ლიტერატურისათვის დამახასიათებელ მხატვრულ ფორმას ენასთან აიგივებს.

ეს შეხედულება ისეთივე შეუსაბამოა, როგორცაა, მაგალითად, ფერწერისათვის ნიშანდობლივი მხატვრული ფორმის ფერთა გაიგივება. ენა განაპირობებს ლიტერატურის მხატვრული ფორმის ხასიათსა და ხელოვნების სხვა დარგების ფორმისაგან განსხვავებულ განსაკუთრებულობას. იგი, არსებითად, ლიტერატურის სპეციფიკური მასალაა, ხოლო საკუთრივ მხატვრულ ლიტერატურულ ნაწარმოებთა ფორმის მხოლოდ ერთ-ერთი კომპონენტი არის".¹⁰

ქვეშარიტად, ეს ციტატა ზუსტად გამოხატავს „მხატვრული სტილისა“ და „ენის სტილის“ სხვადასხვაობას. სტილისტიკური კატეგორიები, როგორც ენის განსაკუთრებული შესაძლებლობები, საშუალებას იძლევა, ყოველი ჟანრის ტიპობრივი სახეობა ენის საშუალებებითაც გამოისახოს და გაძლიერდეს, მაგრამ „მხატვრული სტილი“ და „მხატვრული ენა“ მანც სხვადასხვა კომპონენტებია.

სალიტერატურო ენა

არის შეხედულება, რომ თითქოს ენათმეცნიერების სტილისტიკა უნდა წავლობდეს მხოლოდ სალიტერატურო ენის სტილს. სალიტერატურო ენა ეს არის „მხატვრული მწერლობის“ ენა. იყო დრო, როდესაც სალიტერატურო ენა მკვეთრად უპირისპირდებოდა ჩვეულებრივ სასაუბრო, ყოველდღიურ მეტყველებას. მაგრამ დღეს სალიტერატურო ენის ნორმე

10. ავტორთა კოლექტივი, „ლიტერატურის თეორიის საფუძვლები“, თბ., 1972. გვ. 165.

ბი ისეა შექრილი მასების ყოფა-ცხოვრებაში, რომ სასაუბრო მეტყველებაც სალიტერატურო ენის ნორმებს ექვემდებარება. სალიტერატურო ენა დღეს არის სახელმწიფო ენა. ასედაც რომ არ იყოს ენათმეცნიერების სტილისტიკა ვერ მიიჩნევეს თავის ობიექტად მხოლოდ სალიტერატურო ენას. იგი შეისწავლის ყველა ენარის ენას, რომელშიც კი მოიპოვება სტილისტიკური კატეგორიები, ანუ განსაკუთრებული შესაძლებლობები.¹¹

„მხატვრული მწერლობის“ ენა.

ვხედებით ისეთ შეხედულებებსაც, რომ თითქოს ენათმეცნიერების სტილისტიკის ობიექტი უნდა იყოს მარტო „მხატვრული მწერლობის“ ენა, ე. ი. მარტო სიტყვიერი ხელოვნების ძეგლების ენა. ასეთ შეხედულებაში, ნაწილობრივ მაინც, გამოსჭვივის გაიგივება „მხატვრული სტილისა“ და „მხატვრული ენისა“. მართალია, „მხატვრული მწერლობის“ ენაში უფრო მრავალმხრივია სტილისტიკური კატეგორიების მოხმარების ასპარეზი, მაგრამ სტილისტიკური კატეგორიების მრავალფეროვანი სახეობები მეტ-ნაკლები სიხშირით ფუნქციონირებენ ყველა ტიპის, ყველა ენარის ენაში. ამის შესაბამისად ენათმეცნიერების სტილისტიკა დასაქმებული იქნება ყველა ობიექტით, სადაც კი ენაში მოხმარებულია მეტყველების განსაკუთრებული შესაძლებლობები, სულ ერთია, ეს მეცნიერული ნაშრომის ენაა, თუ პოეზიისა და პროზის.

ზეპირი მეტყველება და ნაწერის ენა

ზოგჯერ ერთმანეთისაგან მკვეთრად განასხვავებენ „ზეპირ მეტყველებას“ და „ნაწერის ენას“. მართალია, შემოქმედებითი თვალსაზრისით მათ შორის ერთგვარი თავისებურება არსებობს: ზეპირი მეტყველება სა-მეტყველო აპარატის მოქმედების შედეგია, წერა კი აზრის ფიქსირება რაიმე მასალაზე; ამავე დროს, ზეპირი მეტყველება სმენითი აღქმის აქტია, ხოლო ნაწერი — მხედველობითი. მაგრამ ასეთი განსხვავება მაინც არ იძლევა იმის საფუძველს, რომ ცალ-ცალკე არსებობდეს „ზეპირი მეტყველების“ სტილისტიკა და „წერითმეტყველების“ სტილისტიკა. ზეპირად ნათქვამი და წერის საშუალებით გამოხატული — ორივე ენის ნიმუშია და ენის კანონებს ექვემდებარება. ამიტომ, ენათმეცნიერების სტი-

11. Общее языкознание, М., 1970, გვ. 502.



ლისტიკა თანაბარი ინტერესით შეისწავლის, როგორც ზეპირად ნათქვამს, ასევე ნაწერის ენას, თუ მათში მოიპოვება სტილისტიკური კატეგორიები.

„წიგნური“ ენა

ძალზე პირობითია საუბარი „წიგნურ“ ენაზე. თითქოს არსებობს მეტყველების ლექსიკური ფონდის გარკვეული ერთეულები და ენის გრამატიკული საშუალებებიც, რომლებიც მოხმარებულია მარტო „წიგნის ენაში“. ზოგჯერ ასეთ ენობრივ საშუალებებს უწოდებენ „პასიურ ლექსიკასა და საშუალებებს“. ასეთი შეფასება არ არის მართებული. ენა თავის წილში, აგრე ადვილად არ გააჩერებს, რაც პასიური და უქშია. შეიძლება, რომელიმე სიტყვა ან სხვა საშუალება ყოველ წუთში არ გვკვირდება, მაგრამ როდესაც დაგვკვირდება, მაშინ უთუოდ გამოამყლავნებს თავის აქტიურობას. მაგალითად, მოვიხმოთ ასეთი სიტყვები: სათნოება, კლდემამოხილება. სულისკვეთება და სხვანი, — შეიძლება ისე გავიღეს დრო, რომ არ დაგვკვირდეს მათი გამოყენება, მაგრამ ამის გამო არ ითქმის, რომ ისინი „პასიური“ სიტყვებია, ან მხოლოდ მათი მოხმარების შესაძლებლობა განკუთვნილია მარტო „წიგნების ენისათვის“. თუ დასკვირდება მთქმელს, მათი გამოყენება შეუფერხებლად შეიძლება ჩვეულებრივ სასაუბრო მეტყველებაშიც, ე. ი. ყოველდღიურ ენობრივ ურთიერთობაში.

შეიძლება, რომ „წიგნის“ ენაში ფიქსირებულია „ებრ“ თანდებულის მოხმარება. მაგალითად, „მისებრ მშრომელი ჩვენთან ბევრი არ მოიპოვება“. ახლა „ებრ“ თანდებულს იშვიათად თუ ვინმე მოიხმარს, მაგრამ ამის გამო არ შეიძლება იგი მხოლოდ „წიგნის ენას“ მივაკუთვნოთ.

„მეტყველების კულტურა“ და სტილისტიკა

„მეტყველების კულტურის“ საკითხები უშუალოდ არის დაკავშირებული ენის ყველა მხარესთან. „მეტყველების კულტურას“ ჯეროვან ყურადღებას უთმობდნენ ძველ საბერძნეთსა და რომში. „მეტყველების კულტურის“ ღირსებად გამოიმუშავდა ასეთი ნიშნები: სისწორე, სიძლიერე, ნათქვამთან შესაბამისობა და სილამაზე. „სილამაზის ცნება“ გულისხმობდა ნათქვამის ესთეტიკური შთაბეჭდილების დონეს და უპირატესად სტილისტიკური კატეგორიების მოხმარების სფეროს მოვლენა იყო.

„მეტყველების კულტურის“ დაცვა-დარღვევა მეტყველების ყველა მხარეში იჩენდა თავს და, ძირითადად, მისი საზოგადოებრივი ნორმების სფერო.

დაცვა სჭირდება იმას, რაც ნორმად არის მიღებული; დარღვევად ჩაითვლება ის, რაც ნორმისაგან გადახრას წარმოადგენს.

როგორც აღნიშნული გვაქვს „მეტყველების კულტურის“ საკითხები უშუალოდ არის დაკავშირებული ენის ყველა მხარესთან. ამ ვითარებამ გამოიწვია ერთი მეტად თავისებური შედეგი: მეტყველების ნორმების ყველა მოვლენა მიიჩნეეს ენათმეცნიერების სტილისტიკის ობიექტად და საგანს ეწოდა — „პრაქტიკული სტილისტიკა“, რომლის კურსში განიხილება ენის ნორმების ყოველი ხასიათის დარღვევები. ამრიგად, ენათმეცნიერების სტილისტიკა დასაქმდა ორთოგრაფიის საკითხებით. ამან კი ის გამოიწვია, რომ „მეტყველების კულტურისა“ და ენათმეცნიერების სტილისტიკის საკითხები აირია ერთმანეთში და მეთოდოლოგიურად თვალსაჩინო შეუსაბამო მდგომარეობა შეიქმნა. შენელდა ყურადღება სტილისტიკის ნამდვილ საგანზე, ე. ი. სტილისტიკური კატეგორიების შესწავლაზე. ეს არასახარბიელო მდგომარეობა შენიშნული აქვს თავად „პრაქტიკული სტილისტიკის“ ავტორებს.¹² ხოლო ზოგიერთმა პირდაპირ მიუთითა, რომ „ორთოგრაფიის“ საკითხებით სტილისტიკის დასაქმება ზიანს აყენებს როგორც „მეტყველების კულტურის“ ამოცანებს, ასევე ენათმეცნიერების სტილისტიკის საგნისა და ამოცანების დადგენას.¹³

რა თქმა უნდა, არსებობს პრაქტიკული სტილისტიკა, მაგრამ ეს არის იგივე ფუნქციური სტილისტიკა.

ჩვენ აღნიშნული გვაქვს ფუნქციური სტილისტიკის სამოქმედო ასპარეზი, რომელიც განისაზღვრება ნამდვილად სტილისტიკური ხასიათის ამოცანებით. სტილისტიკა ვერ განიხილავს ისეთ მოვლენებს, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია მორფოლოგიურ, სინტაქსურ ან გრამატიკის სხვა დარგების სწავლებასთან, ე. ი. თუ საკითხები ამ სფეროების ნორმების დარღვევებს შეეხება. რა თქმა უნდა, დარღვევები შეიძლება სტილისტიკის სფეროშიც. მაგალითად, შეუსაბამო მეტაფორა ან ეპითეტი დაამდაბლებს ნათქვამის აზრსა და აზრის გამოხატვის საშუალებებსაც; შეუსაბამოდ აგებული შედარება ესთეტიკურად დააჩლუნგებს წინადადებას.

ამრიგად, ენათმეცნიერების სტილისტიკასაც მოეპოვება თავისი წილი „მეტყველების კულტურის“ სფეროში. ეს კიდევ იმაზე მიუთითებს, რომ მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან „მეტყველების კულტურისა“ (კერძოდ ორთოგრაფიის) და ენათმეცნიერების სტილისტიკის საკითხები. ეს ერთგვარად ხელს შეუწყობს სტილისტიკის საგნისა და ამოცანების დადგენას.

12. Д. Э. Розенталь, Практическая стилистика русского языка, М., 1973, стр. 9.

13. А. Н. Кожин, О предмете стилистики, ВЯ, 2, 1982.

„ობიექტური და სუბიექტური“ სტილი



შეხედულება „ობიექტურ“ და „სუბიექტურ“ სტილზე ძალზე პირობითი ცნებაა. ეს განსაკუთრებით მაშინ იჩენს თავს, როდესაც ისმის საკითხი ე. წ. „ინდივიდუალური“ სტილის ირგვლივ. თითქოს არსებობს საერთო სტილისტიკური ნორმები, რომელთა დაცვა ევალება ყველას, მაგრამ არის ისეთი გამოვლინებაც, რომელიც დაკავშირებულია ცალკეულ პიროვნებასთან, ე. ი. ეს გამოვლინება სუბიექტურია, ანუ ინდივიდუალური.


რა თქმა უნდა, შეიძლება რომელიმე მთქმელმა გარკვეულ მომენტში გამოიყენოს რაიმე თავისებური საშუალება, მაგრამ ეს არ ქმნის იმის საფუძველს, რომ ყოველი განსხვავებული ენობრივი ფაქტი „ინდივიდუალური“ სტილის არსებობად მივიჩნიოთ. მეტ-ნაკლებად ყოველი ინდივიდის განკარგულებაშია „ზოგადი“ საშუალებები და მისი სუბიექტური. მაშასადამე, ინდივიდუალისტიკური მხარე მაშინ გამოჩნდება, თუ როგორ მოიმარჯვებს ამ საშუალებებს. როდესაც ვსაუბრობთ გალაკტიონ ტაბიძის შესახებ, ეს იმას ნიშნავს, თუ მგოსანმა როგორ მოიხმარა საერთოდ წინის შესაძლებლობები. რა თქმა უნდა, ამით პოეტის ენას ენიჭება თავისებური ხასიათი, მაგრამ ყოველივე ეს „ინდივიდუალისტიკური“ კი არ არის, არამედ შემოქმედის უნარი და ოსტატობაა საერთოს (საზოგადოს) გამოყენების სფეროში.

ენაში არსებობს სტილისტიკური კატეგორიები, განსაკუთრებული შესაძლებლობები. ყველას უფლება აქვს, საჭიროებისამებრ მოითხოვოს ეს საშუალებანი. საქმე ის არის, თუ ინდივიდი როგორ მოიხმარს ამ საშუალებებს. მით უმეტეს, ჩვენ ვიცით, რომ მეტყველების ყოველგვარი შესაძლებლობა ორგვარი ხასიათისაა: ჩვეულებრივი და განსაკუთრებული (დამატებითი). განსაკუთრებული შესაძლებლობის მოხმარების ასპარეზი მეტ-ნაკლებად განისაზღვრება ინდივიდუალურ თავისებურებათა მოხმარების თვალსაზრისით, მაგრამ ეს არ ადასტურებს „ინდივიდუალისტიკური“ სტილის არსებობას.

ყოველივე ამის გამო, „ობიექტურ“ და „სუბიექტურ“ (ინდივიდუალისტიკური) სტილებად დაყოფას დამაჯერებელი დასაბუთება არ მოეპოვება.

სტილისტიკის ტერმინები

მეცნიერების ყველა დარგს სჭირდება თავისი სპეციფიკის შესაბამისი ცნებები (კატეგორიები) და ამ ცნებების აღმნიშვნელი სიტყვები, ე. ი. ტერმინები. ამ მხრივ, არც ენათმეცნიერების სტილისტიკა წარმოადგენს გამონაკლისს. ამიტომ, ძალზე არსებითი მნიშვნელობა ენიჭება სტილის-



ტიკის ცნებებისა და მათი გამომსახველი ტერმინების შერჩევა-დასკიდრებას.

მკითხველი დარწმუნდა, რომ ამ წიგნში გარკვეული ტერმინოლოგიური მონაცემებია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველაფერი დაზვეწილი და საყოველთაოა, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ არ არსებობს საერთო და შეთანხმებული თვალსაზრისი ენათმეცნიერების სტილისტიკის საგანსა და ამოცანებზე.

სტილისტიკა, როგორც ენათმეცნიერების დარგი, მოიხმარს ტრადიციულად გამომუშავებულ ცნებებსა და ტერმინებს, მაგრამ დისციპლინის ინტერესი მოითხოვს, რათა საგანზე აზროვნების განვითარების კვალდაკვალ კიდევ უფრო დაიხვეწოს ცნებათა და ტერმინთა სფერო.

სტილისტიკა და ფილოლოგიის სხვა დარგები

„სტილისტიკაში“ იგულისხმება ენათმეცნიერების ერთ-ერთი დარგი. ცხადია, ორგანული კავშირი არსებობს სტილისტიკასა და ენათმეცნიერების სხვა დარგებს შორის.

ბევრი რამ აკავშირებს სტილისტიკას ზოგად ენათმეცნიერებასთან. არის ისეთი საკითხები სტილისტიკის სფეროში, რომ ამ საკითხების განხილვა-შეფასებას აუცილებლად სჭირდება ზოგადმეცნიერული დასაბუთება.

სტილისტიკას უმჭიდროესი კავშირ-ურთიერთობა აქვს ცალკეული ენების შემსწავლელ დარგებთან, ანუ მეცნიერულ გრამატიკასა და მის ნაწილებთან. ზოგი სტილისტიკური მოვლენა მოითხოვს ფონეტიკის კანონების მოშველიებას; ზოგს მორფოლოგიური და სინტაქსური ხასიათის დამოწმება სჭირდება და სხვა.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ენათმეცნიერების სტილისტიკას უფრო ახლო ურთიერთობა აკავშირებს ლექსიკოლოგია-სემასიოლოგიასთან ამის საფუძველი ის არის, რომ სტილისტიკურ კატეგორიებად, ანუ განსაკუთრებულ შესაძლებლობებად, უპირატესად, მოხმარებულია მეტყველების სიტყვიერი (ლექსიკური) რესურსები. არნოლდ ჩიქობავას მართებულად აქვს მითითებული სემასიოლოგიისა და სტილისტიკის მჭიდრო ურთიერთობაზე.¹⁴

სტილისტიკა ვერ აუვლის გვერდს ფრაზეოლოგიასთან დაკავშირებულ საკითხებს, მით უმეტეს, რომ ფრაზეოლოგიური ერთეულები სტილისტიკურ კატეგორიებად უნდა იქნეს მიჩნეული.¹⁵

14. არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, 1952 წ., გვ. 228.

15. Н. М. Шанский, Лексикология современного русского языка, М., 1972, გვ. 173.



ენათმეცნიერების სტილისტიკას, თავისი საგნისა და ამოცანების შესახებ
 თის შესაბამისად, გარკვეული სიახლოვე აკავშირებს მთელს სტილისტიკას
 დარგებთანაც, როგორც არის: ლოგიკა, ფსიქოლოგია, ლიტერატურის
ისტორია, კრიტიკა, ესოპტიკა, მქვერმეტყველება, მუსიკა და სხვა.

რამდენადაც ენათმეცნიერების სტილისტიკის ობიექტია ენის სტილი,
 იგი საერთო ხაზებში ახლოს დგას სტილის ცნების ზოგად გაგებასთან.

ენათმეცნიერების სტილისტიკის მეთოდისათვის

სტილისტიკა ლინგვისტიკის დარგია. ამის შესაბამისად თავისი საგნისა
 და ამოცანების სფეროში მოიხმარს იმ მეთოდებს, რომლებიც ცნობილია
 ენათმეცნიერების სხვა დარგებისთვისაც. მაგრამ საგნისა და ამოცანების
 თავისებურებათა გათვალისწინებით სტილისტიკა, განსაკუთრებით მისი
 ფუნქციური (პრაქტიკული) ნაწილი, უპირატესად მიმართავს ანალიზის
 ხერხს.

ენის ფაქტი, ზეპირად არსებობს იგი თუ წერილობით, ავლენს სტი-
 ლისტიკური კატეგორიების მოხმარების ასპარეზს და კონკრეტულ და-
 ნიშნულებას. როდესაც ენის ფაქტში (ტექსტში) სტილისტიკური საშუა-
 ლეები არ მოიპოვება, საკითხავია: აქვს თუ არა ამ მონაცემების ენის
 სტილი? პასუხი ასეთი უნდა იყოს: ტექსტის ენაში შეიძლება არ მოიპო-
 ვება მეტყველების განსაკუთრებული საშუალებები, მაგრამ ასეთ კონ-
 კრეტულ შემთხვევაში ენა მაინც მიეკუთვნება სათანადო ტიპს. ეს იმის
 მაჩვენებელია, რომ ენის ტიპს განსაზღვრავს არა მარტო სტილისტიკუ-
 რი ერთეულების არსებობა, არამედ მთელი კომპლექსი სხვადასხვა ხასია-
 თის საშუალებებისა.

მაგალითად, სიტყვიერი ხელოვნების ძეგლის ენაში თუ არ მოიპოვება
 სტილისტიკური კატეგორიები, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს ძეგლი ხე-
 ლოვნების სფეროს არ განეკუთვნება. სიტყვიერი ხელოვნების ძეგლისა-
 თვის, უპირატესად, ის არის დამახასიათებელი, რომ საგანთა და მოვლენ-
 ნათა არსი მათი ურთიერთობის გამოვლენანი გადმოიცემა სხვა „მატ-
 ვრული“ სახეების მეშვეობით. „მატერული“ სახის შექმნა კი შესაძლებე-
 ლია მეტყველების ჩვეულებრივი შესაძლებლობებითაც.

აღნიშნული გვაქვს, რომ სტილი არ არსებობს თავისთავად – სტილუ-
 რი კატეგორია არის საგნის ან მოვლენის დამატებითი განსაკუთრებული
 ნიშან-თვისება, რომლებითაც ხდება დაპირისპირება ჩვეულებრივ ნიშან-
 თვისებებთან. იდენტიფიკაციის ხერხი, ე. ი. ჩვეულებრივისა და ამ ჩვეუ-
 ლებრივის განსაკუთრებულად მოხმარების მიმართება გამორჩენს დამატე-
 ბითი შესაძლებლობის ფუნქციონირებას. ეს კი შესაძლებელია, თუ
 ანალიზი მართებულად არის ჩატარებული და სტილისტიკური კატეგორი-



რიის არსებობა და მისი სახეობა ზუსტად არის განსაზღვრული საერთოდ ანალიზი, გრამატიკის სხვა დარგებისთვისაც მნიშვნელოვანი ხერხია.

საანალიზო ტექსტის მოცულობა

ენათმეცნიერების ყველა დარგისათვის, ცხადია, სტილისტიკისთვისაც, პირველ რიგში საკითხი წამოიჭრება ტექსტის მოცულობის შესახებ. დავაკვირდეთ 200-გვერდიან რომელიმე სახის ნაწარმოებს. თუ მთელ მოცულობას ჩავთვლით ტექსტად, მეთოდოლოგიურად მინც ეს ენობრივი მოცულობა უნდა დაიყოს ცალკეულ წინადადებებად, რომელთა რაოდენობამ შეიძლება რამდენიმე ასეულს გადააჭარბოს. არავის არ მოუვა აზრად, რომ თანმიმდევრულად გაჰყვეს და ყოველი ცალკე წინადადება ცალ-ცალკე გააანალიზოს და ამ ხერხით შექმნას ნაწარმოების ენაზე წარმოდგენა. უდიდეს როლს ასრულებს განზოგადება.

კონკრეტული მიზანდასახულობა განსაზღვრავს განზოგადების მოცულობასა და ასპარეზს. თუ 200-გვერდიანი ტექსტის ენის ანალიზისას მიზნად დავისახავთ, გარკვეულ სინტაქსურ ამოცანას, მაგალითად, დაჯგუფებას მარტივ და რთულ წინადადებებად, მაშინ შესაძლებელია გამოიყოს მარტო ტიპობრივი მონაცემები და მათი ნიშნების მიხედვით, განზოგადების შედეგად, შეიქმნას წარმოდგენა ყველა მარტივ წინადადებაზე და მის სახეობებზე, აგრეთვე ყველა რთულ წინადადებაზე და მათ აგებულებაზე.

როდესაც მიზნად ვისახავთ ფონეტიკურ ანალიზს, საკმარისია ცალკეული წინადადების ფარგლებში ყოველი ფონემის დახასიათება და ფონოლოგიური ფუნქციების დადასტურება.

ასევე, მორფოლოგიური კატეგორიებისა და მათი საშუალებების შესწავლისას, სრულიად საკმარისია წინადადების ფარგლებში მოცემული მასალა.

ყოველივე ამის შესაბამისად, ენათმეცნიერების სტილისტიკამ თავისი ობიექტი, ე. ი. განსაკუთრებული შესაძლებლობები, უნდა დაძებნოს წინადადების მოცულობაში.

ცალკეულ წინადადებებში მოხმარებული სტილისტიკური კატეგორიების ერთობლიობა ნათლად გამოაჩენს და დაადასტურებს ყოველი პიროვნების მეტყველების (ენის) სტილის ხასიათს.

ენობრივი ანალიზისას ტექსტის მოცულობა წინადადების ფარგლებს გულისხმობს.

სტილისტიკის საგანმანათლებლო მნიშვნელობა

ენათმეცნიერების ყველა დარგის და, ცხადია, მათ შორის სტილისტიკის ცოდნის საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი მნიშვნელობა აღიარებულ სინამდვილეს წარმოადგენს.

ჩვენი დიდი მეცნიერი არნოლდ ჩიქობავა მართებულად აფასებს ლინგვისტიკის საკითხების ცოდნის მნიშვნელობას ადამიანის განათლებისა და აზროვნების ჰორიზონტის განვითარება-გაფართოების საქმეში; იგი წერს: „ძირითად რგოლს აქ ბუნებრივად ქმნის ტრადიციული სამეუღლი: ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი; უამათოდ ენის შესწავლას საფუძველი არ აღმოაჩნდებოდა. მაგრამ ამ სამეუღლით ენის შეცნობა არ ამოიწურება; ამის გამო გარეთ რჩება ლექსიკოლოგია-სტილისტიკა: მათ შესწავლას დიდი თეორიული ინტერესი ახლავს, რამდენადაც აზროვნების პროცესები მათთან არის აქტუალურად (და არა მხოლოდ ისტორიულად, როგორც მორფოლოგია-სინტაქსში) და შინაგანად დაკავშირებული; მათ შესწავლას გამოყენებითი თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ენიჭება: უნიათო სტილი სწორი მორფოლოგია – სინტაქსით არ დაიფარება. სტილის საკითხს თუ არ მოევლო, სალიტერატურო ქართული ენის შეშვეობით აზროვნების საკითხი მოუგვარებელი დარჩება: ეს კი ახალ თაობათა გონებრივი ზრდა-განვითარების ძირითადი საკითხთაგანია.“¹⁶

ენათმეცნიერების სტილისტიკის ცოდნის მნიშვნელობის შესაფასებლად რამდენიმე ძირითად ასპექტს დავასახელებთ:

სტილისტიკური კატეგორიების მოხმარებით მთქმელი ამჟღავნებს თავის სუბიექტურ განწყობას, მიმართებას საგნებსა და მოვლენებს. ლოგიკურ-ემოციური მხარის ასეთნაირი შეხამება მეტყველებაში მთქმელს შესაძლებლობას უქმნის უფრო შეგნებულად მოიხმაროს მეტყველების ძალ-ღონე, უფრო პატივისცემით განეწყოს ისეთი უმნიშვნელოვანესი იარაღისადმი, როგორიც არის ენა.¹⁷

სტილისტიკის ცოდნის დაუფლება უზრუნველყოფს საგანთა შორის კავშირის გაფართოებასა და მრავალმხრივი განათლების შექმნას.¹⁸

სტილისტიკის კატეგორიების ცოდნა ამდიდრებს ადამიანის სიტყვიერი ფონდის, ლექსიკის სფეროს და ფრიად კეთილად ეხმარება მას მეტყველების განვითარების დონის შეუწელებელ ამაღლებაში.¹⁹

16. არნ. ჩიქობავა, ქართული ენა, მისი აგებულება-შედგენილობის საკითხები, იბერიული-კავკასიური ენათმეცნიერება, მე-1964 წ., გვ. 32.

17. გ. ქობლაძე, ესთეტიკური აღზრდის პრინციპები, 1968 წ., გვ. 207.

18. ნ. კანდელაკი, ქართული მჭევრმეტყველება, 1968 წ.

19. В. В. Виноградов, Стилистика, теория поэтической речи, поэтика, 1963.

სტილისტიკის საკითხების შეგნებული ცოდნა ფართო ასპარეზს უბ-
სნის ადამიანს, რათა შეუფერხებლად ეუფლებოდეს აღზრდა-განათლების
ისეთ იარაღს, როგორც არის წიგნი.

სტილისტიკური კატეგორიები

როგორც აღნიშნული გვაქვს, ენათმეცნიერების სტილისტიკა არის მო-
ძღვრება სტილისტიკურ კატეგორიებზე, ენის (მეტყველების) განსაკუთ-
რებულ შესაძლებლობებზე, სტილისტიკური კატეგორიები — როგორც
მეტყველების დამატებითი საშუალებები — სხვადასხვა ხასიათისაა. ამი-
ტომ საჭიროა მათი კლასიფიკაცია, სათანადო ახსნა-განმარტებანი, ფუნ-
ქციონირების ასპარეზის ჩვენება და სხვ. ამ მრზანდასახულობისათვის
თანმიმდევრობით განხილული იქნება: ტროპი, სინონიმი, გამეორება, მო-
დალური საშუალება და სხვა.

1. ტროპი

მიუთითებს რაიმე ობიექტურ მონაცემზე. „სიტყვის მნიშვნელობა
მდგომარეობს მითითებაში ობიექტური სინამდვილის გარკვეულ მონა-
ცემზე“²⁰.

ზოგ სიტყვას აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა. ენის ლექსიკური
ფონდის ასეთ ერთეულებს ეწოდება სრულმნიშვნელოვანი. მეტყველება
მოიხმარს ისეთ ლექსიკურ ერთეულებსაც, რომლებსაც არ გააჩნიათ მი-
თითება ობიექტური სინამდვილის გარკვეულ მონაცემზე, მაგრამ მეტყვე-
ლება მოიხმარს მათ სხვადასხვა დანიშნულებით. ასეთ ერთეულებს ეწო-
დება დამხმარე სიტყვები.

ყოველი სრულმნიშვნელოვანი სიტყვა მიუთითებს ერთ „ობიექტურ
სინამდვილის გარკვეულ მონაცემზე“; ეს არის მისი ჩვეულებრივი (ძირი-
თადი, პირველადი, პირდაპირი) მნიშვნელობა. მაგრამ მეტყველებას აქვს
„უფლება“ ნებისმიერად მოიხმაროს თავისი რესურსები, რა თქმა უნდა,
მოიხმაროს კანონზომიერების შესაბამისად. მოხდება ისე, რომ ადამიანი
ენის ფაქტში შეუცვლის სიტყვას პირდაპირ მნიშვნელობას და „ჩასვამს“
იმავე ფორმაში სრულიად ახალ ფუნქციას. ეს იმას ნიშნავს, რომ სიტყვამ
თითქოს „დაკარგა“ ჩვეულებრივი (პირველადი) მნიშვნელობა და შეით-
ვისა ახალი (შეორადი) ფუნქცია. მნიშვნელობათა (ფუნქციათა) ასეთ შე-
ნაცვლებას ეწოდება ტროპიზაცია, მის ცალკეულ ნიმუშს კი ტროპი.

20. არნ. ჩიკობავა, ენათმეცნიერების შესავალი, 1952 წ. გვ. 216.



ტროპი ბერძნული სიტყვაა და ქართულად იქნება: შებრუნება, შექცევა.
 ტროპიზაცია, ანუ სიტყვის გადატანითი მნიშვნელობით მოხმარება (ფუნქციონირება) ერთი რიგის სტილისტიკური კატეგორიების მიღების წყაროა.

ტროპიზაციის სახეობების გამოყენებით მდიდრდება მეტყველების სიტყვიერი ფონდი. მაშასადამე, გარეგნულად (ბგერითად) ერთსა და იმავე ლექსიკურ ერთეულს ენიჭება ორგვარი ფუნქციის შესრულება: ჩვეულებრივის (პირდაპირის) და დამატებითის (არაპირდაპირის).

მეტყველებაში არის სხვაგვარი შემთხვევაც, როდესაც გარეგნულად (ბგერითად) ერთნაირი მონაცემი რამდენიმე დანიშნულებით არის მოხმარებული; მაგალითად, მოვიხმოთ სიტყვა „ოპერაცია“: „სამედიცინო ოპერაცია“, „სამხედრო ოპერაცია“, „საფინანსო ოპერაცია“, „სპეკულანტური ოპერაცია“ და სხვა. მეტყველებაში ასეთი შემთხვევების მაგალითებს ეწოდება-პოლისემიურობა, ანუ მრავალმნიშვნელოვანობა.²¹

ასეთი მოვლენის ახსნისას ანგარიში უნდა გაეწიოს იმ გარემოებას, რომ მრავალი მნიშვნელობით მოხმარებულ სიტყვას მხარში უდგას სათანადო მსაზღვრელიც. როგორც ჩანს, მსაზღვრელ-საზრკრული ერთად ქმნის ახალ მნიშვნელობას. პოლისემიურობა, როგორც მეტყველების საშუალება, ტროპიზაციის მაგალითად არ ჩაითვლება.

მეტყველებაში არის კიდევ სხვაგვარი მოვლენაც, როდესაც გარეგნულად (ბგერითად) სავსებით ერთნაირი სიტყვები სხვადასხვა მნიშვნელობებს გამოხატავენ. ასეთი ერთეულები არ საჭიროებენ მსაზღვრელებს: კონტექსტი უშუალოდ გამოავლენს ფუნქციას. მიემართოთ სიტყვა „ბარი“: ბარი — სამუშაო იარაღი (თოხი და ბარი); ბარი — დაბლობი ადგილი (მთა და ბარი); ბარი — გარეული ფრინველი (ქორი და ბარი). ასეთ სიტყვებს, რომლებიც გარეგნულად (ბგერითად) სავსებით ერთნაირი რჩებიან სხვადასხვა კონტექსტებში და გამოხატავენ სხვადასხვა მნიშვნელობებს ისე, რომ არ სჭირდებათ მსაზღვრელის გვერდში დგომა, ეწოდება — ომონიმია; ომონიმთა არსებობა ხელშესახები ფაქტია.²² რა თქმა უნდა, ომონიმთა წრიდან უნდა გამოირიცხოს შემთხვევითი დამსგავსებები: მგლის ტყავი, დედა მგლის; მისი დარდი მკლავს, ნუ მეჭიდები, მომტეხავ მკლავს და სხვა. როგორც ჩანს, ახლოს დგას ერთმანეთთან პოლისემიისა და ომონიმის მოვლენები, მაგრამ მაინც ახასიათებს განმასხვავებელი ნიშნები.

ზოგიერთს ომონიმები მიაჩნია სხვადასხვა ძირების ერთეულებად, რომლებიც ოდესღაც გარეგნულადაც განსხვავებული უნდა ყოფილიყ-

21. ბ. ფონტუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, 1974 წ. გვ. 250.
 22. ალ. ლლონტი, ქართული ლექსიკოლოგია, 1964 წ. გვ. 40.



ვნენ, მაგრამ შემდეგ, დროთა ვითარებაში მომხდარა ფონეტიკური ცვლილებები და დასვაგავსებიან ერთმანეთს; მაშასადამე, ომონიმები სხვადასხვა წარმომავლობის ძირებისაგან მიიღებო. მაგრამ არსებობს საპირისპირო მოსაზრებაც, რომლის მომხრეებს არ მიაჩნიათ აუცილებლად ომონიმების განმარტებისას მათი წარმომავლობა სხვადასხვა ძირებისაგან: თუ არსებობს შემთხვევა, რომ გარეგნულად (ბგერითად) საცებით ერთნაირი სიტყვები მოხმარებულია სხვადასხვა დანიშნულებით — ასეთი სიტყვები უნდა მიჩნეულ იქნას ომონიმებად. ამ თვალსაზრისის შესაბამისად ომონიმების წრე საკმაოდ დიდდება.²⁸

ომონიმის მიხედვით გამოდის, რომ გარეგნულად (ბგერითად) ერთგვარ სიტყვებს კონტექსტში შეუძლიათ სხვადასხვა მნიშვნელობების გამოხატვა. თითქოს მსგავსი ვითარებაა ტროპიზაციის დროსაც, როცა სიტყვის ერთ ფორმას შეუძლია გადმოსცეს ერთზე მეტი მნიშვნელობა: ერთი — ჩვეულებრივი (პირველადი). და სხვა — დამატებითი (მეორადი). ამის შესაბამისად ძალზე ახლოს დგას ერთმანეთთან ტროპიზაციისა და ომონიმის მოვლენები. ამიტომ შეიძლება, რომ ომონიმებს მიეკუთვნოს ტროპის სახეობები და ეწოდოს — **სტილისტიკური ომონიმია**.²⁴

სიტყვა „ცეცხლი“ ქართულში თავისი პირველადი მნიშვნელობით ბუნების გარკვეულ მოვლენას აღნიშნავს, მაგრამ გადატანითი მოხმარებით მისი მნიშვნელობა ზოგჯერ არის დარდი ან რისხვა და სხვა.

მეტყველების ფაქტში მეტყველების ერთეულების გადატანითი მნიშვნელობით მოხმარებას გარკვეული წესები და საფუძველი გააჩნია. ამის შესაბამისად გამოიყოფა ტროპების სახეობები: მეტაფორა, ეპითეტი, შედარება, პერიფრაზი და სხვანი.

მეტაფორა — ტროპის ერთ-ერთი ძირითადი სახეობაა.²⁵ მეტაფორაში სიტყვის გადატანითი მნიშვნელობით მოხმარების საფუძველია ჩვეულებრივ ფუნქციისა და მეორად ფუნქციის შორის ნიშან-თვისებათა მსგავსება. ძველმა ბერძნებმა და რომაელებმა ფრიად ამალღებული ღირსება მიანიჭეს მეტაფორას, როგორც სტილისტიკურ შესაძლებლობას, როგორც ტროპს. გამოჩენილი ბერძენი მოაზროვნე არისტოტელეწერს: „...უდიდესი საქმეა მეტაფორების ოსტატურად გამოყენება. ვინაიდან ეს არ შეიძლება სხვისაგან იქნას გადმოღებული და იგი არის ბუნებრივი ნიჭის ნიშანი. კარგი მეტაფორის შექმნა იგივეა, რაც მსგავსების ხილვა“.²⁶ რომელიღიდი ორატორი ციცერონი ასე აფასებს მეტაფორას: „მეტაფორა ანიჭებს

28. ვ. თოფურია, მშობლიური ენის სწავლების საკითხები საშუალო სკოლაში, ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება სკოლაში, კრებული, 1956 წ.

24. ალ. გვენცაძე, ზოგადი სტილისტიკის საფუძველები, 1974 წ. გვ. 42.

25. ა. ჭილაია, ლიტერატურისმცოდნეობის ძირითადი ცნებები, 1971 წ.

26. არისტოტელე, პოეტიკა, წინასიტყვაობა, თარგმანი და კომენტარები ს. დანელიასი, 1944 წ. გვ. 49.



მეტყველებას უდიდეს სიტყადესა და ბრწყინვალეობას, თითქოს ისინი იყუ
რქვევიან ვარსკვლავებიდან".²⁷

მეტაფორა უპირატესად ერთი სიტყვით არის გამოხატული: ზმნით. მე-
ტაფორა ავტორის უშუალო შემოქმედების ნაყოფია. მეტაფორის მოხმა-
რებას ვხვდებით სხვადასხვა ტიპის ენაში, უპირატესად კი — მხატვრული
მწერლობის ენაში.

მეტაფორა მხატვრული სახის შექმნის უძლიერესი შესაძლებლობაა.
იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამებაში“ მეუღლისაგან განშორებული და
დასჯილი შუშანიკი ასე იხსენიებს ვარქენს: „მიავოს მას უფალმან, ვი-
თარ მან უქამოდ ნაყოფნი ჩემნი მოითვლნა და ხანთელი ჩემი დასრიტა
და ყვავილნი ჩემი დააქკნო, შვენიერებანი სიკეთისა ჩემისა დააბნელა და
ლიდება ჩემი დაამდაბლა“ (ხაზგასმული სიტყვები მეტაფორებია).

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ ჩანს, რომ თინათინმა გაუშ-
ვლავნა ავთანდილს სიყვარული და თან დაავალა ტარიელის საძებნელად
და ვინაობის გასაგებად წასვლა, ე. ი. საგმირო მოქმედების გამოჩენა:

შენგან ჩემი სიყვარული ამით უფრო გაამყარე,
რომე დამხსნა შეჭივრება, ეშმა ბილწი ასაპყარე.
გულსა გარე საიმედო ია მორგე, ვარდი ყარე,
მერმე მოდი, ლომო, მზეხა შეგეყრები, შემეყარე!

„ვისრამიანი“ გვაუწყებს ვისისა და რამინის შეხვედრაზე:
რა რამინ ქვეყნისა დამაშუენებელსა მზეხა გუერდით დაჯდა, მაშინვე
მისისა გულისაგან ცეცხლი და კუამლი დასრტა.

მომდევნო მაგალითებში ხაზგასმული სიტყვები მეტაფორებია.
შელამდა... მარტო ვზი კმუნვით; ჩემი ჩივილი ვის
ესმის!

დაყრუვდა არე... მხოლოდ ხმა ისმის ზოგჯერ გუშავის
(გრიგოლ ორბელიანი).

...პეპიასა და მისი გოგოს ნაღველი უფრო ცეცხლს მიკიდებდა!
(ილია ჭავჭავაძე)

მოთესა უცებ ზღვა გასკდა,
შიგ დატრიალდა ღვთის თვალი!
(რაფიელ ერისთავი).

ცრემლი მომერია, გული მომიკვდა; ვაიმე, დედავ, თუ დაგიჭიროს მაგ
წყეულმა!

(ვაჟა-ფშაველა)

უკან მოგჩხავის მხეცი ვერანი,
მშიერ ყორნებთხ შავი გუნდები,—
ვერ დაგეწია გზაში ვერავინ,
მშვიდობიანად შინ დაბრუნდები!
(ალიო შირცხულავა).

27. Античные теории языка и стиля, 1936, ст. 221.

ქუჩებს ცეცხლი გაჩენია,
თუ ნათელი დროშებია?
(გრიგოლ აბაშიძე)

გველას,
ვეელას,
ვის გელსაც
შრომის ცეცხლი ალაგზნებს,—
მოგილოცავეთ ბედნიერ
და შვეიდობის ახალ წელს!
(აიხვნე ნინეშვილი).
შენ რომ სტრიკონებში
ცეცხლი დაგითია.
შენ რომ შვილად ზრდიდი
ცრემლით დაგითიანს!
(გრიგოლ აბაშიძე)

მეტაფორა გვხვდება არა მარტო სიტყვიერი ხელოვნების ძეგლების ენაში (პოეზიისა და პროზის ენაში), არამედ სხვა ჟანრების ენაშიც, სხვა ტიპის ენაშიც.

უკანასკნელ წლებში სიტყვა „მეტაფორას“ ერთგვარად ფართო მნიშვნელობით იყენებენ ზოგიერთები. „მეტაფორით“ აღნიშნავენ ზოგიერთ სიმბოლოს და ალეგორიული ჟანრის ნაწარმოებსაც კი. ასეთი აღრევა არ არის მართებული. მეტაფორა არის სტილისტიკური კატეგორია, მაშასადამე, მეტყველების განსაკუთრებული შესაძლებლობა, ხოლო „ალეგორია“ არის ნაწარმოების ჟანრი. მათი ერთმანეთში არევა გაუმართლებელია.

„ხიმბოლია — ტროპის ერთ-ერთი სახეობაა. მეტაფორა და სიმბოლო ზოგჯერ ძალზე ჰგვანან ერთმანეთს, მაგრამ მათ შორის მაინც თვალსაჩინო განსხვავებაა. მეტაფორაში სიტყვის ჩვეულებრივი მნიშვნელობის შეცვლა არაპირდაპირი მნიშვნელობით ხდება, ამ მნიშვნელობათა მსგავსების საფუძველზე, ხოლო სიმბოლოში მნიშვნელობის შეცვლას სხვა საფუძველი აქვს. სიმბოლოში ფუნქციას პირობითობა ახასიათებს.“²⁸

სიმბოლიზაციის სხვადასხვა სახეობებიც არსებობს; მაგალითად, საგანთა სიმბოლოც და სხვა „მტრები“ მიჩნეულია მშვიდობის სიმბოლოდ; „ჩირალდანი“ — განათლების პირობითი მაჩვენებელია. ასეთ სიმბოლიზაციას „ემბლემაც“ ეწოდება.

მეტყველებაში მოხმარებული სიმბოლიზაცია ფართოდ იყო გამოყენებული ძველი ქართული მწერლობის ძეგლების ენაშიც.²⁹

28. ს. გაჩეილაძე, ლიტერატურის თეორია, 1968 წ., გვ. 28.

29. რ. ბარამიძე, ნარკვევები მხატვრული პროზის ისტორიიდან, 1966 წ.

სათანადო ლექსიკონებში სიმბოლო ასეა განმარტებული: „ტროპის ერთ-ერთი სახე, გადატანითი მნიშვნელობით ნახშირი სიტყვა, პირველად მისი ნამდვილისა და შესაძლებლის მისანიშნებლად.“⁸⁰

იოანე საბანისძის „აბოს წამებაში“ 16 საგან-სიტყვის სიმბოლიზაციით აღნიშნება აბო თბილელის მოწამებრივი ცხოვრება-სიკვდილის დახასიათება-შეფასება. მოვიყვანოთ ზოგიერთი მათგანი:

კარ ეწოდა, რამეთუ თქუა: „მე ვარ კარ ცხოვრებისა, რამეთუ ჭეშმარიტად მოარწმუნენი მისნი მის გამო, ვითარცა კარსა მას სიკვდილისასა შევალთ“.

გზა ეწოდა, რამეთუ თქუა: „მე ვარ გზა და ჭეშმარიტება და ცხოვრება“, რამეთუ ზეცად აღმავალთა გუექმნების ჩუენ გზა, და სხვა:

„ვეფხისტყაოსანში“ სიტყვა „შავი“ სიმბოლურად აღნიშნავს ტარიელის ცხენს, რომლითაც გმირი დადის და დაეძებს დაკარგულ სატრფოს:

შავსა აუღდა ლაგამი, სწმენდდა რიდისა წვერითა,

შეკაზმა, მოაქვს აბჯარი წყნარად, არ ჩამე ჩხერთა.

მომღევენო მაგალითებში ხაზგასმული სიტყვები სიმბოლურია:

დაე, მისთვის გაელარიბდეთ,

ზურგს მოვიღვთ საწყლის გულა;

პატიოსან ღარიბს. რით სჯობს

გამდიდრებული იუდა?!

(აკაკი წერეთელი)

უკვე აღბა ჭარიშხალი

და გრილებს კილითკიდე,

რომ ცას პირზე შეახიოს

ხუდარა და შავი რიდე.

უკვე აღბა ბრაზით სავსე,

მამაცი და ფრთამედგარი,

რომ განთიადხ გადაუხსნას

მიჯაჭვეული კლიტით კარი!

(იროდიონ ევლოშვილი)

ვაეაე! დაქრილი არწივის

წყლული დლითი-დღე მთელდება,

ყვავ-ყორნებს ისეე ფრთასა სცემს

და ბნელი ღამე თენდება!

(შოთ მღვიმელი)

შუქს გაუშარქოს,-

სულ რომ მატულობს

(გრიგოლ აბაშიძე)

როდესაც ცეცხლი სწვავდა ტრამალებს,

მაშინ შენ შენი ცრემლი დამალე,

რომ შენს გამოზრდილ ფრთამალებს

80. * ჭილაია, ლიტერატურისმცოდნეობის ძირითადი ცნებები, 1971 წ.



მეტონიშია ტროპის ერთ-ერთ სახეობად ითვლება. მეტონიშია გადატანილი მნიშვნელობით გამოყენებული შესაძლებლობაა. ჩვეულებრივ მნიშვნელობასა და მეორად მნიშვნელობას შორის არსებობს რაიმე სახის მიმართება ან დამოკიდებულება.

„მეტონიშია... ტროპის ისეთი სახეობაა, რომელშიც ერთი მოვლენიდან მეორეზე თვისებათა გადატანა ხორციელდება არა მსგავსების საშუალებით, არამედ მოვლენათა შორის რეალური კავშირის საფუძველზე“.⁸¹ შეიძლება, რომ ვინმემ თქვას: მაქსიმ გორკით ვარ გატაცებული – აქ გამოორიცხულია, რომ „მთქმელი გულისხმობდეს, ავტორს როგორც პიროვნებას. მთქმელმა აღნიშნა მიმართება-დამოკიდებულება მწერალსა და მიმომქმედებას შორის.

კონსტანტინე გამსახურდია „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენაში ერთ ადგილზე წერს: „ჩამოიარა ჭიხვმაც. უხმოდ ქამას შეუდგნენ მეინახენი კვლავ“. აქ სიტყვა „ჭიხვი“ გამოხატავს ყანწს.

მომდევნო მაგალითებში ხაზგასმული სიტყვები მეტონიშებია:
ასი ოქრო გაუჩინეთ, – ვინც არსენას დაიპყრს!
(ხალხური)

ჩემო კალამო, ჩემო კარგო,
რად გინდა ტაში!

(ილია ჭავჭავაძე)

სადილიდან დარჩომილი კაი ცივად ძროხა გვაქვს...
'იგულისხმება, რომ ხორცი არის ძროხის).

(ილია ჭავჭავაძე)

ძალს ეკვეთა გაშმაგებით,
მოუქნია მძიმე რკინა
და ფარების შემნახველი
დააწვინა
მწყემსის წინა...

(ოვანეს თუმანიანი).

სინექდოქე (სინექდოქა) – ტროპის თავისებური სახეობაა. მეტყველებაში არის შემთხვევები, როცა სიტყვის მხოლოებითი ფორმით გამოვხატავთ მრავლობითობას, ან ნაწილის დასახელებით აღინიშნება მთელი შინაარსი.

სინექდოქეში „გვაროვნული სახელწოდება იცვლება ცალკეული სახეობით, მრავლობითი რიცხვი – მხოლოებითით, მრავლობითი რიცხვი განმაზოგადებელი სახელით (ან პირიქით)“.⁸²

81. რ. შამელაშვილი, ენათმეცნიერების ტერმინთა მოკლე ლექსიკონი, 1976 წ.
32. Л. В. Щепилова, Введение в литературоведение, 1956, стр. 131.

ილია ჭავჭავაძის ენაში სიტყვა „ძროხა“ ზოგჯერ მეტაფორას წარმოადგენს, ზოგჯერ მეტონიმია არის და გულისხმობს „ძროხის ხორცს“ (ხართოდ საქონლის ხორცს), მაგრამ რიგ შემთხვევაში სიტყვა „ძროხა“ როგორც მხოლოდითი ფორმის სიტყვა, გამოხატავს მრავლობითობას: ზაქრო ეუბნება კაკოს: „წამსვე ძროხაში მე მიკრეს თავი...“ – ცხადია, აქ „ძროხაში“, გულისხმობს, რომ პირუტყვების მწყემსად გაამწყესეს.

ორაკლი აბაშიძის ლექსი „თბილისის დამკვიდრდა არაბი“ ერთ სტროფში რამდენიმე სინექლოქას მოიხმარს:

კალიასავით მოედო
მთელ არეშარეს არაბი,
ქართველის ცრემლით შეივსო
ჩვენი მტკვარი და არაგვი!

ცხადია, ერთი არაბი კალიასავით ვერ მოედებოდა არეშარეს; და ვერც ერთი ქართველის ცრემლი შეევისებდა ორ მდინარეს. იგულისხმება „არაბები“ და „ქართველები“.

ჩვენო არაგვო, რარიგ მიყვარხარ!
ქართველის ცხოვრების მოწამელ შენ ხარ...
(ილია ჭავჭავაძე).

თანდაყოლილი დედის მუცლიდან
ყველგან თან ჰქონდა ქართველს ფარ-ხშალი!
(გრაფოლ აბაშიძე).

ეპითეტი - სტილისტიკურ კატეგორიათა შორის ერთ-ერთი ფრიად ბლიერი და აღიარებულია. ჯერ კიდევ ძველი ბერძნები და რომაელები განსაკუთრებულ პატივს სცემდნენ ეპითეტის ღირსებას. არისტოტელე წერს: „სიტყვაში უნდა გამოყენებულ იქნეს მიზანშეწონილი ეპითეტები და მეტაფორები, რაც შეიძლება მივიღოთ შედარების გზით“⁸²

მკვლევართა გარკვეული ნაწილი, ეპითეტად მიიჩნევს „განსაზღვრებას“. განსაზღვრება არის სინტაქსური კატეგორია. მაგრამ მაინც არის მნიშვნება, რომ განსაზღვრება ორგვარია: ჩვეულებრივი და „მხატვრული“.

ეპითეტად მიჩნეულია „მხატვრული განსაზღვრება“. მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ „მხატვრული“ ყოველთვის არ არის გარკვეული მნიშვნელობის მატარებელი. გარდა ამისა, „განსაზღვრება“ როგორც სინტაქსური კატეგორია, წინადადებაში დაკავშირებულია მხოლოდ სახელით გამოხატულ წევრთან. ეპითეტი კი არსებობს ზმნასთანაც. ამის შესაბამისად „მხატვრული განსაზღვრების“ ცნება ვერ ფარავს ეპითეტის ფუნქციას.⁸⁴

82. არისტოტელე, რიტორიკა, 1981 წ. გვ. 169.

84. ს. ხუციშვილი, ეპითეტი ვაჟა-ფშაველას „მახტრიონი“, 1972 წ.

ვინაიდან „მხატვრული განსაზღვრება“ მიაჩნიათ ეპითეტად, მას უნდა გამოხატავდეს ზედსართავი სახელი. მართლაც, ეპითეტის ფუნქციით უპირატესად მოხმარებულია მეტყველების ნაწილი, რომელსაც ეწოდება ზედსართავი სახელი. მაგრამ როგორც ზოგიერთის მიერ არის მითითებული, ეპითეტის ფუნქციით ზოგჯერ გვევლინება ზმნასთან დაკავშირებული სიტყვებიც. სინტაქსური თვალსაზრისით, „განსაზღვრება“ არასოდეს არ არის შეწყობილი ზმნასთან, ე. ი. შემასმენელთან. როგორც ჩანს „განსაზღვრება“, თუგინდ „მხატვრული განსაზღვრება“, ვიწროა ეპითეტის ფუნქციის დასატევად.

ამოსავლად უნდა მივიჩნიოთ აკაკი შანიძის საყურადღებო დებულება: „რაც ზედსართავია არსებითი სახელისაჲვის, იგივეა ზმნისზედა ზმნისათვის: იგი ზმნასთან სახამებელი სიტყვაა და აქედან წარმოსდგა მისი სახელი“.⁸⁵

ამრიგად, ზედსართავის ფუნქციის მაგვარი ყოფილა ზმნისზედის ფუნქცია. ამ მოსაზრებას ეთანხმება გიორგი შალამბერიძის თვალსაზრისი. იგი წერს: „მხატვრული ნაწარმოების ექსპრესიულობა დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა საშუალებით აძლიერებს ავტორი ამა თუ იმ სიტყვით გადმოცემულ შინაარსს. ამ მხრივ, განსაკუთრებული როლი აკისრია ატრიბუტულ ზედსართავ სახელებს არსებით სახელებთან, ხოლო ვითარების ზმნისზედებს – ზმნებთან“.⁸⁶

ამიგბდ, გამოდის, რომ ზედსართავი სახელებთან და ზმნისზედებთან ზმნებთან შესაბამისად ფუნქციებს ასრულებენ. ზედსართავით გამოხატულ წინადადებების წევრს ეწოდება განსაზღვრება; ხოლო ზმნისზედით გამოხატულ წევრს გარემოება. „განსაზღვრება“ და „გარემოება“ წინადადების არამთავარი წევრებია. ზმნასთან შეიძლება დაკავშირებული იყოს აგრეთვე „უბრალო დამატება“, როგორც არამთავარი წევრი.

ყოველივე ამის შესაბამისად, ეპითეტის გამოხატვა შესაძლებელი ყოფილა იმ ფუნქციებით, რომლებიც სრულდება: განსაზღვრებით, გარემოებითა და უბრალო დამატებით. ახლა დადგა საკითხი, რომ ამით გამოენახოთ საერთო სახელწოდება. მართლაც, არსებობდა გრამატიკაში საერთო სახელწოდება: ამხსნელი. სინტაქსური თვალსაზრისით ამხსნელი არის: განსაზღვრება, გარემოება და უბრალო დამატება. მაგრამ მათი განაწილება ასე ხდება: განსაზღვრება არის არსებითი სახელით გამოხატული წევრის ამხსნელი, ხოლო გარემოება არის ზმნით გამოხატული წევრის ამხსნელი. ამის შესაბამისად, განსაზღვრება, უპირატესად გადმოიცემა ზედსართავი სახელით, ხოლო გარემოება ზმნისზედით. მაგრამ ამ უკანასკნელს ფუნქციით უნდა დაემატოს აგრეთვე უბრალო დამატება. შევნიშ-

85. ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1973 წ. გვ. 587.

86. გ. შალამბერიძე, ილია ჭავჭავაძის ენა, 1966 წ. გვ. 200.



ნათ აგრეთვე, რომ ვითარების გარემოება ზოგჯერ გადმოცემულია ზმნის ზედის ფუნქციის მქონე სახელითაც: კარგად წერს. ასევეც დამატება გამოხატულია სახელით: ფანქრით დაწერა.

რომ განვასხვავოთ ჩვეულებრივი ამხსნელებისაგან, ერთობლივად: განსაზღვრებას, ვითარების გარემოებასა და უბრალო დამატებას უნდა ეწოდოს სტილისტიკური ამხსნელები. ახლა გამართლება ექნება იმას, რომ მართლა არსებობს: ჩვეულებრივი განსაზღვრება და სტილისტიკური განსაზღვრება (და არა „მატარული განსაზღვრება“).

ახლა დაისმის საკითხი, თუ როდის არიან სტილისტიკური ამხსნელები ეპითეტის ფუნქციის გამოხატველი? თუ ეპითეტი ტროპის სახეობაა, ცხადია, ის გამოხატავს გადატანითს მნიშვნელობას.²⁷

მართლაც, არსებობს მითითება, რომ ეპითეტად მოხმარებული სიტყვები, მაშასადამე, სტილისტიკური ამხსნელები, გადატანითი მნიშვნელობით მოხმარებული შესაძლებლობებია, და ამით ისინი მკვეთრად განსხვავდებიან ჩვეულებრივი ამხსნელებისაგან.²⁸

ამგვარად, ეპითეტი არის სტილისტიკური ამხსნელით გამოხატული კატეგორია. სტილისტიკურ ამხსნელებად მიჩნეულ უნდა იქნას გადატანითი მნიშვნელობით მოხმარებული: განსაზღვრება, ვითარებითი გარემოება და უბრალო დამატება.

განსაზღვრება-ეპითეტი გადმოცემულია ზედსართავი სახელით, რომელიც ერთვის სახელით გამოხატულ წევრს.²⁹

გარემოება - ეპითეტი გადმოცემულია ზმნის ზედით და ზმნის ზედის ფუნქციით მოხმარებული სახელით, რომელიც აგრეთვეს ზმნით გამოხატულ წევრს (შემასმენებს ან ნაზმნის სახელით).

დამატება - ეპითეტი გადმოცემულია სახელით, რომელიც ერთვის ზმნით ან ნაზმნით გამოხატულ წევრს.

ა. ეპითეტი ხახვითან (განსაზღვრება-ეპითეტი).
... მიუყრდნა ყურესა და მწარითა ცრემლითა ტაროდა.
(იაკობ ხუციყვი).

ერთი ხაყუალი მანეთი
არსენს ჭიბეში უდევსა.
(ხალხური „არბენას ღებია“).

გულში ჩაყოლილ ფიჭოს, თუ ოცნებას
ბაგე გაეპო ღაღი ღიმილით.
(ილია გაცხადეძე).

7. Л. М. Тимофеев, Основы теории литературы, №. 1971, № 212.
8. И. Р. Галлерин, Очерки по стилистике английского языка, №. 1968, № 138.
9. ილ. გვინცაძე, ზოგადი სტილისტიკის საფუძვლები, 1974 წ. გვ. 49.

პაპანაქება ბული დგას,
უქირს ხაბრალო ყანასა.

(რაფიელ ერისთავი).

მის გულში იფეთქა შურმა ჯოჯოხეთურმა.

(ვასილ ბარნოვი).

...უხვი მასპინძელი მზესავით გაბრწყინებული სახით თავს დასტრიალებს აუარებელ სტუმარს და ყველას ერთად და თითოეულს განსაკუთრებით ტკბილი სიტყვით, მიმზიდველი ღიმილით იწვევს, ახალისებს სალხინოდ და სალალობოდ.

(ეკატერინე გაბაშვილი).

მან ერთხელ კიდევ გადახედა ძმობილებს და მწიფე ხმას ოდნავ მეტსიმტკიცე მისცა.

(მიხეილ ჯავახიშვილი).

ბ. ეპითეტი ზმნასთან (გარემოება-ეპითეტი)

დიდხანს დაყოფდა ბატონი ჩუმაღ,
დაფიქრებული მწარედ და ღრმად.

(ნიკოლოზ ბარათაშვილი).

ვერე ვიდოდნენ ღლენი და წელნი,
ვერე უბიწოდ იგი ცხოვრობდა.

(ილია ჭავჭავაძე).

იმ ახალ აღმართს შეხედავ შიშით
და გულში მწარედ გაგუკინება.

(გრიგოლ აბაშიძე).

გულსხფრიალით ვეპარებოდით ოლეს,
გადავირბენდით სათიბებს და გორებს.

(მურმან ლებანიძე).

გ. ეპითეტი ზმნასთან (დამატება-ეპითეტი)

მაგრამ რა? ...დროსა მხვრელის ცელით, ყოვლითა
წარწყმედით

ციურთა მცობი მშვენებლობაც სხვათებრ მოსთვლილად!

(ალექსანდრე ჭავჭავაძე).

ზეცა წაულობად, ნუგეშად - ივერსა გაოხრებულსა -
მეფედ მოუვლენს დაეთსა, ზეგარდმო სიყრმით
ცხებულსა...

(გრიგოლ ორბელიანი).

სახე გამხდარი, კუშტი და მწყურალი
სიწმინდის მადლით დაპშვენებოდა.

(ილია ჭავჭავაძე).

წვერ-ულვაშზე მარგალიტებრ
ცრემლი ცრემლზე ეკიდება,
მწარის ოხვრით ვერ იქარეებს,-
გულს რომ ცეცხლი ეკიდება!

(აკაკი წერეთელი).

მთელ ქვეყანაში მარტოდმარტო და ეული დარჩა. ეს მარტობა და
ობლობა მიძიმე ლოდად აწვა.

ჩვენი ფიქრები ერთმანეთს
მდინარეებად ერთვიან!

(იხივებ ნონშვილი).

არსენა დიდხანს იდგა შუა მინდორში მხედრის ძეგლივით აყუდებული,
ყვითელი ბოლმით გავსებული...

(მიხეილ ჭავჭავაძე).

ეპითეტის დანიშნულების შესახებ არსებობს საერთო აღიარება, რომ
ეპითეტი არის უძლიერესი სტილისტიკური კატეგორია; იგი ანიჭებს მე-
ტყველების დასრულებულ ფაქტს ლოგიკურ-ემოციურ ძალ-ლონეს; ეპი-
თეტი მკვეთრად გამოხატავს მთქმელის იდეურ თვალსაზრისს და სუბიექ-
ტური მრწამსის ნიუანსებს. ეპითეტი, ამასთან ერთად, ალამაზებს და ამ-
კობს საგნისა და მოვლენის სახეს, ან უარყოფითად ამდაბლებს და აკნი-
ნებს მას.

„ეპითეტები თავიანთი სიუხვით წარმოადგენენ ერთ-ერთ სტილისტი-
კურ ნიშანთაგანს, ყველაზე მკვეთრად რომ წარმოადგენენ მწერლის ინ-
დივიდუალობას, ლიტერატურულ მიმართულებას თუ ეპოქას. ყოველ
მწერალს მოეპოვება მისი სტილის სისტემის დამახასიათებელი გამორჩე-
ულად საყვარელი ეპითეტები“⁴⁰.

ეპითეტის შესახებ არსებობს მდიდარი ლიტერატურა.

შედარება გულისხმობს მთელი წინადადების ფარგლებში აზრის გამო-
ხატვის ერთობლივ საშუალებებს. შედარება ტროპის ერთ-ერთ სახეობად
უნდა იქნეს მიჩნეული.

ზოგიერთი წინადადება-შედარებას ყოფს ორ ნაწილად: პირველი თით-
ქოს ისეთია, რომელსაც იცნობს მთქმელი; ხოლო მეორე ისეთი, რომე-
ლიც მთქმელისათვის თითქოს ახალია და ამ უკანასკნელის ნაცნობთან
შედარება ქმნის მის გააზრებას.⁴¹

ასეთი თვალსაზრისი შეიძლება არ იქნეს გაზიარებული. პირიქით,
მთქმელისათვის ორივე მხარეა ნაცნობი, მაგრამ საჭიროა „ახალს“ მოე-
ძებნოს რაიმე „საზომი“ და საამისოდ ერთმანეთთან დატოლებულია ორი
მხარე მაინც. ილია ჭავჭავაძემ იცის, ლომი როგორ წამოიჭრება საფ-
რთხის გამო. მწერალმა თითქოს ნახა და იცის, როგორ წამოიჭრა კაკო,
როდესაც მან შენიშნა ცხენით მომავალი მხედარი; და ეს მომენტი რომ
უფრო გააცხოველოს, ასე გადმოგვცემს: „წამოხტა კაკო ლომივით ზეზე!“

40. ეს სიტყვები ეყუთენის ვ. ბ. ტომაშვესკის; მოყვანილია ეშბარ კვიციანიშვილის
სტატიიდან „ეპითეტი აკაკის პოეზიაში“, ჟურნ. „მნათობი“, 1966 წ. № 4.

41. მ. ზანდუკელი, ილია ჭავჭავაძის მხატვრული ისტატობა, 1968 წ. გვ. 247.

ოდითგანვე განსაკუთრებულ პატივს სცემდნენ სიტყვიერ შედარებას. არისტოტელეს შედარებისათვის მოეპოვება ასეთი ახსნა-განმარტება: შედარება მეტაფორაა, რადგან მცირედ განსხვავდება მეტაფორისაგან; როდესაც პოეტი ამბობს აქილევსზე, რომ „ის, როგორც ლომი, ისე ეკვეთა“, — ეს შედარებაა. მაგრამ თუ ვიტყვით „ლომი ეკვეთა“ — ეს მეტაფორაა, რადგან ორივენი მამაცნი არიან, ამიტომ პოეტმა აქილევსს გადატანითი მნიშვნელობით ლომი უწოდა.⁴²

მთქმელი შედარების მეშვეობით გამოხატავს თავის სუბიექტურ მიმართებას საგნებისა და მოვლენებისადმი; ლოგიკურ-ემოციური ელფერის გამძაფრებით შედარება ძალზე მოხერხებული საშუალებაა სახეების შესაქმნელად; მთქმელი ამქლავნებს თავის ცხოვრებისეულ გამოცდილებას, განათლების დონეს, ასაკს და სხვა. ამასთან ერთად, შედარება ქმნის შესაძლებლობას, რომ ადამიანმა ფართოდ მოიხმაროს მეტყველების ყველა მასალა, განსაკუთრებით კი ლექსიკური ფონდის მრავალფეროვნება, ბუნებისა და საზოგადოების სფეროდან.

იმის გამო, რომ შედარება მოცემულია წინადადების სახით, მას განიხილავენ სინტაქსის ნიშნების თვალსაზრისით. მაგალითად, ასეთი ნიშნებია მაკავშირებლების მოხმარება. ეს მაკავშირებლებია: როგორ, ვით, ებრ, ისე... და სხვ. ცხადია, სინტაქსურადაც შეიძლება შედარება-წინადადების დახასიათება, მაგრამ შედარება არის ტროპის ერთ-ერთი სახეობა და გარკვეული თვალსაზრისით იგი სტილისტიკის ობიექტია. რა თქმა უნდა, შედარებაში ბევრი რამ ლექსიკოლოგიისა და სემასიოლოგიის ჩარევასაც საჭიროებს.

შედარება ძლიერი საშუალებაა სახეების შესაქმნელად, ამიტომ მისი მოხმარების ასპარეზი უფრო ფართოა სიტყვიერი ხელოვნების ძეგლების ენაში, განსაკუთრებით კი პოეზიის ენაში.

იაკობ ხუცესი ასე აგვიწერს შუშანიკის დასჯის ერთ-ერთ მომენტს, რომ ვარსკენი: „**ვითარცა მხეცი მძვინვარე ყიოდა და იზახდა ვითარცა ცოფი.** მაშინ შევლად აღდგა ჯოჯიკ, ძმაი მისი, და იბრძოდენ, ვიდრემდის გვემა იგიცა. და კუბასტიცა თავსა მისსა მოხეთქა და ჭირით, ვითარცა კრავი მგელსა გამოულო ხელთა მისთა და ვითარცა მკვდარი იღვა წმიდა შუშანიკ ქვეყანასა ზედა“.

„ვეფხისტყაოსანში“ ტარიელი ასე აგვიწერს ხატაელების წინააღმდეგ ბრძოლას:

შიგან ასრე გავერიე, გნოლის ჭოგსა ვითა ჭორი,
კაცი კაცსა შემოესტყორცნე, ცხენ-კაცისა დადღვი გორი;

42. არისტოტელე, რიტორიკა, ძველბერძნულიდან თარგმნა, შესავალი წერილი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო თამარ კუკავამ, რედაქტორი აკაკი ურუშაძე, თბ., 1981 წ. გვ. 174.



კაცი, ჩემგან განატყორცი ბრუნავს ვითა ტანჯორი,
ერთობ სრულად ამოვწყვეტე წინა კერძო რაზმი

მზე ჩაესვენა: მის შუქი გამოსალმის ეამს კავკასისა,
თავსა ეხვევა აღერსით, ვით ქალი მამას მოხუცსა!
ბუმბერაზ მთანი მღუმარედ ცათამლის აყუდებულნი,
სხედან ვით დევნი, სპეტაკის ყინულ გვირგვინით შემკულნი
(გრიგოლ ორბელიანი).

გეთამაშება ნიავი,
ზღვახავით ლელავს სვიანი...

(რაფიელ ერისთავი).

ქვეყანა, გაზაფხულისაგან ხელახლად გაცოცხლებული და გაღვიძებული,
როგორც აკვნიდან ბავშვი, ისე იყურებოდა.

(ილია ჭავჭავაძე).

მთელი ქალაქის ბიჭები მტრედის გუნდით დასდევსა.
(ხალხური „არხენა“).

აენთნენ ცეცხლის აღებრივ
შორს გაბნეულნი ღრუბელნი!

(გრიგოლ ორბელიანი).

არსენას სიტყვა სამართებლივით სჭრიდა.

(მიხეილ ჭავჭავაძე).

შენ ვიყვარდა ხმა მტვრევისა,
და მომსკდარი კლდიდან თერგი,
შენ ძირს დაგცეს ფოთოლივით,
და მთახავით წამოდექი!

(გიორგი ლეონიძე, „ილიას“).

ტარიელ გოლუას შეპყრობის ამბავი ეღვასავით მოედო მთელ სოფელს.

(ლეო ქიაჩელი).

ჩახედავ წარსულს და უეცრად ბავშვობა ჩვენი
ქაში ჩავარდნილ მთვარეხავით შემოგვანათებს.

(გრიგოლ აბაშიძე).

ნეტავი, ღმერთო, მეც მომცა ჩანი და შადა ხარისა,
სიტყვა — ხარვით გამწევი მამულის გასახარისად,
ვიყო ხარვით ამტანი, ვიყო ხარვით მომთმენი,
ჩემი პატარა ქვეყნისთვის მეც შეეძლო ხარისოდენი!

(შოთა ნიშნიანიძე).

ფრაზეოლოგია სწავლობს სიტყვიერი ფონდის იმ ერთეულებს (გამოთქმებს), რომლებიც არსებობენ, როგორც მყარი შეხამებები.

მეტყველებაში, საერთოდ, ყველა საშუალება მოცემულია გარკვეული დანიშნულებით. მოხმარებამდე, ე. ი. აზრის გამოხატვამდე, ეს საშუალებები არსებობს, როგორც „მზა მასალა“, ტრადიციულად შემუშავებული

და საზოგადოებრივად დაკანონებული. მაშასადამე, მეტყველების პროცესში მთქმელი თავად კი არ „იგონებს“ საგნებისა და მოვლენების სახელებს, გრამატიკულ კატეგორიებსა და მათი გამოხატვის წეს-საშუალებებს, არამედ ყოველივე ეს მის განკარგულებაშია, როგორც, „მზა“ მონაცემი.

მეტყველების ლექსიკურ ფონდში მოიპოვება ერთგვარი საშუალება რომელსაც ფრაზეოლოგიზმი ეწოდება.⁴³

ფრაზეოლოგია სწავლობს ფრაზეოლოგიურ ერთეულებს. ლამის დამოუკიდებელ დარგად ჩამოყალიბდეს ფრაზეოლოგია, მაგრამ ამჯერად ფრაზეოლოგია ზოგიერთის მიერ მიჩნეულია ლექსიკოლოგია-სემასიოლოგიის ორგანულ ნაწილად.⁴⁴

ფრაზეოლოგიური ერთეულები ფუნქციის მიხედვით სტილისტიკური საშუალებებია; ამიტომ სტილისტიკაც მოითხოვს თავის უფლებებს ფრაზეოლოგიის სფეროს საკითხების შესწავლისას.

ფრაზეოლოგიზმი, ანუ ფრაზეოლოგიური ერთეული, უპირატესად წარმოდგენილია როგორც გამოთქმა ან წინადადება (როგორც ფრაზა).

ფრაზეოლოგიზმებისათვის დამახასიათებელია მასში მონაწილე სიტყვათა „ძყარი შეხამება“. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მონაცემში შემავალი სიტყვები „კარგავენ“ თავიანთ ჩვეულებრივ მნიშვნელობებს და ყველა ერთად გამოხატავს ახალ მნიშვნელობას. მაგალითად: „სიტყვის ბანზე აგდება“ – ნიშნავს ვინმეს ნათქვამის მიმართ მსმენელის მიერ უყურადღებობის გამოჩენას, მიფუჩეჩებას, ანგარიშის გაუწველობას. ამ შეხამებაში თითქოს არც არის გააზრებული თავიანთი ჩვეულებრივი მნიშვნელობით სიტყვები: „ბანი“, „აგდება“. მთელი გამოთქმა ერთადერთი სიტყვის ფუნქციით არსებობს როგორც „მზა მასალა“. მთელი „მზა ერთეულის“ მნიშვნელობა გააზრებულია გადატანითად; ამის მიხედვით ფრაზეოლოგიური ერთეულები ენაში ტრადიციულად არის „შესისხლხორცებული“ და ლექსიკური ფონდის სიმდიდრედ ითვლება.⁴⁵

როგორც აღნიშნული გვაქვს, ფრაზეოლოგიური ერთეულები სტილისტიკურ კატეგორიებად უნდა იქნეს მიჩნეული.

ცნობილმა რუსმა ენათმეცნიერმა ვ. ვ. ვინოგრადოვმა დაყო ფრაზეოლოგიზმები იმ ნიშნის მიხედვით, თუ როგორია ერთეულში სიტყვათა შეხამების სიმტკიცის მეტ-ნაკლებობა. მან ამ პრინციპის მიხედვით ასეთი ჯგუფები გამოყო: ფრაზეოლოგიური შეხორცება, ფრაზეოლოგიური ერთობა, ფრაზეოლოგიური შეხამება.⁴⁶ მაგრამ ამ პრინციპის გამოყენება ყოველთვის არ ქმნის სასურველ შედეგს. ამის მიზეზი ის არის, რომ ერთი

43. В. Гнелия. Что такое фразеология, М., 1966.

44. А. И. Молотков. Основы фразеологии русского языка, Л., 1977, стр. 104.

45. М. Шанский, Лексикология современного русского языка, м., 1972, ст. 173.

46. В. В. Виноградов, Грамматическое учение о слове, М., 1947, ст. 130.

ჯგუფი მეორისაგან ზოგჯერ მკვეთრად არ გამოირჩევა. ვ. ვ. ვინოგრადოვის თვალსაზრისმა განიცადა გარკვეული კრიტიკა. საერთოდ ფრაზეოლოგიზმების შესწავლაში საპატიო დამსახურება მიუძღვის არლი თაყაიშვილს.⁴⁷

ფრაზეოლოგიზმების დაჯგუფებისას ერთგვარი ანგარიში უნდა გაეწიოს ვ. ვ. ვინოგრადოვის პრინციპს, მაგრამ თითოეული ჯგუფის გამოყოფისას გათვალისწინებული უნდა იქნეს: თუ ერთეულის რა ფარგალში გასდევს ტროპის ნიშან-თვისება. ზოგიერთ ფრაზეოლოგიურ ერთეულში გამოთქმის ფარგალშია ტროპის ელემენტი, ზოგიერთში კი მთელი წინადადების მანძილზე გასდევს.

ყოველივე ამის შესაბამისად ფრაზეოლოგიური ერთეულები შეიძლება ასე დაჯგუფდეს: იდიომა, ანდაზა, აფორიზმი (სენტენცია, ანუ დამრიგებლობა) და ფრთიანი თქმა (სიტყვა).

ამ ჯგუფებს ის აქვს საერთო, რომ მეტყველებაში ყველა არსებობს როგორც „მზა მასალა“, პირობითად განსხვავდებიან მართო იმის მიხედვით, თუ როგორია ელემენტთა „შეხამების“ სიმტკიცე და როგორია ტროპიზაციის ფარგალი.⁴⁸

ფრაზეოლოგიური ერთეულები მეტყველებაში მკვიდრდება თანამიმდევრულად. ენა ინახავს ფრაზეოლოგიურ ერთეულებს. ზოგჯერ სრულიად „დაბნელებულია“ ფრაზეოლოგიური ერთეულის აგების ხასიათი, მაგრამ მეტყველება მაინც მოიხმარს მათ, ვინაიდან „გაქვავებული შეხამება“ მაინც გამოხატავს რაიმე ფუნქციას.

ფრაზეოლოგიზმები ენის სიმდიდრეა. განსაკუთრებული დანიშნულება ენიჭებათ ფრაზეოლოგიზმებს არამშობლიური ენების შესწავლისას, ვინაიდან მათი გააზრება ისე ხდება, როგორც ცალკეული ერთეულებისა ანუ სიტყვებისა.

ა. იდიომა ფრაზეოლოგიზმების ძირითადი სახეობაა. იდიომაში ყველაზე ძლიერია სიტყვათა შეხამების სიმტკიცე. ტროპის ნიშანი გამოთქმის ფარგლებშიც საკმარისია იმისათვის, რომ ერთეული გადატანითი მნიშვნელობით იქნეს მოხმარებული: ცხვირიდან ძმრის დენა. რა თქმა უნდა, მეტყველებაში „მზა მასალის“ სახით არსებობს იდიომა.⁴⁹

იდიომატური შეხამებები დროთა ვითარებაში გროვდებიან ენაში და ლექსიკური ერთეულების ფუნქციით უწევენ ადამიანს სამსახურს. ზოგჯერ აღარც ვფიქრობთ, რომ ისინი იდიომებია: ყურადღება, თვალსაზრისი, გონებადაკარგული, გულმოკლული და სხვა.⁵⁰

47. ა. თაყაიშვილი, ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები, 1961 წ.

48. В. В. Виноградов, Лексикология и лексикография, М., 1977, стр. 130.

49. ალ. ონიანი, ქართული იდიომები, 1966 წ.

50. А. И. Ефимов, О языке художественных произведениях, М., 1954, стр. 181.



იდიომები, როგორც ცალკე ერთეულები, მეტყველებაში სათანადო სიტყვების სინონიმებს წარმოადგენენ: „ლაგამის ამოდება“⁵¹ გაჩუმება, და-მორჩილება; „თითზე კბენა“ სინანული.

ზოგჯერ არ ხერხდება ერთი ენის იდიომატური მასალის მეორე ენაზე სიტყვასიტყვით თარგმნა. ასეთ შემთხვევაში მეორე ენაში დაეძებნება სათანადო შინაარსის იდიომა. რა თქმა უნდა, სიტყვიერი შემადგენლობის მსგავსებას მნიშვნელობა არა აქვს. ამიტომ ძალზე მოხერხებულია, რომ არსებობს ფრაზეოლოგიური, ამ შემთხვევაში – იდიომების ლექსიკონები: რუსულ-ქართული, ფრანგულ-ქართული და სხვა.⁵¹

სანიმუშოდ იქნება წარმოდგენილი რამდენიმე იდიომა:

ჩემს ბედს ძალოც არ დაეფეს!
 ხელ-ფეხს ქარი ამოვალბინე.
 მე კი მიყვილია, და!
 მე ეს ჭკუაში დამიჭდა.
 კრიკაში ჩაუდგა.
 წვერი მოერღვა პაკიჭს.
 ყურებზე ხახვი არ დამაჭრა!
 ქოშებინ უკუურა.
 ლაგამ-წყაყრილი ლაპარაკი.
 დამწვარზე მდულარეს დასხმა.
 წყლის ნაცვა.
 სირცხვილის კმევა.
 თავის მოჭრა.
 ენის დაბმა.
 თვალის დადგომა.

ბ. ანდაზა ძალზე გავრცელებული ფრაზეოლოგიზმია და ძლიერ სტილისტიკურ კატეგორიად მიიჩნევა. ანდაზა უპირატესად წინადადების სახით არის მოცემული. ტროპული ნიშანი ანდაზას მთელი წინადადების ფარგალში გასდევს. იდიომასთან შედარებით ანდაზაში სიტყვათა შეხამება უფრო სუსტია.

მეტყველებაში ანდაზა არსებობს „მზა მასალის“ სახით და საჭიროებისამებრ მთქმელი მოიხმარს სათანადო მომენტთან დაკავშირებით. ანდაზის მეორე ენაზე თარგმნა სიტყვასიტყვით ზოგჯერ არ ხერხდება, მაგრამ

51. ნ. გამრეკელი, ე. მგალობლიშვილი, ქართულ-რუსული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1966 წ. შ. ბიძიგური, საქნათმეცნიერებო საუბრები, თბ., 1975, გვ. 65.



მეორე ენაში დაეძებნება შესაფერისი შინაარსის ანდაზა. საამისოდ არსებობს სპეციალური ლექსიკონები, მაგალითად: რუსულ-ქართული ანდაზების და სხვა.

ანდაზები გვხვდება ენის სხვადასხვა ტიპში, განსაკუთრებით სიტყვიერი ხელოვნების ენაში, სასაუბრო მეტყველებაში, პუბლიცისტიკის ენაში და სხვა.

ანდაზა სიმდიდრეს წარმოადგენს ყოველი ენისათვის. არამშობლიური ენის შესწავლისას ანდაზების ცოდნა ამდიდრებს ლექსიკურ მარაგს.⁵²

წინა კაცი უკანასი ზიდაო.

ცლა ბედის მონახევრა.

ცული შვილი დედ-მამის მაგინებელია.

ზღვა კოვხით დაილევაო.

თავის-თავის ქება დამბალ კიტრად არ ღირსაო.

კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდაო.

მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო.

მუხას მისდგომიან: ვაშლი რატომ არ გასხიაო.

ნემსის ქურდი და აქლემის ქურდი ერთი და იგივეაო.

შვილი მტრად გაზარდე, რომ სამოყვროდ გამოგადგესო.

მაძლარი მშიერს წვრილად უფხვნიდაო.

არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი.

მითხარი, ვის იცნობ და გეტყვი: ვინცა ხარო.

სიმართლით მოჭრილი ხელი არ მეტკინებაო.

ათჯერ გაზომე და ერთხელ მოსკერიო.

მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტიაო.

სწავლის შეძენა ყველაზე უძვირფასესი განძიაო.

აფორიზმი (სენტენცია) ფრაზეოლოგიზმის ერთ-ერთი სახეობაა. აფორიზმს ჩვეულებრივად უწოდებენ ბრძნულ, დამრიგებლობითი ხასიათის გამონათქვამს. აფორიზმში ერთგვარად მაინც უფრო თავისუფალია სიტყვათა შეხამების დონე, მაგრამ აფორიზმიც მეტყველებაში არსებობს „მზა მასალის“ სახით და მას მოვიხმართ გარკვეული სიტუაციის შესაბამისად. აფორიზმი უპირატესად წინადადების სახით არის მოცემული.⁵³

52. გ. შალამბერიძე, ილია ჭავჭავაძის ენა, თბ., 1966 წ. გვ. 276.

53. ალ. ლლონტი, ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, 1971 წ. გვ. 91.



აფორიზმებით ენის გამდიდრების წყაროა გამოჩენილ მწერალთა, მო-
ლვაწეთა ნაწერებში მოპოვებული დამრიგებლობითი ხასიათის გამონათ-
ქვამები.

აფორიზმები გამოხატავენ შესაბამისი ეპოქის, კლასის, საზოგადოების
ცალკეული წრეების და ცალკეული პირების იდეოლოგიურ მრწამსსა და
შეგნებას, ჰუმანიზმსა და კეთილშობილებას.

ვინც მოუვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია.

(შოთა რუხთაველი).

კარგი საქმე კაცსა ზედა აზომ თურმე არ წახდების.

(შოთა რუხთაველი).

რალა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია.

(შოთა რუხთაველი).

უმსგავსო საქმე ყოველი მოკლეა, მით ოხერია.

(შოთა რუხთაველი).

ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია.

(შოთა რუხთაველი).

სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდების.

(დავით გურამიშვილი).

არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს.

(ნოქლოლზ ბარათაშვილი).

მეცით ნიქსა გზა ფართო, თავჯანისცემა ღირსებას.

(გრიგოლ ორბელიანი).

მკვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ სახელი არ დარჩენია.

(ილია ჭავჭავაძე).

პატიოსან ღარიბს რითა სჯობს გამდიდრებული იულა.

(აკაკი წერეთელი).

წიგნი შრომის დროს აგურია და ბრძოლის დროს
ტყვიით სავსე ყუმბარა.

(ალიო მირცხულავა).

ღინესაც ვერცხლივით დაზოგვა უნდა.

(გიორგი შატბერაშვილი).

შვილმა რომ ხელის გულზე ერბო-კვერცხი მოიწვას,
დედის ამავე მაინც ვერ გადაიხდისო.

(ხალხური)

ფრთიანი თქმა (სიტყვა) აღიარებულია, როგორც ფრაზეოლოგიზმების
ერთ-ერთი სახეობა. ფრთიან თქმაში სიტყვათა შეხამება შედარებით თა-
ვისუფალია, მაგრამ თუ ერთეული ტრადიციულად დამკვიდრდა მეტყვე-
ლებაში, დასამახსოვრებელ წყობას მიიღებს. ფრთიანი თქმა (крылатые



ლიბა) მეტყველებაში არსებობს „მზა მასალის სახით“ და მრავალმხრივ სიტუაციას შეესაბამება თავისი ფუნქციით.⁵⁴

ფრთიანი თქმა (სიტყვა) ყოველი ეპოქისათვის არის დამახასიათებელი და ის გაისმის, როგორც ცალკეული ლოზუნგი, მოწოდება, დარიგება, განსჯა.

ფრთიანი თქმები (სიტყვა) განმსჭვალულია პოლიტიკური მიზანდასახულობით, ზნეობრივი სენტენციის შინაარსით, აღმზრდელობითი თვალთახედვით, პატრიოტული სულისკვეთებით და სხვ.

აღამიანი აღამიანისათვის არის: მეგობარი, ამხანაგი და ძმა.
 სიზარმაცე დედაა ყველა უბედურების!
 სამართლიანი საქმისათვის იღეჭი მედგარად!
 ერთი ყველასათვის – ყველა ერთისათვის!
 აღამიანს აღიადებს მისი საქმე!
 უცეცხლოდ არ არსებობს კვამლი!
 ძმავ, ძმითა ზარ ძლიერი!
 სამშობლო – უპირველეს ყოვლისა!
 შრომა აკეთილშობილებს აღამიანს!
 მე ვარ და ჩემი ნაბადი!
 არავინ და არაფერი არ არის დავიწყებული!
 წესრიგი ყველგან და ყველაფერში!

პერიფრაზი მიჩნეული უნდა იქნეს ტროპის ერთ-ერთ სახეობად. პერიფრაზი მეტყველებაში მოცემულია გამოთქმის სახით. მთელი გამოთქმა (ორი სიტყვა მაინც) ერთად არის მოხმარებული გადატანითი მნიშვნელობით. პერიფრაზი ისეა აგებული, რომ თითქოს ერთ გამოთქმაში ერთად წარმოდგენილია ეპითეტი და მეტაფორა.⁵⁵ პერიფრაზი, როგორც ყოველი ტროპი, სათანადო სიტყვიერი ერთეულის სინონიმს წარმოადგენს. ზოგჯერ იტყვიან, რომ ვინმეს აქვს ოქროს ხელი. მთელი ეს გამოთქმა გამოხატავს შინაარსს, რომ ვიღაცას შესძლებია რაიმეს გაკეთება მაღალი ხარისხით, შეუძლია კარგად და მოსაწონად შესრულება. თუ იტყვიან: გალიაში მოათავსეს ცხოველთა მეფე; პერიფრაზი „ცხოველთა მეფე“ აღნიშნავს ლომს. აქაკი წერეთლის მიმართვაში: „სულმნათო, მადლი შენსგამჩენს!“ პერიფრაზი „სულმნათო“, გულისხმობს შოთა რუსთაველს.

54. თ. შავიშვილი, ფიგურალური სიტყვა-თქმების კრებული, თბ., 1960.
 55. И. Р. Гальперин, Очерки по стилистике английского языка, М., 1958, тш. 158.



პერიფრაზი ძალზე მოხერხებული სტილისტიკური კატეგორიაა: მხატვრული სახეების გამოსაძერწად.

აღამიანი პერიფრაზაში მკვეთრად ამჟღავნებს თავის დამოკიდებულება-მიმართებას საგნებისა და მოვლენებისადმი, გამოხატავს თავისი თვალსაზრისის შესაფერის ემოციურ ელფერს, კლასობრივ და სუბიექტურ განწყობას.

ილია ჭავჭავაძის „აჩრდილში“ პერიფრაზი „შრომის სუფევა“ „თავისუფლების“ სინონიმია:

შრომის სუფევა მოვა მაშინა
ჭეშმარიტების მის ძლიერებით!

იროდიონ ევლოშვილის პოემაში „მუზა და მუშა“ გაოცებული მუშა ასე მიმართავს მუზას:

მუზავ, რა გინდა შენ ამ ადგილას,
ღმერთების შვილო, აქ მუშასთანა?!

გრიგოლ ორბელიანმა უწოდა ერეკლე მეორის ხმალს „დიდება ივერიისა“:

მამული ველარ იხილავს ირაკლის ხმალსა მღელვარეს,
დიდება ივერიისა მასთან მარხია სამარეს!

ხალხურ პოეზიაში ერეკლე მეორის სინონიმად შერჩეული იყო პერიფრაზი **რკინის კარი**.

ალექსანდრე აბაშელს ეკუთვნის ლექსი – „ჩვენი ქვეყნის შნო და ფერი“, რომელშიც თითქმის ყველა გამოთქმა წარმოადგენს პერიფრაზს, და ყველაში იგულისხმება – საქართველო:

ხეავიანო მზის წისქვილო,
ანთებულო მიწის პირო,
კლდის ნაპრალო გარღვეულო,
ზეცის ელვად დაფრქვეულო,
ამირანის ნაბუდარო,
ზევით – ცისკრის ნაპერწყალო,
ქვევით – შუქით საესე წყალო,
ნისლი მაღალ მთებისაო!
ცის ლაქვარდო აფრენილო,
მზის სხივებით დაფენილო,
ჩრდილო ორბის ფრთებისაო!
განთიადის ოქროს წვეთო,
შელამების ლურჯო სვეტო,
მოჩუხჩუხე წყაროს თვალო,
ცის და მიწის მონაბერო –
საქართველოს შნო და ფერო,
ერთად როგორ ჩამოგთვალო!

იოსებ ნონეშვილის მიმართვა ხალხისადმი ახალი წლის გამო:

ყველას,
ყველას,
ვის გულსაც
შრომის ცეცხლი ალაგზნებს,—
მიუღლოცავ ბედნიერ
და მშვიდობის ახალ წელს!

შენ ჩემთვის მზე ხარ ამომავალი,
ხულის სიმაღლევ, გულის ნათელი,
არის ლამაზი მხარე მრავალი,
მაგრამ არ არის სხვა საქართველო!

(გრეგორ აბაშიძე).

შენს მოტირილს მეც ვისმენდი,
ცად აპურობილს კვამლის ზოლად,
შენი ცრემლის მელნით ვწერდი
მშობელ მიწის გასაგონად.

(სიმონ ჩიქოვანი).

ევფემიზმი ტროპის განსაკუთრებული სახეობაა.

ადამიანს მეტყველება სჭირდება სხვასთან ურთიერთობის დასამყარებლად. მაგრამ ენის დანიშნულება მარტო ამით არ ამოიწურება. ადამიანური ურთიერთობანი მრავალნაირი ვითარებითაა შეპირობებული. მთქმელი ენით გამოხატავს თავის მრწამსს, თავისი სულიერი სამყაროს ყველა ჩანაფიქრს დადებითი ან უარყოფითი შეფასებით. ყველასთან ერთნაირი „ენით“ მიმართება არ არის ტრადიციულად მიღებული: ზოგი ახლობელია, ზოგი უცხოა; ზოგი უფროსი, ამხანაგი, თანატოლი და სხვა. ენამ სხვადასხვაგვარად უნდა გახაზოს შესაბამისი მიმართება.

ტრადიცია მოითხოვს, რომ სიტყვიერ მასალაში აისახოს საუბრის ობიექტთან შექმნილი კონკრეტული სიტუაციის ხასიათი. მთქმელი საგანგებოდ არჩევს აზრისა და გრძნობის გადმოცემის სიტყვიერ საშუალებებს: „ზოგი სიტყვის (თუ გამოთქმის) ხმარება უხერხულად ითვლება, ამიტომ შეგნებულად გაურბიან ამ სიტყვებსა (და გამოთქმებს) და ცვლიან სხვა სიტყვებით (და გამოთქმებით). უხერხული სიტყვებით ამ შენაცვლებას ევფემიზმი ეწოდება...“ „კეთილად ვმეტყველებ“, „ზრდილობიანად ვლაპარაკობ“⁵⁶.

თვით მეცნიერების ენაც კი ზოგჯერ ვერ ასახელებს რიგ საგნებსა და მოვლენებს თავიანთი ჩვეულებრივი სახელებით და მიმართავს შენაცვლებას. გამოდის ისე, რომ შერჩეული შენაცვლებების ერთეული აღნიშნავს იმავე საგანსა და მოვლენას, მაგრამ „შემცვლელი“ თითქოს „ამსუბუქებს“ ჩვეულებრივი მნიშვნელობით გამოხატვის „უხერხულობას“.

56. არნ. ჩიქოვანა, ენათმეცნიერების შესავალი, 1962 წ. გვ. 191.



ვნენ, მაგრამ შემდეგ, დროთა ვითარებაში მომხდარა ფონეტიკური ცვლილებები და დამსგავსებიან ერთმანეთს; მაშასადამე, ომონიმები სხვადასხვა წარმომავლობის ძირებისაგან მიიღებოა. მაგრამ არსებობს საპირისპირო მოსაზრებაც, რომლის მომხრეებს არ მიაჩნიათ აუცილებლად ომონიმების განმარტებისას მათი წარმომავლობა სხვადასხვა ძირებისაგან: თუ არსებობს შემთხვევა, რომ გარეგნულად (ბგერითად) საეხვებით ერთნაირი სიტყვები მოხმარებულია სხვადასხვა დანიშნულებით – ასეთი სიტყვები უნდა მიჩნეულ იქნას ომონიმებად. ამ თვალსაზრისის შესაბამისად ომონიმების წრე საკმაოდ დიდდება.²³

ომონიმის მიხედვით გამოდის, რომ გარეგნულად (ბგერითად) ერთგვარ სიტყვებს კონტექსტში შეუძლიათ სხვადასხვა მნიშვნელობების გამოხატვა. თითქოს მსგავსი ვითარებაა ტროპიზაციის დროსაც, როცა სიტყვის ერთ ფორმას შეუძლია გადმოსცეს ერთზე მეტი მნიშვნელობა: ერთი – ჩვეულებრივი (პირველადი). და სხვა – დამატებითი (მეორადი). ამის შესაბამისად ძალზე ახლოს დგას ერთმანეთთან ტროპიზაციისა და ომონიმის მოვლენები. ამიტომ შეიძლება, რომ ომონიმებს მიეკუთვნოს ტროპის სახეობები და ეწოდოს – **სტილისტიკური ომონიმია**.²⁴

სიტყვა „ცეცხლი“ ქართულში თავისი პირველადი მნიშვნელობით ბუნების გარკვეულ მოვლენას აღნიშნავს, მაგრამ გადატანითი მოხმარებით მისი მნიშვნელობა ზოგჯერ არის დარდი ან რისხვა და სხვა.

მეტყველების ფაქტში მეტყველების ერთეულების გადატანითი მნიშვნელობით მოხმარებას გარკვეული წესები და საფუძველი გააჩნია. ამის შესაბამისად გამოიყოფა ტროპების სახეობები: მეტაფორა, ეპითეტი, შედარება, პერიფრაზი და სხვანი.

მეტაფორა – ტროპის ერთ-ერთი ძირითადი სახეობაა.²⁵ მეტაფორაში სიტყვის გადატანითი მნიშვნელობით მოხმარების საფუძველია ჩვეულებრივ ფუნქციასა და მეორად ფუნქციას შორის ნიშან-თვისებათა მსგავსება. ძველმა ბერძენებმა და რომაელებმა ფრიად ამაღლებული ღირსება მიანიჭეს მეტაფორას, როგორც სტილისტიკურ შესაძლებლობას, როგორც ტროპს. გამოჩენილი ბერძენი მოაზროვნე **არისტოტელე** წერს: „...უდიდესი საქმეა მეტაფორების ოსტატურად გამოყენება. ვინაიდან ეს არ შეიძლება სხვისაგან იქნას გადმოღებული და იგი არის ბუნებრივი ნიჭის ნიშანი. კარგი მეტაფორის შექმნა იგივეა, რაც მსგავსების ხილვა“.²⁶ რომელიღიდი ორატორი **ციცერონი** ასე აფასებს მეტაფორას: „მეტაფორა ანიჭებს

23. ვ. თოფურია, მშობლიური ენის სწავლების საკითხები საშუალო სკოლაში, ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება სკოლაში, კრებული . 1956 წ.
 24. ალ. გვენცაძე, ზოგადი სტილისტიკის საფუძველები. 1974 წ. გვ. 42.
 25. ა. კილაია, ლიტერატურისმცოდნეობის ძირითადი ცნებები, 1971 წ.
 26. არისტოტელე, პოეტიკა, წინასიტყვაობა, თარგმანი და კომენტარები ს. დანელიასი, 1944 წ. გვ. 49.



მეტყველებას უდიდეს სიცხადესა და ბრწყინვალეობას, თითქოს ისინი იფ-
რქვევიან ვარსკვლავებიდან".²⁷

მეტაფორა უპირატესად ერთი სიტყვით არის გამოხატული: ზმნით. მე-
ტაფორა ავტორის უშუალო შემოქმედების ნაყოფია. მეტაფორის მოხმა-
რებას ვხვდებით სხვადასხვა ტიპის ენაში, უპირატესად კი - მხატვრული
მწერლობის ენაში.

მეტაფორა მხატვრული სახის შექმნის უძლიერესი შესაძლებლობაა.
იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამებაში“ მეუღლისაგან განშორებული და
დასჯილი შუშანიკი ასე იხსენიებს ვარსკენს: „მიაგოს მას უფალმან, ვი-
თარ მან უუამოდ ნაყოფნი ჩემნი მოითვლნა და სანთელი ჩემი დაშრიტა
და ყვავილნი ჩემი დააქკნო, შვენიერებანი სიკეთისა ჩემისა დააბნელა და
დიდება ჩემი დაამდაბლა“ (ხაზგასმული სიტყვები მეტაფორებია).

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ ჩანს, რომ თინათინმა გაუმ-
ელაგნა ავთანდილს სიყვარული და თან დაავალა ტარიელის საძებნელად
და ვინაობის გასაგებად წასვლა, ე. ი. საგმირო მოქმედების გამოჩენა:

შენგან ჩემი სიყვარული ამით უფრო გაამყარე,
რომე დამხსნა შეპირება, ეშმა ბილწი ასაყარე.
გულსა გარე საიმედო ია მორგე, ვარდი ყარე,
მერმე მოდი, ლომო, მწეხა შეგეყრები, შემეყარე!

„ვისტამიანი“ გვაუწყებს ვისისა და რამინის შეხვედრაზე:
რა რამინ ქვეყნისა დამაშუენებელსა მწეხა გუერდით დაჯდა, მაშინვე
მისისა გულისაგან ცეცხლი და კუამლი დაშრტა.

მომდევნო მაგალითებში ხაზგასმული სიტყვები მეტაფორებია.
შელამდა... მარტო ვზი კმუნვით; ჩემი ჩივილი ვის
ესმის!

დაურუვდა არე... მხოლოდ ხმა ისმის ზოგჯერ გუშაგის
(გრიგოლ ორბელიანი).

...პეპიასა და მისი გოგოს ნალველი უფრო ცეცხლს მიკიდებდა!
(ილია ჭავჭავაძე)

მოთესა უცებ ზღვა გასკდა,
შიგ დატრიალდა ღეთის თვალი!
(რაფიელ ერისთავი).

ცრემლი მომერია, გული მომიკვდა; ვაიმე, დედავ, თუ დაგიპიროს მაგ
წყეულმა!

(ვაჟა-ფშაველა)

უკან მოჩხავის მხეცი ვერანი,
მშიერ ყორნებს შავი გუნდები.-
ვერ დაგეწია გზაში ვერაინ,
მშვიდობიანად შინ დაბრუნდები!
(ალექსანდრე მირცხულავა).

27. Античные теории языка и стиля, 1936, ст. 221.

ჭურჭებს ცეცხლი გასჩენია,
თუ ნათელი დროშებია?!
(გრიგოლ აბაშიძე)

ვეელას,
ვეელას,
ვის ველსაც
წრომის ცეცხლი აღაგზნებს,—
მოგილოცავთ ბედნიერ
და შვიდობის ახალ წელს!
(იხებნ ნიწეშვილი).
შენ რომ სტრიქონებში
ცეცხლი დაგინთია.
შენ რომ შვილად ზრდიდი
კრემლით დავითიანს!
(გრიგოლ აბაშიძე)

მეტაფორა გვხვდება არა მარტო სიტყვიერი ხელოვნების ძეგლების ენაში (პოეზიისა და პროზის ენაში), არამედ სხვა ჟანრების ენაშიც, სხვა ტიპის ენაშიც.

უკანასკნელ წლებში სიტყვა „მეტაფორას“ ერთგვარად ფართო მნიშვნელობით იყენებენ ზოგიერთები. „მეტაფორით“ აღნიშნავენ ზოგიერთ სიმბოლოს და ალეგორიული ჟანრის ნაწარმოებსაც კი. ასეთი აღრევა არ არის მართებული. მეტაფორა არის სტილისტიკური კატეგორია, მამასა-დამე, მეტყველების განსაკუთრებული შესაძლებლობა, ხოლო „ალეგორია“ არის ნაწარმოების ჟანრი. მათი ერთმანეთში არევა გაუმართლებელია.

„სიმბოლო — ტროპის ერთ-ერთი სახეობაა. მეტაფორა და სიმბოლო ზოგჯერ ძალზე მგვიანან ერთმანეთს, მაგრამ მათ შორის შიშველი თვალსაჩინო განსხვავებაა. მეტაფორაში სიტყვის ჩვეულებრივი მნიშვნელობის შეცვლა არაპირდაპირი მნიშვნელობით ხდება, ამ მნიშვნელობათა მსგავსების საფუძველზე, ხოლო სიმბოლოში მნიშვნელობის შეცვლას სხვა საფუძველი აქვს. სიმბოლოში ფუნქციას პირობითობა ახასიათებს.“²⁸

სიმბოლიზაციის სხვადასხვა სახეობებიც არსებობს; მაგალითად, საგანთა სიმბოლოცა და სხვა. „მტრედი“ მიჩნეულია შშვილობის სიმბოლოდ; „ჩირაღდანი“ — განათლების პირობითი მაჩვენებელია. ასეთ სიმბოლიზაციას „ემბლემატ“ ეწოდება.

მეტყველებაში მოხმარებული სიმბოლიზაცია ფართოდ იყო გამოყენებული ძველი ქართული მწერლობის ძეგლების ენაშიც.²⁹

28. ს. გაჩეილაძე, ლიტერატურის თეორია, 1968 წ., გვ. 98.

29. რ. ბარამიძე, ნარკვევები მხატვრული პროზის ისტორიიდან, 1966 წ.

სათანადო ლექსიკონებში სიმბოლო ასეა განმარტებული: „ტროპის ერთ-ერთი სახე, გადატანითი მნიშვნელობით ნახშირი სიტყვა, პირველად მისი ნამდვილისა და შესაძლებლის მისანიშნებლად.“⁸⁰

იოანე საბანისძის „აბოს წამებაში“ 16 საგან-სიტყვის სიმბოლიზაციით აღნიშნება აბო თბილელის მოწამებრივი ცხოვრება-სიკვდილის დახასიათება-შეფასება. მოვიყვანოთ ზოგიერთი მათგანი:

კარ ეწოდა, რამეთუ თქუა: „მე ვარ კარ ცხოვრებისა, რამეთუ ჰეშმა-რიტად მოარწმუნენი მისნი მის გამო, ვითარცა კარსა მას სიკვდილისასა შევალთ“.

გზა ეწოდა, რამეთუ თქუა: „მე ვარ გზა და ჰეშმარიტება და ცხოვრება“, რამეთუ ზეცად აღმავალთა გუექმნების ჩუენ გზა, და სხვა:

„ვეფხისტყაოსანში“ სიტყვა „შავი“ სიმბოლურად აღნიშნავს ტარიელის ცხენს, რომლითაც გმირი დადის და დაეძებს დაკარგულ სატრფოს:

შავსა აუღდა ლაგამი, სწმენდდა რიდისა წვერითა,
შეკაზმა, მოაქვს აბჯარი წყნარად, არ ჩამე ჩხერთა.

მომღევენო მაგალითებში ხაზგასმული სიტყვები სიმბოლურია:

დაე, მისთვის გაელარიბდეთ,
ზურგს მოვიღვთ საწყლის გულა;
პატიოსან ღარიბს. რით სჯობს
გამდიდრებული იუდა?
(აკაკი წერეთელი)

უკვე აღგა ჭარიშხალი
და გრიალებს კილითკიდე,
რომ ცას პირზე შეახიოს
ხუდარა და შავი რიდე.

უკვე აღგა ბრაზით სავსე,
მამაცი და ფრთამედგარი,
რომ განთიადხ გადაუხსნას
მიჯაჭვეული კლიტით კარი!

(იროდიონ ევლოშვილი)

ვაეაე! დაქრილი არწივის
წყლული დლითი-დღე მთელდება,
ყვავ-ყორნებს ისეე ფრთასა სცემს
და ბნელი ღამე თენდება!

(შოთ მღვიმელი)

შუქს გაუშარჯოს,-
სულ რომ მატულობს

(გრიგოლ აბაშიძე)

როდესაც ცეცხლი სწვავდა ტრამალებს,
მაშინ შენ შენი ცრემლი დამალე,
რომ შენს გამოზრდილ ფრთამალებს

80. ვილაია, ლიტერატურისმცოდნეობის ძირითადი ცნებები, 1971 წ.

მეტონიშია ტროპის ერთ-ერთ სახეობად ითვლება. მეტონიშია გადატანილი მნიშვნელობით გამოყენებული შესაძლებლობაა. ჩვეულებრივი მნიშვნელობასა და მეორად მნიშვნელობას შორის არსებობს რაიმე სახის მიმართება ან დამოკიდებულება.

„მეტონიშია... ტროპის ისეთი სახეობაა, რომელშიც ერთი მოვლენიდან მეორეზე თვისებათა გადატანა ხორციელდება არა მსგავსების საშუალებით, არამედ მოვლენათა შორის რეალური კავშირის საფუძველზე“.³¹ შეიძლება, რომ ვინმემ თქვას: მაქსიმ გორკით ვარ გატაცებული! – აქ გამოირიცხვლია, რომ მთქმელი გულისხმობდეს, ავტორს როგორც პიროვნებას. მთქმელმა აღნიშნა მიმართება-დამოკიდებულება მწერალსა და მის შემოქმედებას შორის.

კონსტანტინე გამსახურდია „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენაზე ერთ ადგილზე წერს: „ჩამოიარა ჭიხვძაც. უხმოდ ჭამას შეუდგნენ მეინახენი კვლავ“. აქ სიტყვა „ჭიხვი“ გამოხატავს ყანწს.

მომდევნო მაგალითებში ხაზგასმული სიტყვები მეტონიშებია:
ასი ოქრო გაუჩინეთ, – ვინც არსენას დაიჭერს!
(ხალხური)

ჩემო კალამო, ჩემო კარგო,
რად გინდა ტაში!

(ილია ჭავჭავაძე)

სადილიდან დარჩომილი კაი ცივად ძროხა გვაქვს...
'იგულისხმება, რომ ხორცი არის ძროხის).

(ილია ჭავჭავაძე)

ძალს ეკვეთა გაშმაგებით,
მოუქნია შიშვე რკინა
და ფარების შემნახველი
დააწვინა
მწყემსის წინა...

(ოვანეს თუმანიანი).

სინექდოქე (სინექდოქა) – ტროპის თავისებური სახეობაა. მეტყველებაში არის შემთხვევები, როცა სიტყვის მხოლოდითი ფორმით გამოვსტავთ მრავლობითობას, ან ნაწილის დასახელებით აღინიშნება მთელი შინაარსი.

სინექდოქეში „გვაროვნული სახელწოდება იცვლება ცალკეული სახეობით, მრავლობითი რიცხვი – მხოლოდითით, მრავლობითი რიცხვი განმარტადებული სახელით (ან პირიქით)“.³²

31. რ. შამელაშვილი, ენათმეცნიერების ტერმინთა მოკლე ლექსიკონი, 1976 წ.
32. Л. В. Щепилова, Введение в литературоведение, 1956, стр. 131.

ილია ჭავჭავაძის ენაში სიტყვა „ძროხა“ ზოგჯერ მეტაფორას წარმოადგენს, ზოგჯერ მეტონიმიც არის და გულისხმობს „ძროხის ხორცს“ (სადაც ერთოდ საქონლის ხორცს), მაგრამ რიგ შემთხვევაში სიტყვა „ძროხა“ როგორც მხოლოდითი ფორმის სიტყვა, გამოხატავს მრავლობითობას: ზაქრო ეუბნება კაკოს: „წამსვე ძროხაში მე მიკრეს თავი...“ – ცხადია, აქ „ძროხაში“, გულისხმობს, რომ პირფუტყვების მწყემსად გაამწყესეს. ირაკლი აბაშიძის ლექსი „თბილისის დამკვიდრდა არაბი“ ერთ სტროფში რამდენიმე სინექდოქას მოიხმარს:

კალიასავით მოედო
მთელ არემარეს არაბი,
ჭართველის ცრემლით შეივსო
ჩვენი მტკვარი და არაგვი!

ცხადია, ერთი არაბი კალიასავით ვერ მოედებოდა არემარეს; და ვერც ერთი ჭართველის ცრემლი შეეღებოდა ორ მდინარეს. იგულისხმება „არაბები“ და „ჭართველები“.

ჩვენო არაგვო, რა რიგ მიყვარხარ!
ჭართველის ცხოვრების მოწამედ შენ ხარ...

(ილია ჭავჭავაძე).

თანდაყოლილი დედის მუცლიდან
ყველგან თან ჰქონდა ჭართველს ფარ-ხმალი!

(გრაგოლ აბაშიძე).

ეპითეტი – სტილისტიკურ კატეგორიათა შორის ერთ-ერთი ფრიად ძლიერი და აღიარებულია. ჯერ კიდევ ძველი ბერძნები და რომაელები განსაკუთრებულ პატივს სცემდნენ ეპითეტის ღირსებას. არისტოტელე წერს: „სიტყვაში უნდა გამოყენებულ იქნეს მიზანშეწონილი ეპითეტები და მეტაფორები, რაც შეიძლება შეიძლოს შედარების გზით“.⁸²

მკვლევართა გარკვეული ნაწილი, ეპითეტად მიიჩნევს „განსაზღვრებას“. განსაზღვრება არის სინტაქსური კატეგორია. მაგრამ მინც არის მნიშვნება, რომ განსაზღვრება ორგვარიც: ჩვეულებრივი და „მხატვრული“.

ეპითეტად მიიჩნეულია „მხატვრული განსაზღვრება“. მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ „მხატვრული“ ყოველთვის არ არის გარკვეული მნიშვნელობის მატარებელი. გარდა ამისა, „განსაზღვრება“ როგორც სინტაქსური კატეგორია, წინადადებაში დაკავშირებულია მხოლოდ სახელით გამოხატულ წევრთან. ეპითეტი კი არსებობს ზმნასთანაც. ამის შესაბამისად „მხატვრული განსაზღვრების“ ცნება ვერ ფარავს ეპითეტის ფუნქციას.⁸⁴

82. არისტოტელე, რიტორიკა, 1981 წ. გვ. 169.

84. ს. ხუციშვილი, ეპითეტი ვაჟა-ფშაველას „მხატვრული“, 1972 წ.



ვინაიდან „მხატვრული განსაზღვრება“ მიაჩნიათ ეპითეტად, მას უნდა გამოხატავდეს ზედსართავი სახელი. მართლაც, ეპითეტის ფუნქციით უპირატესად მოხმარებულია მეტყველების ნაწილი, რომელსაც ეწოდება ზედსართავი სახელი. მაგრამ როგორც ზოგიერთის მიერ არის მითითებული, ეპითეტის ფუნქციით ზოგჯერ გვევლინება ზმნასთან დაკავშირებული სიტყვებიც. სინტაქსური თვალსაზრისით, „განსაზღვრება“ არასოდეს არ არის შეწყობილი ზმნასთან, ე. ი. შემასმენელთან. როგორც ჩანს „განსაზღვრება“, თუგინდ „მხატვრული განსაზღვრება“, ვიწროა ეპითეტის ფუნქციის დასატყვად.

ამოსავლად უნდა მივიჩნიოთ აკაკი შანიძის საყურადღებო დებულება „რაც ზედსართავია არსებითი სახელისაფვის, იგივეა ზმნისზედა ზმნისათვის: იგი ზმნასთან სახამებელი სიტყვაა და აქედან წარმოსდგა მისი სახელი“.⁸⁵

ამრიგად, ზედსართავის ფუნქციის მაგვარი ყოფილა ზმნისზედის ფუნქცია. ამ მოსაზრებას ეთანხმება გიორგი შალამბერიძის თვალსაზრისი. იგი წერს: „მხატვრული ნაწარმოების ექსპრესიულობა დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა საშუალებით აძლიერებს ავტორი ამა თუ იმ სიტყვით გადმოცემულ შინაარსს. ამ მხრივ, განსაკუთრებული როლი აკისრია ატრიბუტულ ზედსართავ სახელებს არსებით სახელებთან, ხოლო ვითარების ზმნისზედებს – ზმნებთან“.⁸⁶

ამიგადა, გამოდის, რომ ზედსართავი სახელებთან და ზმნისზედებთან ზმნებთან მსგავს ფუნქციებს ასრულებენ. ზედსართავით გამოხატულ წინადადებების წევრს ეწოდება განსაზღვრება; ხოლო ზმნისზედით გამოხატულ წევრს გარემოება. „განსაზღვრება“ და „გარემოება“ წინადადების არამთავარი წევრებია. ზმნასთან შეიძლება დაკავშირებული იყოს აგრეთვე „უბრალო დამატება“, როგორც არამთავარი წევრი.

ყოველივე ამის შესაბამისად, ეპითეტის გამოხატვა შესაძლებელი ყოფილა იმ ფუნქციებით, რომლებიც სრულდება: განსაზღვრებით, გარემოებითა და უბრალო დამატებით. ახლა დადგა საკითხი, რომ ამათ გამოყენებით საერთო სახელწოდება. მართლაც, არსებობდა გრამატიკაში საერთო სახელწოდება: ამხსნელი. სინტაქსური თვალსაზრისით ამხსნელი არის განსაზღვრება, გარემოება და უბრალო დამატება. მაგრამ მათი განაწილება ასე ხდება: განსაზღვრება არის არსებითი სახელით გამოხატული წევრის ამხსნელი, ხოლო გარემოება არის ზმნით გამოხატული წევრის ამხსნელი. ამის შესაბამისად, განსაზღვრება, უპირატესად გადმოიცემა ზედსართავი სახელით, ხოლო გარემოება ზმნისზედით. მაგრამ ამ უკანასკნელს ფუნქციით უნდა დაემატოს აგრეთვე უბრალო დამატება. შევნიშ-

85. ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1973 წ. გვ. 587.
 86. გ. შალამბერიძე, ილია ჭავჭავაძის ენა, 1966 წ. გვ. 200.

აეთ აგრეთვე, რომ ვითარების გარემოება ზოგჯერ გადმოცემულია მისი ზედის ფუნქციის შქონე სახელითაც: კარგად წერს. ასევე, უბრალოდ ამბობს გამოხატულია სახელით: ფანჭით დაწერა. რომ განვასხვავოთ ჩვეულებრივი ამხსნელებისაგან, ერთობლივად განსაზღვრებას, ვითარების გარემოებასა და უბრალოდ ამბობს უნდა ეწოდოს სტილისტიკური ამხსნელი. ახლა გამართლება ექნება იმას, რომ მართლა არსებობს: ჩვეულებრივი განსაზღვრება და სტილისტიკური განსაზღვრება (და არა „მხატვრული განსაზღვრება“).

განსაზღვრება
სტილისტიკური



ახლა დაისმის საკითხი, თუ როდის არიან სტილისტიკური ამხსნელები პითეტიის ფუნქციის გამოხატველი? თუ ეპითეტი ტროპის სახეობაა, ხდება, ის გამოხატავს გადატანითს მნიშვნელობას.⁸⁷

მართლაც, არსებობს მითითება, რომ ეპითეტად მოხმარებული სიტყვეთ, მაშასადამე, სტილისტიკური ამხსნელები, გადატანითი მნიშვნელობით მოხმარებული შესაძლებლობებია, და ამით ისინი მკვეთრად განსხვავდებიან ჩვეულებრივი ამხსნელებისაგან.⁸⁸

ამგვარად, ეპითეტი არის სტილისტიკური ამხსნელით გამოხატული კავშირია. სტილისტიკურ ამხსნელებად მიჩნეულ უნდა იქნას გადატანითი მნიშვნელობით მოხმარებული: განსაზღვრება, ვითარებითი გარემოება და უბრალოდ ამბობს.

განსაზღვრება-ეპითეტი გადმოცემულია ზედსართავი სახელით, რომელიც ერთვის სახელით გამოხატულ წევრს.⁸⁹

გარემოება - ეპითეტი გადმოცემულია ზმნისხედით და ზმნისხედის ფუნქციით მოხმარებული სახელით, რომელიც ერთვის ზმნით ამბობს გამოხატულ წევრს (შემასმენებს ან ნაზმნარს სახელს).

დამატება - ეპითეტი გადმოცემულია სახელით, რომელიც ერთვის მნიშვნით ან ნაზმნარით გამოხატულ წევრს.

ე. ეპითეტი სახელით (განსაზღვრება-ეპითეტი).

... მიეყრდნა ყურესა და მწართა ცრემლითა ტიროდა.

(იაკობ ხუცესი).

ერთი ხაწვადი მანეთი
არსენს ჭიბეში უდევსა.
(ხალხური „არხენაზ ლექსი“).

გულში ჩაყოლილ ფიქრს, თუ ოცნებას
ბაგე გაეპო ღაღი ღიმილით.
(ილია ჭავჭავაძე).

Л. В. Тихофеев, Основы теории литературы, М. 1971, с. 212.
И. Р. Галлерин, Очерки по стилистике английского языка, М. 1958, с. 138.
ალ. გვირაძე, ზოგადი სტილისტიკის საფუძვლები, 1974 წ. გვ. 49.

პაპანაქება ბული დგას,
უკირს საბრალო ყანასა.

(რაფიელ ერისთავი).

მის გულში იფეთქა შურმა ჯოჯოხეთურმა.

(ვახილ ბარნოვი).

...უხვი მასპინძელი მზესავით გაბრწყინებული სახით თავს დასტრიალებს აუარებელ სტუმარს და ყველას ერთად და თითოეულს განსაკუთრებით ტკბილი სიტყვით, მიმზიდველი ღიმილით იწვევს, ახალისებს საღბინოდ და სალალოზოდ.

(ეკატერინე გაბაშვილი).

მან ერთხელ კიდევ გადახედა ძმობილებს და მწიფე ხმას ოდნავ მეტსიმტკიცე მისცა.

(მიხეილ ჯავახიშვილი).

ბ. ეპითეტი წმნასთან (გარემოება-ეპითეტი)

დიღბანს დაყოფდა ბატონი ჩუმაღ,
დაფიქრებული მწარედ და ღრმაღ.

(ნიკოლოზ ბარათაშვილი).

ეგრე ვიდოდნენ დღენი და წელნი,
ეგრე უბიწოდ იგი ცხოვრობდა.

(ილია ჭავჭავაძე).

იმ ახალ აღმართს შეხედავ შიშით
და გულში მწარედ გაგეცინება.

(გრიგოლ აბაშიძე).

გულისფრიალით ვეპარებოდით ოლეს,
გადავირბენდით სათიბებს და გორებს.

(მურმან ლებანიძე).

გ. ეპითეტი წმნასთან (დამატება-ეპითეტი)

მაგრამ რა? ...დროსა მხვრელის ცელით, უოვლოა
წარწყმედით

ციურთა მჯობი მშვენიებლობაც სხვათებრ მოსთელილა!
(ალექსანდრე ჭავჭავაძე).

ზეცა წვალობად, ნუგეშად - ივერსა გაობრებულსა -
მეფედ მოუვლენს დავითსა, ზეგარდმო სიყრმით
ცხებულსა...

(გრიგოლ ორბელიანი).

სახე გამხდარი, კუშტი და მწყურალი
სიწმინდის მადლით დაშვენიბოდა.

(ილია ჭავჭავაძე).

წვერ-ულვაშზე მარგალიტებრ
ცრემლი ცრემლზე ეკიდება,
მწარის ოხვრით ვერ იქარვებს,-
გულს რომ ცეცხლი ეკიდება!

(აკაკი წერეთელი).

მთელ ქვეყანაში მარტოდმარტო და ეული დარჩა. ეს მარტობა და
ობლობა მძიმე ლოდად აწვა.

გაერთიანებული
(ვაჟა-ფშაველას)

ჩვენი ფიქრები ერთმანეთს
მდინარეებად ერთვიან!

(იოსებ ნონეშვილი).

არსენა დიდხანს იდგა შუა მინდორში მხედრის ძეგლივით აყუდებული,
ყვითელი ბოღმით გავესებული...

(მიხეილ ჭავჭავაძე).

ეპითეტის დანიშნულების შესახებ არსებობს საერთო აღიარება, რომ
ეპითეტი არის უძლიერესი სტილისტიკური კატეგორია; იგი ანიჭებს მე-
ტყველების დასრულებულ ფაქტს ლოგიკურ-ემოციურ ძალ-ლონეს; ეპი-
თეტი მკვეთრად გამოხატავს მთქმელის იდეურ თვალსაზრისს და სუბიექ-
ტური მრწამსის ნიუანსებს. ეპითეტი, ამასთან ერთად, აღამაზებს და ამ-
კობს საგნისა და მოვლენის სახეს, ან უარყოფითად ამდაბლებს და აკნი-
ნებს მას.

„ეპითეტები თავიანთი სიუხვით წარმოადგენენ ერთ-ერთ სტილისტი-
კურ ნიშანთაგანს, ყველაზე მკვეთრად რომ წარმოადგენენ მწერლის ინ-
დივიდუალობას, ლიტერატურულ მიმართულებას თუ ეპოქას. ყოველ
მწერალს მოეპოვება მისი სტილის სისტემის დამახასიათებელი გამორჩე-
ულად საყვარელი ეპითეტები“⁴⁰.

ეპითეტის შესახებ არსებობს მდიდარი ლიტერატურა.
შედარება გულისხმობს მთელი წინადადების ფარგლებში აზრის გამო-
ხატვის ერთობლივ საშუალებებს. შედარება ტროპის ერთ-ერთ სახეობად
უნდა იქნეს მიჩნეული.

ზოგიერთი წინადადება-შედარებას ყოფს ორ ნაწილად: პირველი თით-
ქოს ისეთია, რომელსაც იცნობს მთქმელი; ხოლო მეორე ისეთი, რომე-
ლიც მთქმელისათვის თითქოს ახალია და ამ უკანასკნელის ნაცნობთან
შედარება ქმნის მის გააზრებას.⁴¹

ასეთი თვალსაზრისი შეიძლება არ იქნეს გაზიარებული. პირიქით,
მთქმელისათვის ორივე მხარეა ნაცნობი, მაგრამ საჭიროა „ახალს“ მოე-
ძებნოს რაიმე „საზომი“ და საამისოდ ერთმანეთთან დატოლებულია ორი
მხარე მაინც. ილია ჭავჭავაძემ იცის, ლომი როგორ წამოიჭრება საფ-
რთხის გამო. მწერალმა თითქოს ნახა და იცის, როგორ წამოიჭრა კაკო,
როდესაც მან შენიშნა ცხენით მომავალი მხედარი; და ეს მომენტი რომ
უფრო გააცხოველოს, ასე გადმოგვცემს: „წამოხტა კაკო ლომივით ზეზე!“

40. ეს სიტყვები ეკუთვნის ვ. ბ. ტომაშევსკის; მოყვანილია ეშვარ კვიტაიშვილის
სტატიიდან „ეპითეტი აკაკის პოეზიაში“, ეურნ. „შნათობი“, 1988 წ. № 4.

41. მ. ზანდუკელი, ილია ჭავჭავაძის მხატვრული ოსტატობა, 1968 წ. გვ. 247.



ოდითგანვე განსაკუთრებულ პატივს სცემდნენ სიტყვიერ შედარებას. არისტოტელეს შედარებისათვის მოეპოვება ასეთი ახსნა-განმარტება: შედარება მეტაფორაა, რადგან მცირედ განსხვავდება მეტაფორისაგან; როდესაც პოეტი ამბობს აქილევსზე, რომ „ის, როგორც ლომი, ისე ეკვეთა“, — ეს შედარებაა. მაგრამ თუ ვიტყვით „ლომი ეკვეთა“ — ეს მეტაფორაა, რადგან ორივენი მამაცნი არიან, ამიტომ პოეტმა აქილევსს გადატანითი მნიშვნელობით ლომი უწოდა.⁴²

მთქმელი შედარების მეშვეობით გამოხატავს თავის სუბიექტურ მიმართებას საგნებისა და მოვლენებისადმი; ლოგიკურ-ემოციური ელფერის გამძაფრებით შედარება ძალზე მოხერხებული საშუალებაა სახეების შესაქმნელად; მთქმელი ამჟღავნებს თავის ცხოვრებისეულ გამოცდილებას, განათლების დონეს, ასაკს და სხვა. ამასთან ერთად, შედარება ქმნის შესაძლებლობას, რომ ადამიანმა ფართოდ მოიხმაროს მეტყველების ყველა მასალა, განსაკუთრებით კი ლექსიკური ფონდის მრავალფეროვნება, — ბუნებისა და საზოგადოების სფეროდან.

იმის გამო, რომ შედარება მოცემულია წინადადების სახით, მას განიხილავენ სინტაქსის ნიშნების თვალსაზრისით. მაგალითად, ასეთი ნიშნებია მაკავშირებლების მოხმარება. ეს მაკავშირებლებია: როგორ, ვით, ებრ, ისე... და სხვ. ცხადია, სინტაქსურადაც შეიძლება შედარება-წინადადების დახასიათება, მაგრამ შედარება არის ტროპის ერთ-ერთი სახეობა და გარკვეული თვალსაზრისით იგი სტილისტიკის ობიექტია. რა თქმა უნდა, შედარებაში ბევრი რამ ლექსიკოლოგიისა და სემასიოლოგიის ჩარევასაც საჭიროებს.

შედარება ძლიერი საშუალებაა სახეების შესაქმნელად, ამიტომ მისი მოხმარების ასპარეზი უფრო ფართოა სიტყვიერი ხელოვნების ძეგლების ენაში, განსაკუთრებით კი პოეზიის ენაში.

იაკობ ხუცესი ასე აგვიწერს შუშანიკის დასჯის ერთ-ერთ მომენტს, რომ ვარსკენი: „**ვითარცა მხეცი მძეინვარე ყიოდა და იზახდა ვითარცა ცოფი.** მაშინ შველად აღდგა ჯოჯიკ, ძმაი მისი, და იბრძოდენ, ვიდრემდის გვემა იგიცა. და კუბასტიცა თავსა მისსა მოხეთქა და ქირით, **ვითარცა კრავი მგელსა** გამოულო ხელთა მისთა და **ვითარცა მკვდარი** იღვა წმიდა შუშანიკ ქვეყანასა ზედა“.

„ვეფხისტყაოსანში“ ტარიელი ასე აგვიწერს ხატაელების წინააღმდეგ ბრძოლას:

შიგან ასრე გავერიე, გნოლის ჯოგსა ვითა ქორი,
კაცი კაცსა შემოვსტყორცნე, ცხენ-კაცისა დაედგი გორი;

42. არისტოტელე, რიტორიკა, ძველბერძნულიდან თარგმნა, შესავალი წერილი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო თამარ კუკავამ, რედაქტორი აკაკი ურუშაძე, თბ., 1981 წ. გვ. 174.



კაცი, ჩემგან განატყორცი ბრუნავს ვითა ტანაჯორი,
ერთობ სრულად ამოვწყვიტე წინა კერძო რაზმით

მზე ჩაესვენა: მის შუქი გამოსალმის ეამს კაცკასსა,
თავსა ეხვევა ალურსით, ვით ქალი მამახ მოხუცსა!
ბუმბერაზ მთანი მდუმარედ ცათამდის აყუდებულნი,
სხედან ვით დევნი, სპეტაკის ყინულ გვირგვინით შემკულნი
(გრიგოლ ორბელიანი).

გეთამაშება ნიავი,
ზღვახავით ლელავს სვიანი...

(რაფიელ ერისთავი).

ქვეყანა, გაზაფხულისაგან ხელახლად გაცოცხლებული და გაღვიძებული,
როგორც აკვნიდან ბავშვი, ისე იყურებოდა.

(ილია ჭავჭავაძე).

მთელი ქალაქის ბიჭები მტრედის გუნდით დასდევსა.
(ხალხური „არხენა“).

აენტუნენ ცეცხლის ალებრივ
შორს გაბნეულნი ღრუბელნი!

(გრიგოლ ორბელიანი).

არსენას სიტყვა ხამართებელივით სჭრიდა.

(მიხეილ ჭავჭავაძე).

შენ ვიუვარდა ხმა მტრევეისა,
და მომსკდარი კლდიდან თერგი,
შენ ძირს დაგკეს ფოთოლივით,
და მთახავით წამოდექი!

(გიორგი ლეონიძე, „ილიას“).

ტარიელ გოლუას შეპყრობის ამბავი ეღვასავით მოედო მთელ სო-
ფელს.

(ლეო ქიაჩელი).

ჩახედავ წარსულს და უეცრად ბავშვობა ჩვენი
ქაში ჩავარდნილ მთვარესავით შემოგვანათებს.

(გრიგოლ აბაშიძე).

ნეტავი, ღმერთო, მეც მომცა ჩანი და მაღა ხარისა,
სიტყვა — ხარით გაშწვევი მამულის გასახარისად,
ვიყო ხარით ამტანი, ვიყო ხარით მომთმენი,
ჩემი პატარა ქვეყნისთვის მეც შევძლო ხარისოდენი!

(შოთა ნიშნიანიძე).

ფრაზეოლოგია სწავლობს სიტყვიერი ფონდის იმ ერთეულებს (გამო-
თქმებს), რომლებიც არსებობენ, როგორც მყარი შეხამებები.

მეტყველებაში, საერთოდ, ყველა საშუალება მოცემულია გარკვეული
დანიშნულებით. მოხმარებამდე, ე. ი. აზრის გამოხატვამდე, ეს საშუალებ-
ები არსებობს, როგორც „მზა მასალა“, ტრადიციულად შემუშავებული

და საზოგადოებრივად დაკანონებული. მაშასადამე, მეტყველების პროცესში მთქმელი თავად კი არ „იგონებს“ საგნებისა და მოვლენების სახელებს, გრამატიკულ კატეგორიებსა და მათი გამოხატვის წეს-საშუალებებს, არამედ ყოველივე ეს მის განკარგულებაშია, როგორც, „მზა“ მონაცემი.

მეტყველების ლექსიკურ ფონდში მოიპოვება ერთგვარი საშუალება რომელსაც ფრაზეოლოგიში ეწოდება.⁴³

ფრაზეოლოგია სწავლობს ფრაზეოლოგიურ ერთეულებს. ლამის დამოუკიდებელ დარგად ჩამოყალიბდეს ფრაზეოლოგია, მაგრამ ამჟერად ფრაზეოლოგია ზოგიერთის მიერ მიჩნეულია ლექსიკოლოგია-სემასიოლოგიის ორგანულ ნაწილად.⁴⁴

ფრაზეოლოგიური ერთეულები ფუნქციის მიხედვით სტილისტიკური საშუალებებია; ამიტომ სტილისტიკაც მოითხოვს თავის უფლებებს ფრაზეოლოგიის სფეროს საკითხების შესწავლისას.

ფრაზეოლოგიზმი, ანუ ფრაზეოლოგიური ერთეული, უპირატესად წარმოდგენილია როგორც გამოთქმა ან წინადადება (როგორც ფრაზა).

ფრაზეოლოგიზმებისათვის დამახასიათებელია მასში მონაწილე სიტყვათა „მყარი შეხამება“. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მონაცემში შემაჯავლი სიტყვები „კარგავენ“ თავიანთ ჩვეულებრივ მნიშვნელობებს და ყველა ერთად გამოხატავს ახალ მნიშვნელობას. მაგალითად: „სიტყვის ბანზე აგდება“ – ნიშნავს ვინმეს ნათქვამის მიმართ მსმენელის მიერ უყურადღებობის გამოჩენას, მიფუნჩეხებას, ანგარიშის გაუწველობას. ამ შეხამებაში თითქოს არც არის გააზრებული თავიანთი ჩვეულებრივი მნიშვნელობით სიტყვები: „ბანი“, „აგდება“. მთელი გამოთქმა ერთადერთი სიტყვის ფუნქციით არსებობს როგორც „მზა მასალა“. მთელი „მზა ერთეულის“ მნიშვნელობა გააზრებულია გადატანითად; ამის მიხედვით ფრაზეოლოგიური ერთეულები ენაში ტრადიციულად არის „შესისხლხორცებული“ და ლექსიკური ფონდის სიმდიდრედ ითვლება.⁴⁵

როგორც აღნიშნული გვაქვს, ფრაზეოლოგიური ერთეულები სტილისტიკურ კატეგორიებად უნდა იქნეს მიჩნეული.

ცნობილმა რუსმა ენათმეცნიერმა ვ. ვ. ვინოგრადოვმა დაყო ფრაზეოლოგიზმები იმ ნიშნის მიხედვით, თუ როგორია ერთეულში სიტყვათა შეხამების სიმტკიცის მეტ-ნაკლებობა. მან ამ პრინციპის მიხედვით ასეთი ჯგუფები გამოყო: ფრაზეოლოგიური შეხორცება, ფრაზეოლოგიური ერთობა, ფრაზეოლოგიური შეხამება.⁴⁶ მაგრამ ამ პრინციპის გამოყენება ყოველთვის არ ქმნის სასურველ შედეგს. ამის მიზეზი ის არის, რომ ერთ

43. В. Гнелия. Что такое фразеология, М., 1966.

44. А. И. Молотков. Основы фразеологии русского языка, Л., 1977, стр. 104.

45. М. Шанский, Лексикология современного русского языка, м., 1972, ст. 173.

46. В. В. Виноградов, Грамматическое учение о слове, М., 1947, ст. 130.

ჯგუფი მეორისაგან ზოგჯერ მკვეთრად არ გამოირჩევა. ვ. ვ. ვინოგრადოვის თვალსაზრისმა განიცადა გარკვეული კრიტიკა. საერთოდ ფრაზეოლოგიზმების შესწავლაში საპატიო დასახურება მიუძღვის არლი თაყაიშვილს.⁴⁷

ფრაზეოლოგიზმების დაჯგუფებისას ერთგვარი ანგარიში უნდა გაეწიოს ვ. ვ. ვინოგრადოვის პრინციპს, მაგრამ თითოეული ჯგუფის გამოყოფისას გათვალისწინებული უნდა იქნეს: თუ ერთეულის რა ფარგალში გასდევს ტროპის ნიშან-თვისება. ზოგიერთ ფრაზეოლოგიურ ერთეულში გამოთქმის ფარგალშია ტროპის ელემენტი, ზოგიერთში კი მთელი წინადადების მანძილზე გასდევს.

ყოველივე ამის შესაბამისად ფრაზეოლოგიური ერთეულები შეიძლება ასე დაჯგუფდეს: იდიომა, ანდაზა, აფორიზმი (სენტენცია, ანუ დამრიგებლობა) და ფრთიანი თქმა (სიტყვა).

ამ ჯგუფებს ის აქვს საერთო, რომ მეტყველებაში ყველა არსებობს როგორც „მზა მასალა“, პირობითად განსხვავდებიან მარტო იმის მიხედვით, თუ როგორია ელემენტთა „შეხამების“ სიმტკიცე და როგორია ტროპიზაციის ფარგალი.⁴⁸

ფრაზეოლოგიური ერთეულები მეტყველებაში მკვიდრდება თანამიმდევრულად. ენა ინახავს ფრაზეოლოგიურ ერთეულებს. ზოგჯერ სრულიად „დაბნელებულია“ ფრაზეოლოგიური ერთეულის აგების ხასიათი, მაგრამ მეტყველება მაინც მოიხმარს მათ, ვინაიდან „გაქვავებული შეხამება“ მაინც გამოხატავს რაიმე ფუნქციას.

ფრაზეოლოგიზმები ენის სიმდიდრეა. განსაკუთრებული დანიშნულება ენიჭებათ ფრაზეოლოგიზმებს არამშობლიური ენების შესწავლისას, ვინაიდან მათი გააზრება ისე ხდება, როგორც ცალკეული ერთეულებისა ანუ სიტყვებისა.

ა. იდიომა ფრაზეოლოგიზმების ძირითადი სახეობაა. იდიომაში ყველაზე ძლიერია სიტყვათა შეხამების სიმტკიცე. ტროპის ნიშანი გამოთქმის ფარგლებშიც საკმარისია იმისათვის, რომ ერთეული გადატანითი მნიშვნელობით იქნეს მოხმარებული: ცხვირიდან ძმრის ღენა. რა თქმა უნდა, მეტყველებაში „მზა მასალის“ სახით არსებობს იდიომა.⁴⁹

იდიომატური შეხამებები დროთა ვითარებაში გროვდებიან ენაში და ლექსიკური ერთეულების ფუნქციით უწყვეტად აღამიანს სამსახურს. ზოგჯერ აღარც ვფიქრობთ, რომ ისინი იდიომებია: ყურადღება, თვალსაზრისი, გონებადაკარგული, გულმოკლული და სხვა.⁵⁰

47. ა. თაყაიშვილი, ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები, 1961 წ.

48. В. В. Виноградов, Лексикология и лексикография, М., 1977, стр. 130.

49. აღ. ონიანი, ქართული იდიომები, 1966 წ.

50. А. И. Ефимов, О языке художественных произведениях, М., 1954, стр. 181.



იდიომები, როგორც ცალკე ერთეულები, მეტყველებაში სათანადო სიტყვების სინონიმებს წარმოადგენენ: „ლაგამის ამოდება“ გაჩუმება, და-მორჩილება; „თითზე კბენა“ სინანული.

ზოგჯერ არ ხერხდება ერთი ენის იდიომატური მასალის მეორე ენაზე სიტყვასიტყვით თარგმნა. ასეთ შემთხვევაში მეორე ენაში დაეძებნება სათანადო შინაარსის იდიომა. რა თქმა უნდა, სიტყვიერი შემაღვენილობის მსგავსებას მნიშვნელობა არა აქვს. ამიტომ ძალზე მოხერხებულა, რომ არსებობს ფრაზეოლოგიური, ამ შემთხვევაში – იდიომების ლექსიკონები: რუსულ-ქართული, ფრანგულ-ქართული და სხვა.⁵¹

სანიმუშოდ იქნება წარმოდგენილი რამდენიმე იდიომა:

ჩემს ბედს ძალიც არ დაყუფს!
 ხელ-ფეხს ქარი ამოვალეზინე.
 მე კი მიყვილია, და!
 მე ეს კვლეში დამიჯდა.
 კრიკაში ჩაუდგა.
 წვერი მოერღვა პაკიკს.
 ყურებზე ხახვი არ დამაჭრა!
 ქოშების უკუყრა.
 ლაგამ-წაყრილი ლაპარაკი.
 დამწვარზე მდულარეს დასხმა.
 წყლის ნაყვა.
 სირცხვილის კმევა.
 თავის მოჭრა.
 ენის დაბმა.
 თვალის დადგომა.

ბ. ანდაზა ძალზე გავრცელებული ფრაზეოლოგიზმია და ძლიერ სტილისტიკურ კატეგორიად მიიჩნევა. ანდაზა უპირატესად წინადადების სახით არის მოცემული. ტროპული ნიშანი ანდაზას მთელი წინადადების ფარგალში გასდევს. იდიომასთან შედარებით, ანდაზაში სიტყვათა შეხამება უფრო სუსტია.

მეტყველებაში ანდაზა არსებობს „მზა მასალის“ სახით და საჭიროებისამებრ მთქმელი მოიხმარს სათანადო მომენტთან დაკავშირებით. ანდაზის მეორე ენაზე თარგმნა სიტყვასიტყვით ზოგჯერ არ ხერხდება, მაგრამ

51. ნ. გამრეკელი, ე. მგალობლიშვილი, ქართულ-რუსული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1966 წ. შ. ძიძიური, საენათმეცნიერებო საუბრები, თბ., 1975, გვ. 65.

მეორე ენაში დაეძებნება შესაფერისი შინაარსის ანდაზა. საამისოდ არსებობს სპეციალური ლექსიკონები, მაგალითად: რუსულ-ქართული ანდაზების და სხვა.

ანდაზები გვხვდება ენის სხვადასხვა ტიპში, განსაკუთრებით სიტყვიერი ხელოვნების ენაში, სასაუბრო მეტყველებაში, პუბლიცისტიკის ენაში და სხვა.

ანდაზა სიმდიდრეს წარმოადგენს ყოველი ენისათვის. არამშობლიური ენის შესწავლისას ანდაზების ცოდნა ამდიდრებს ლექსიკურ მარაგს.⁵²

წინა კაცი უკანასი ხიდაო.

ცდა ბედის მონახევრეა.

ცული შვილი დედ-მამის მაგინებელია.

ზღვა კოვზით დაიღვევო.

თავის-თავის ქება დამპალ კიტრად არ ღირსაო.

კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდაო.

მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო.

მუხას მისდგომიან: ვაშლი რატომ არ გასხიაო.

ნემსის ქურდი და აქლემის ქურდი ერთი და იგივეაო.

შვილი მტრად გაზარდე, რომ სამოყვროდ გამოგადგესო.

მაძლარი მშიერს წვრილად უფხვნიდაო.

არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი.

მითხარი, ვის იცნობ და გეტყვი: ვინცა ხარო.

სიმართლით მოპრილი ხელი არ მეტკინებაო.

ათჯერ გაზომე და ერთხელ მოსკერიო.

მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტიაო.

სწავლის შეძენა ყველაზე უძვირფასესი განძიაო.

აფორიზმი (სენტენცია) ფრაზეოლოგიზმის ერთ-ერთი სახეობაა. აფორიზმს ჩვეულებრივად უწოდებენ ბრძნულ, დამრიგებლობითი ხასიათის გამონათქვამს. აფორიზმში ერთგვარად შინც უფრო თავისუფალია სიტყვათა შეხამების დონე, მაგრამ აფორიზმშიც მეტყველებაში არსებობს „მწა მასალის“ სახით და მას მოვიხმართ გარკვეული სიტუაციის შესაბამისად. აფორიზმი უპირატესად წინადადების სახით არის მოცემული.⁵³

52. გ. შალამბერიძე, ილია ჭავჭავაძის ენა, თბ., 1966 წ. გვ. 276.

53. ალ. ლლონტი, ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, 1971 წ. გვ. 91.



აფორიზმებით ენის გამდიდრების წყაროა გამოჩენილ მწერალთა, მო-
ლვაწეთა ნაწერებში მოპოვებული დამრიგებლობითი ხასიათის გამონათ-
ქვამები.

აფორიზმები გამოხატავენ შესაბამისი ეპოქის, კლასის, საზოგადოების
ცალკეული წრეების და ცალკეული პირების იდეოლოგიურ მრწამსსა და
შეგნებას, ჰუმანიზმსა და კეთილშობილებას.

- ვინც მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია.
(შოთა რუსთაველი).
- კარგი საქმე კაცსა ზედა აზომ თურმე არ წახდების.
(შოთა რუსთაველი).
- რალაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია.
(შოთა რუსთაველი).
- უმსგავსო საქმე ყოველი მოკლეა, მით ოხერია.
(შოთა რუსთაველი).
- ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია.
(შოთა რუსთაველი).
- სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდების.
(დავით გურამიშვილი).
- არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკედარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს.
(ნოქლოზ ბარათაშვილი).
- მიეცით ნიქსა გზა ფართო, თაყვანისცემა ღირსებას.
(გრიგოლ ორბელიანი).
- მკვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ სახელი არ დარჩენია.
(ილია ჭავჭავაძე).
- პატროსან ღარიბს რითა სჯობს გამდიდრებული იუდა.
(აკაკი წერეთელი).
- წიგნი შრომის დროს აგურია და ბრძოლის დროს
ტყვიით სავსე ყუმბარა.
(აღიო შირცხულავა).
- ღინესაც ვერცხლივით დაზოგვა უნდა.
(გიორგი შატბერაშვილი).
- შვილმა რომ ხელს გულზე ერბო-კვერცხი მოიწვას,
დედის ამავს მიინც ვერ გადაიხდისო.
(ხალხური)

ფრთიანი თქმა (სიტყვა) აღიარებულია, როგორც ფრაზეოლოგიზმების
ერთ-ერთი სახეობა. ფრთიან თქმაში სიტყვათა შეხამება შედარებით თა-
ვისუფალია, მაგრამ თუ ერთეული ტრადიციულად დამკვიდრდა მეტყვე-
ლებაში, დასამახსოვრებელ წყობას მიიღებს. ფრთიანი თქმა (КРЫЛАТЫЕ



ეობა) მეტყველებაში არსებობს „მზა მასალის სახით“ და მრავალმხრივ სიტუაციას შეესაბამება თავისი ფუნქციით.⁵⁴

ფრთიანი თქმა (სიტყვა) ყოველი ეპოქისათვის არის დამახასიათებელი და ის გაისმის, როგორც ცალკეული ლოზუნგი, მოწოდება, დარიგება, განსჯა.

ფრთიანი თქმები (სიტყვა) განმსჯეალულია პოლიტიკური მიზანდასახულობით, ზნეობრივი სენტენციის შინაარსით, აღმზრდელობითი თვალთახედვით, პატრიოტული სულისკვეთებით და სხვ.

ადამიანი ადამიანისათვის არის: მეგობარი, ამხანაგი და ძმა.
 სიზარმაცე დედაა ყველა უბედურების!
 სამართლიანი საქმისათვის იდექი მედგრად!
 ერთი ყველასათვის – ყველა ერთისათვის!
 ადამიანს აღიადებს მისი საქმე!
 უცეცხლოდ არ არსებობს კვამლი!
 ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი!
 სამშობლო – უპირველეს ყოვლისა!
 შრომა აკეთილშობილებს ადამიანს!
 მე ვარ და ჩემი ნაბადი!
 არაფერ და არაფერი არ არის დავიწყებული!
 წესრიგი ყველგან და ყველათურში!

პერიფრაზი მიჩნეული უნდა იქნეს ტროპის ერთ-ერთ სახეობად. პერიფრაზი მეტყველებაში მოცემულია გამოთქმის სახით. მთელი გამოთქმა (ორი სიტყვა მაინც) ერთად არის მოხმარებული გადატანითი მნიშვნელობით. პერიფრაზი ისეა აგებული, რომ თითქოს ერთ გამოთქმაში ერთად წარმოდგენილია ეპითეტი და მეტაფორა.⁵⁵ პერიფრაზი, როგორც ყოველი ტროპი, სათანადო სიტყვიერი ერთეულის სინონიმს წარმოადგენს. ზოგჯერ იტყვიან, რომ ვინმეს აქვს ოქროს ხელი. მთელი ეს გამოთქმა გამოხატავს შინაარსს, რომ ვილაცას შესძლებია რაიმეს გაკეთება მაღალი ხარისხით, შეუძლია კარგად და მოსაწონად შესრულება. თუ იტყვიან: გალიაში მოათავსეს ცხოველთა მეფე; პერიფრაზი „ცხოველთა მეფე“ აღნიშნავს ლომს. აკაკი წერეთლის მიმართვაში: „სულმნათო, მადლი შენსგამჩენს!“ პერიფრაზი „სულმნათო“, გულისხმობს შოთა რუსთაველს.

54. თ. შავიშვილი, ფიგურალური სიტყვა-თქმების კრებული, თბ., 1960.

55. И. Р. Гальперин, Очерки по стилистике английского языка, М., 1958, тш. 158.



პერიფრაზი ძალზე მოხერხებული სტილისტიკური კატეგორიაა მხატვრული სახეების გამოსაძერწად.

აღამიანი პერიფრაზაში მკვეთრად ამჟღავნებს თავის დამოკიდებულება-მიმართებას საგნებისა და მოვლენებისადმი, გამოხატავს თავისი თვალსაზრისის შესაფერის ემოციურ ელფერს, კლასობრივ და სუბიექტურ განწყობას.

ილია ჭავჭავაძის „აჩრდილში“ პერიფრაზი „შრომის სუფევა“ „თავისუფლების“ სინონიმია:

შრომის ხუფევა მოვა მაშინა
 ჭეშმარიტების მის ძლიერებით!

იროდიონ ევლიშვილის პოემაში „მუზა და მუშა“ გაოცებული მუშა ასე მიმართავს მუზას:

მუზავ, რა გინდა შენ ამ ადგილას,
 ღმერთების შვილო, აქ მუშასთანა?!

გრიგოლ ორბელიანმა უწოდა ერეკლე მეორის ხმაღს „დიდება ივერიისა“:

მაჟული ველარ იხილავს ირაკლის ხმაღსა მღელვარეს,
 დიდება ივერიისა მასთან მარხია სამარეს!

ხალხურ პოეზიაში ერეკლე მეორის სინონიმად შერჩეული იყო პერიფრაზი **რკინის კარი**.

ალექსანდრე აბაშელს ეკუთვნის ლექსი – „ჩვენი ქვეყნის შნო და ფერი“, რომელშიც თითქმის ყველა გამოთქმა წარმოადგენს პერიფრაზს, და ყველაში იგულისხმება – საქართველო:

ხეავიანო მზის წისქვილო,
 ანთებულო მიწის პირო,
 კლდის ნაპრალო გარღვეულო,
 ზეცის ელვად დაფრქვეულო,
 ამირანის ნაბუდარო,
 ზევით – ცისკრის ნაპერწყალო,
 ქვევით – შუქით სავსე წყალო,
 ნისლი მაღალ მთებისაო!
 ცის ლაქვარდო აფრენილო,
 მზის სხივებით დაფენილო,
 ჩრდილო ორბის ფრთებისაო!
 განთიადის ოქროს წვეთო,
 შეღამების ლურჯო სვეტო,
 მოჩუხჩუხე წყაროს თვალო,
 ცის და მიწის მონაბერო –
 საქართველოს შნო და ფერო,
 ერთად როგორ ჩამოგთვალო!

იოსებ ნონეშვილის მიმართვა ხალხისადმი ახალი წლის გამო:

ყველას,
ყველას,
ვის გულსაც
შრომის ცეცხლი ალაგზნებს,—
მივულოცავ ბედნიერ
და მშვიდობის ახალ წელს!

შენ ჩემთვის მზე ხარ ამომავალი,
ხულის ხიმაღლე, გულის ნათელი,
არის ლამაზი მხარე მრავალი,
მაგრამ არ არის სხვა საქართველო!
(გრიგოლ აბაშიძე).
შენს მოტირილს მეც ვისმენდი,
ცად აპურობილს კვამლის ზოლად.
შენი ცრემლის მელნით ვწერდი
მშობელ მიწის გასაგონად.
(ხიმონ ჩიქოვანი).

ევფემიზმი ტროპის განსაკუთრებული სახეობაა.

აღამიანს მეტყველება სჭირდება სხვასთან ურთიერთობის დასამყარებლად. მაგრამ ენის დანიშნულება მარტო ამით არ ამოიწურება. აღამიანური ურთიერთობანი მრავალნაირი ვითარებითაა შეპირობებული. მთქმელი ენით გამოხატავს თავის მრწამსს, თავისი სულიერი სამყაროს ყველა ჩანაფიქრს დადებითი ან უარყოფითი შეფასებით. ყველასთან ერთნაირი „ენით“ მიმართება არ არის ტრადიციულად მიღებული: ზოგი ახლობელია, ზოგი უცხოა; ზოგი უფროსი, ამხანაგი, თანატოლი და სხვა. ენამ სხვადასხვაგვარად უნდა გახაზოს შესაბამისი მიმართება.

ტრადიცია მოითხოვს, რომ სიტყვიერ მასალაში აისახოს საუბრის ობიექტთან შექმნილი კონკრეტული სიტუაციის ხასიათი. მთქმელი საგანგებოდ არჩევს აზრისა და გრძნობის გადმოცემის სიტყვიერ საშუალებებს: „ზოგი სიტყვის (თუ გამოთქმის) ხმარება უხერხულად ითვლება, ამიტომ შეგნებულად გაურბიან ამ სიტყვებსა (და გამოთქმებს) და ცვლიან სხვა სიტყვებით (და გამოთქმებით). უხერხული სიტყვებით ამ შენაცვლებას ევფემიზმი ეწოდება...“ „კეთილად ვმეტყველებ“, „ზრდილობიანად ვლაპარაკობ“⁵⁶.

თვით მეცნიერების ენაც კი ზოგჯერ ვერ ასახელებს რიგ საგნებსა და მოვლენებს თავიანთი ჩვეულებრივი სახელებით და მიმართავს შენაცვლებას. გამოდის ისე, რომ შერჩეული შენაცვლების ერთეული აღნიშნავს იმავე საგანსა და მოვლენას, მაგრამ „შემცვლელი“ თითქოს „ამსუბუქებს“ ჩვეულებრივი მნიშვნელობით გამოხატვის „უხერხულობას“.

56. არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, 1952 წ. გვ. 191.



ერთი წყება ჩასაცმელის სახელებს ასე ვცვლით უფრო ზრდილობიანით, ევფემისტურით: პერანგი და მისი ამხანაგი, ან ორივე ერთად — საცვლები და სხვა.

ენას დროთა ვითარებაში მრავალი ევფემისტური საშუალება შეუქმნია. ბევრი მათგანი შეფარდებულია ეპოქის ხასიათთან, ან აქვს კლასობრივი გააზრება, სოციალური დატვირთვა, ეროვნული ტრადიციის გამოვლინება და სხვა. სიტყვა „ბატონი“ (ან „ქალბატონი“) კლასობრივ საზოგადოებაში ნამდვილად სოციალური დატვირთვით იყო მოხმარებული და მხოლოდ პრივილეგიური კლასების წარმომადგენელთა მიმართ იხმარებოდა. შემდეგ ამ სიტყვამ „დაკარგა“ კლასობრივი გააზრება და სხვა ფუნქცია დაეკისრა. იგი გახდა ზრდილობიანი მიმართვის ერთ-ერთი ფორმა.⁵⁷

ზოგჯერ ერთს მივმართავთ: მომაწოდეთ! წაიღეთ! გადაეცით! მხოლობითის ნაცვლად მრავლობითის ფორმის მიშველებს გარკვეულად ზრდილობიან მიმართებას გულისხმობს. თვით საგანგებო ზრდილობიანი მიმართვის საშუალებასაც კი მრავლობითის ფორმით ვიყენებთ: დაბრძანდით! მიირთვიეთ! და სხვა.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ არსებობს ისეთი საგნები და მოვლენები, რომელთა ჩვეულებრივი სახელით გამოხატვა სხვას უსიამოვნებას, ან შიშს მიაყენებდა, და ენამ შემცვლელი სინონიმური ერთეულები გამოუნახა მათ: ქვეწარმავალი, უხსენებელი, უნასი და სხვა.

ადამიანი ვალდებულია, სცეს ენას პატივი და შეგნებულად დაიცვას მისი ევფემისტური წესრიგი, ე. ი ზრდილობის ნორმები.

— უკაცრავად, ნუ ვიქნები, ყმაწვილო, შენი ქირიმე, კითხვისათვის: საიდან მობრძანდებით?

— ქალაქიდან გაიხლები, ჩემო ბატონო, — უპასუხა დურმიშხანმა.
(დანიელ ჰონჭაძე).

— სად ბრძანდებოდით, ავთანდილ! — გამოელაპარაკა დარბაისლურად ქულაჯიანი.

(გიორგი წერეთელი).

— იმედი მაქვს, რომ მითავაზებთ!

— დიდი სიამოვნებით, ინებეთ!

(ილია ჭავჭავაძე).

დისფემიზმი ეწოდება ევფემიზმის საწინააღმდეგო საშუალებას. დისფემიზმი (კაკოფემიზმი) მაშინ არის ენის საშუალება, თუ მთქმელი საგანგებოდ არჩევს მეტყველების შესაძლებლობებს, რომ კინმე ან რაიმე დაამდაბლოს, დაამციროს, შებლაღოს და სხვა. დისფემიზმი მოხერხებულ საშუალებათა სუბიექტური მიმართების გამოსახატავად.

57. შ. ძიმიგური, ენა და ლიტერატურა, 1965 წ. გვ. 270.



ხალხური არსენას ლექსის მიხედვით, ფარსადანმა უღალატა არსენას,
 ეს სულმოკლეობა ბოქაულმა კი არ მოუწონა ფარსადანს:

შე წუწკო და მაამაღლო,
 რად იპერდი ე მაგ ტყვესა?!

დაჩაგრულმა ობოლმა სიმონამ სიტყვით გადაუხადა სამაგიერო ბობო-
 ლა დავითს: „ისე შენმა ცოლ-შვილმა ნახოს ხეირი, რავარც მე შენი ყურ-
 ძენი, ან ხილი ან იი დათიკაის სიმინდი მოვიპარე! აა, შე წაწყმედილო,
 ქვეყნის მყლაპავო, რას მერჩი, რას?!“

გაპიროვნება (პერსონალიზაცია, პერსონიფიკაცია) ითვლება ტროპის
 ერთ-ერთ სახეობად. გაპიროვნება, უპირატესად, გულისხმობს სულიერის
 ნიშან-თვისებების გადატანას უსულო საგნებსა და მოვლენებზე.

გაპიროვნება ერთგვარად წააგავს ალეგორიას, მაგრამ გაპიროვნება
 არის ენის განსაკუთრებული შესაძლებლობა და ერთი წინადადების ფარ-
 გლებში ხორციელდება, ალეგორია კი ენარია და მთელი ნაწარმოების
 სახით არის მოცემული.

ვაჟა-ფშაველა ამბობს:

სოფლის თავს სძინავს შავ ნისლსა,
 დაფიქრებული სახითა.

ცხადია, ნისლის დამახასიათებელი თვისება არ არის არც „ძილი“, არც
 „დაფიქრება.“ ეს ადამიანური თვისებები ოსტატურად არის გადატანილი
 უსულოზე და ამით შექმნილია ძლიერი და მიმზიდველი სახე.

ღამის წყვდიადში ჩაფლული
 გამტკნარებულის სახითა,-
 მოჩანს ქისტეთის მიდამო
 სალის კლდეების ტახტითა;
 ბნელ ხეზე მოჰყუფს მდინარე -
 გულამღვრელი ჭავრითა,
 გადმოხრილიყვნენ მთანიცა,
 ხელ-პირს იბანდნენ წყალზედა!

(ვაჟა-ფშაველა).

ვაზებს კი სძინავთ, თოვლის
 ქვეშ სძინავთ,
 და ესიზმრებათ წიფობულები...

(გრიგოლ აბაშიძე).

ტყემ პირსაბური ჩამოიცილა,
 გზას მიჰყვებიან ჩუმად არყები...
 გამოიღვიძებს საღლაც ყაყაჩო
 და ჩუმ ბილიკებს ისიც გაჰყვება...
 უამრავ ლერწმის გაუვალ ტყეში
 ქარი ჩაჰბლავლებს ვეფხვის ნატოტვარს
 ჩაფრინდებიან სხივები ტყეში
 და შეაშრება ცრემლი მათოთას...

(ანა კალანდაძე).

ენანტიომეზია ტროპიზაციის ერთ-ერთი განსაკუთრებული ხერხია. ენანტიომეზიური მოხმარებისას აღვლილი აქვს სიტყვის მნიშვნელობის შეზღუდვას ე. ი. საპირისპირო მნიშვნელობის აღნიშვნას.

ილია ქავეკვაძე ამბობს ლუარსაბის კარ-მიდამოზე: „კარგი რამ იყო თავად თათქარიძის სახლ-კარი“. ბუნებრივია, რომ „კარგი“ შეზღუდულად არის გააზრებული და ვგულისხმობთ: „უხეიროს“, „მოუვლელს“, „ცუდს“.

ოთარაანთ ქვრივზე ნათქვამია, რომ ის მათხოვარს „წაიყვანდა, ერთ ორიოდე ჩარეკა კაი ღვინოს გადაახუხინებდა და გამოისტუმრებდა თავისებურად ქება-დიდებათ“.

არის ისეთი შემთხვევაც, რომ გამოიყენებენ „სალანძლავ“ სიტყვებს, მაგრამ აუცილებლად უნდა ვიგულისხმოთ „გადაბრუნებულად“ გააზრებული; მაგალითად, დედა ეალერსება თავის პირმშოს: ჩემო გიჟო! ჩემო სულელო! ჩემო ფეთხუშო! და სხვა.

ჰიპერბოლა უაღრესად განსაკუთრებული ხერხია. ჰიპერბოლა შეფასებული უნდა იქნეს, როგორც ტროპის ერთ-ერთი სახეობა. ჰიპერბოლა სინამდვილის მონაცემების საგანგებოდ გაზვიადებულად წარმოდგენაა. მთქმელი სუბიექტური მიმართების შესაბამისად აფასებს საგნებსა და მოვლენებს და ცდილობს, რათა გაზვიადების საშუალებით გამოხატოს მათი სახე. ჰიპერბოლიზაცია თითქოს შეუსაბამოა იმიტომ, რომ ამ დროს საგანი და მოვლენა სცილდება თავის რეალურ ფარგლებს, მაგრამ ეს ხელს არ უშლის ადამიანს შეუძლებელი განგვაცდევინოს შესაძლებლად.

ჰიპერბოლური შეიძლება იყოს საგნის ან მოვლენის აღწერა-დახასიათება, მოქმედების ბევრად მეტად გააზრება, ვიდრე ჩვეულებრივია.⁵⁸

ჰიპერბოლა უპირატესად გვხვდება სიტყვიერი ხელოვნების ძეგლების ენაში, ფოლკლორულ ქმნილებებშიც.

რა ესმოდის მღერა ყმისა, სმენად მხეცნი მოვიდიან,
მისვე ხმისა სიტკბოსაგან წყლით ქვანიცა გამოსხლიან,
ისმენდიან, გაკვირდიან, რა ატირდის, ატირდიან,
და იმღერს ლექსთა საბრალოთ, ღვარისაებრ ცრემლი
სლიან.

(შოთა რუხთაველი).

სანადიროდ წამოვიდნენ ამირან და ძმანი მისნი,
მთას ირემი წამოუხტათ, ცასა სწყდება რქანი მისნი!
(ხალხური).

ხან იფიქრებდა: უღედოდ
გაზრდა ვინა თქვა შვილისა?
იქნება ვეფხვის ღელაი
ჩემზე მწარედა ტირისა?
წავიდე, მეც იქ მივიღე.

58. გ. ჭიბლაძე, რუსთაველის ესთეტიკური სამყარო, 1966, გვ. 267.

სამძიმარ ვუთხრა კირისა,
ისიც მიაშობს ამბებსა,
მეც ვუთხრა ჩემი შვილისა;
იმასაც ბრალი ექნების —
უწყალოდ ხმლით დაკვირისა!
(ხალხური).

ბატონიშვილი ერეკლე
ერთი პატარა კახია,
ჩაქვის პერანგი ჩააცვეს,—
გაქრა ხელი და გახია!

(ხალხური).

თუ გაუქირდა მამულსა,
კვლავ ცეცხლით დაედაგებით,
ჩვენ გამოვამტვრევთ საფლავებს,
ხმლით ქართლის მთებზე დავდგებით!

(გიორგი ლეონიძე).

ლიტოტა ჰიპერბოლის საპირისპირო საშუალებაა. ლიტოტაში სგნის, მოვლენის სიდიდე, ძალ-ღონე, აგრეთვე მათი მნიშვნელობა გადმოცემულია მხატვრულად შემცირებული, დაპატარავებული სახით. ლიტოტას უპირატესად მიმართავენ პოეზიისა და პროზის ენაში, განსაკუთრებით კი ხალხური ზეპირსიტყვიერი შემოქმედების ნიმუშებში.⁵⁹

ისა გეგონა, ქალაო, გუშინ რომ მედიდებოდი?
კაც-შუაკაცებ, გიგზაუნე, თხა-წალაბურად ხტებოდი,
ისე გაგახდევ სურვილსა, ნემსხ უუნწზე აეგებოდი,
ჩაქქონდე დიღის ნიაფხა, უსულოდ ჩაელღებოდი,
პატარა ნარის ჩიტასა თვალში ფხად ჩაეგდებოდი!

(ხალხური).

ათი-თორმეტი მეცხვარე თავს მძინარეს დააწვესა...
არსენამ წამოიწია, შევედრა მეუფესა:
— ეს მამაძალი ტიელო, რა ბუზები მასხედს ესა?

(ხალხური).

მონოლოგი არის ვინმეს მიერ საუბარი ისე, რომ თითქოს არ ჩამსმენელი, მიმართვის ობიექტი. „ენა მონოლოგის შემთხვევაში სოციალური მოვლენაა: მონოლოგის დროს ინდივიდი ახალ ენას როლი ქმნის, ისმავ ენაზე ლაპარაკობს, რასაც სხვებთან ურთიერთობისათვის იყენებდა. მოსაუბრე არ ჩანს, და მაინც სხვებთან ურთიერთობისათვის იყენებდა მოსაუბრე“. ⁶⁰ ამის შესაბამისად მონოლოგი არის გადმოცემის სახეობა, მაშასადამე, ენარი, მონოლოგი კი არ არის სტილისტიკის ობიექტი, ამედ მისი ენა, რა თქმა უნდა, თუ მოიპოვება მასში სტილისტიკური კანონობები.

⁵⁹. Словарь литературоведческих терминов, М., 1976.

⁶⁰. არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, 1952 წ. გვ. 18.

დიალოგი ნიშნავს ორთა შორის საუბარს. დიალოგი კი არ არის სტილისტიკის ობიექტი, არამედ დიალოგის პროცესში მოცემული ენაერა თქმა უნდა, თუ მოიპოვება მასში სტილისტიკური კატეგორიები, ე. ი. სტილისტიკური ერთეულები.

დიალოგი გადმოცემის საშუალებაა. დრამატული ნაწარმოებები მთლიანად დიალოგით არის შესრულებული.

ალეგორია გადმოცემის სახეობაა, ე. ი. ჟანრია. ზოგიერთს ალეგორია მიაჩნია სტილისტიკის ობიექტად. ზოგჯერ იქამდეც კი მიდიან, რომ ალეგორია და მეტაფორა გაიგივებული აქვთ ერთმანეთთან. ასეთ შეცდომას უშვებენ იმის გამო, რომ მეტაფორა არის გადატანითი მნიშვნელობით მოხმარებული სიტყვა ან გამოთქმა, ალეგორიაში კი მთელი ნაწარმოებია გადატანითად გაგებული. მიუხედავად ამისა, მეტაფორა და ალეგორია ერთმანეთს არასოდეს ფარავს. ალეგორია ჟანრია და სტილისტიკას მასთან მაშინ ესაქმება, თუ ენაში მოიპოვება განსაკუთრებული საშუალებები.

ირონია ნათქვამის ელფერია. ირონიას მაშინ აქვს ადგილი, თუ მთქმელი ვინმე ან რაიმეს აქილიკებს, რაიმე უარყოფითი თვისების გამო დასციინის ვინმეს. რა თქმა უნდა, ირონიის ელფერის გამოხატვა მეტყველების ჩვეულებრივი საშუალებებითაც არის შესაძლებელი. ამიტომ სტილისტიკა ირონიის ენას თავის ობიექტად მაშინ მიიჩნევს, თუ ირონიული ელფერით გადმოცემისას გამოყენებულია რომელიმე სტილისტიკური კატეგორია.

2. სინონიმია (სინონიმია)

ენაში მოიპოვება სიტყვები, გამოთქმები და სხვა საშუალებები, რომლებიც გარეგნულად (ბგერითად) სხვადასხვაგვარია, მაგრამ მათი მოხმარება შესაძლებელია ერთნაირი ფუნქციით. მრავლობითს ზოგჯერ ასეთი ფორმით ვიყენებთ: კაც-ებ-ი, ხოლო ზოგჯერ ასე: კაც-ნ-ი. მრავლობითობის ნიშანი პირველში არის „ებ“, ხოლო მეორეში „ნ.“ მაგრამ ესენი ერთნაირი ფუნქციის გამოხატვის ნიშნებია. ასეთ შენაცვლებებს ეწოდება გრამატაკული სინონიმია; ერთმანეთის მონაცვლეობა შეუძლია ლექსიკურ ერთეულებსაც; მაგალითად: „გმირი“, „ვაჟკაცი“ და სხვა. „სინონიმები ეწოდება ისეთ სიტყვებს, რომლებიც ბგერითად განსხვავებული არიან, მნიშვნელობა კი ერთნაირი აქვთ.“⁶¹

სინონიმური ერთეულები, უპირატესად, მეტყველების სიტყვიერ სფეროში მოიპოვება – სიტყვებისა და გამოთქმების სახით. სინონიმურ სიტყვებს მოხმარების კონკრეტული ფუნქცია აქვთ, თითქმის ერთნაირი დანიშნულება მოეპოვებათ. ილია ჭავჭავაძე პოემა „განდღეილში“ საესე-

61. არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, 1952 წ. გვ. 188.

ბით ერთნაირად მოიხმარს სიტყვებს: განდევნილი, მწირი, მეუღლადნოე. ესენი ლექსიკური სინონიმებია.⁶² ეს მოხმარების კონკრეტული შემთხვევაა, მაგრამ თითქოს არ არსებობს სავსებით ერთნაირი მნიშვნელობის სინონიმები. სინონიმები, სადაც, რომელიმე კომპლექსში, მაინც გამოამჟღავნებენ ერთგვარ განმასხვავებელ ნიშნებს. მაგალითად, იტყვიან: მამაცი ჭარისკაცი, გმირი ჭარისკაცი; მაგრამ შენაცვლება აღარ ხერხდება ასეთ მაგალითებში: მიანიჭეს გმირობა; აღარა გვაქვს: მიანიჭეს მამაცობა, და სხვა. მართებულია არნოლდ ჩიქობავას შენიშვნა: „სინონიმები ერთი მნიშვნელობის სიტყვებს ჰქვია, მაგრამ ვერ ვიტყვი, თითქოს სინონიმებს სავსებით ერთნაირი მნიშვნელობა ჰქონდეს“.⁶³

მიუხედავად ამისა, კონკრეტულ სიტუაციაში ზოგჯერ რამდენიმე ათეული სიტყვა-გამოთქმაც კი მოიხმარება ერთნაირი ფუნქციით.

სინონიმები მეტყველების სიმდიდრეს წარმოადგენენ. სინონიმების მოხმარება ენას ანიჭებს მრავალფეროვნებას, მიშვიდველობას, ექსპრესიულობის ძალას; აგრეთვე ისინი გამოხატავენ მოქმელის იდეურ-მხატვრულ მრწამსს და, საერთოდ, სუბიექტურ მიდგომას საგნებისა და მოვლენებისადმი.

მეტყველებაში არსებული სინონიმები მომდინარეობს სხვადასხვა წყაროდან; ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა სალიტერატურო ენაში დიალექტების (კილოების) გზით შემოსული სიტყვიერი მასალა; სხვა ენებიდან გავრცელებული საერთაშორისო სიტყვები, ტერმინები და სხვა.

სინონიმების წყარო არის აგრეთვე ტროპიზაციით მიღებული მეორადი მნიშვნელობების მიღება. სიტყვა „მეხი“ ჩვეულებრივი დანიშნულებით გამოხატავს ბუნების ერთ-ერთ მოვლენას, მაგრამ თუ „მეხი“ მოვიხმარებთ მეტაფორულად, გაფართოვდება ამ სიტყვის ფუნქციის ასპარეზი. ერთი იქნება ჩვეულებრივი სიტყვა: მეხი ჩამოვარდნილა; ხოლო მეორე იქნება ამ სიტყვის არაპირდაპირი მნიშვნელობით მოხმარება: მაგალითად, ოთარაანთ ქვრივზე იტყოდნენ: წამოვიდა მეხი, ვაი იმას, ვისაც დაეცემაო! სიტყვა „მეხი“ მეტაფორაა, მაგრამ ეს მეტაფორა რომელიმე სიტყვებთან სინონიმურ ბუდეს ამდიდრებს. თითქმის ასევე შეუძლია ყველა სტილისტიკურ კატეგორიას სინონიმთა წრეში მოხვედრა. ასეთი გზით წარმოშობილ სინონიმებს შეიძლება პირობითად ეწოდოს სტილისტიკური სინონიმები.

ამრიგად, მეტყველების ჩვეულებრივი სიტყვები, რომლებიც სინონიმურ ბუდეებს ქმნიან, კიდევ მდიდრდება სტილისტიკური სინონიმებით, და ზოგიერთ ბუდეში რამდენიმე ათეული სინონიმური ერთეული იყრის თავს. ერთ-ერთი მაგალითი ალექსანდრე ნეიმანის „სინონიმთა ლექსიკო-

62. ალ. გვენცაძე, ზოგადი სტილისტიკის საფუძვლები, 1974 წ.

63. არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, 1952 წ. გვ. 158.

ნიდან": „**დუმილი** (დუმს), დადუმება (დადუმდა), მდუმარება, განუმება, გაყუჩება, დაყუჩება, პირში წყლის ჩაგუბება, ხმის გაკმენდა, ხმის გაწყვეტა, დაბუნჯება, ხმის ჩაწყვეტა, ხმის ამოუღებლობა, ენაზე კბილის დაჭერა, პირის აკვრა, კრინტის გაწყვეტა, კრინტი არ დაუძრავს, სიტყვა არ დასცდენია, ხმა არ ამოუღია, პირში წყლის ჩაყენება, პირდაცულობა, ენადაცულობა, მიჩუმათება“.⁶⁴

თუ გაავანალიზებთ „დუმლის“ ბუდეში თავმოყრილ სინონიმებს, აღმოჩნდება, რომ ზოგიერთი მათგანი ჩვეულებრივი სიტყვიერი ერთეულებია, მაგრამ ერთი ნაწილი სტილისტიკური სინონიმებია, მაგალითად, ფრაზეოლოგიური ერთეულები: „ენაზე კბილის დაჭერა“, „პირში წყლის ჩაყენება“, „პირში წყლის ჩაგუბება“ და სხვა.⁶⁵

ილია ჭავჭავაძე დაბალი (მშრომელი) სოციალური მდგომარეობის ადამიანის აღსანიშნავად იყენებს რამდენიმე ათეულ სიტყვასა და გამოთქმას. მათ შორის ზოგი ჩვეულებრივი სიტყვებია, ზოგი კი წარმოდგენს სტილისტიკური სინონიმის ამა თუ იმ სახეობას. მაგალითად: ყმა, გლეხი, მშრომელი, მუშა, ღარიბი, ტვირთმძიმე, მუშაკი, მოჯამაგირე, მაშვრალი, უღონო, დაჩაგრული, ბედკრული, უჩინო, დაბალი, ხელმოკლე, გათელილი, ოფლის მღვრელი, ბედისაგან დაჩაგრული და სხვა. მწერალი არ იშურებს სინონიმებს პრივილეგიური წრეების წარმომადგენელთა გამოსახატავადაც; აი, ეს ერთეულები: თავადი, ბატონი, ჩინიანი, აზნაური, მტარვალი, ბედშიმყოფი, ჩარჩი, დიდი, უქში, მძარცველი, ხმიანი, მჩაგვრელი ძალა, ვაჭარი... და სხვა.

ამრიგად, სინონიმია მეტად ღონიერი საშუალება მეტყველებაში და მეტ-ნაკლები სიხშირით მოხმარებულია ენის ამა თუ იმ ტიპში. ყოველი კონკრეტული ენა განუწყვეტლად მდიდრდება სინონიმური საშუალებებით. მეტყველების საგანძურში სინონიმთა მიღება, შერჩევა და შესაფერისად მოხმარება ყოველი ცალკეული მწერლის, თუ სხვა დარგების მოღვაწეთა ნიჭის, უნარისა და მეტყველების პრაქტიკული ჩვევების დონის მაჩვენებელია.⁶⁶

პირობის მიხედვით ავთანდილი უნდა წასულიყო ტარიელის დასახმარებლად, მაგრამ საამისოდ მას სჭირდებოდა როსტევან მეფის ნებართვა. ავთანდილმა მას გაუგზავნა მოციქული, რომელმაც კრძალვით მოახსენა მეფეს დანაბარი. როსტევანი იმდენად ააღელვა ამ ცნობამ, რომ სასტიკად გაუჭავრდა უდანაშაულო მკველს და სასიკვდილოთაც კი იმეტებდა:

კვლავ უბრძანა: „თუმცა მისგან აწ არ იყავ მოგზავნილი, თავმან ჩემმან, თავსა მოგკვეთ, არად უნდა ამს ცილი!“

64. ალ. ნეიმანი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი.

65. ალ. ლლონტი, ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, 1971 წ.

66. ელ. ბაბუნაშვილი, სინონიმები ილია ჭავჭავაძის ენაში, თსუ, „შრომები“, 1971 წ.



წა. უკუღებქ ავი, შმაგი, უშეცარი, შლეგი, წბილი!
შაბაშ სიტყვა, შაბაშ კაცი, შაბაშ საქმე მისგან ქმნილნი

აქ არსებული ეპითეტების (ხაზგასმული სიტყვები) სინონიმურობა ადამიანთა ვილად შესამჩნევია.

მახსოვს იგი დრო, საამო დრო, როს ნაღვლიანი,
კლდე ბუნდოვანო, შენს ბილიკად მიმოვეილოდი,
და წუნარს საღამოს, ვით მეგობარს, შემოგეტრფოდი,
როს ჩემებრ იგიც იყოს მწუხარ და ხვედიანი!

(ნიკოლოზ ბარათაშვილი).

ვაი იმას, ვისაც უსაქმოდ მოასწრებდა ხოლმე: ძირიანად
ამოიღებდა და ძირიანად მოსთბრიდა!

(ილია ჭავჭავაძე).

8. გამეორება და მისი სახეობები

მეტყველების რომელიმე ელემენტის წინადადებაში გამეორება აძლიერებს ნათქვამის აზრს და ამავე დროს ქმნის კეთილზმოვნებას, ანუ ეფფონიას.

ერთი და იმავე ელემენტის გამეორება ზოგჯერ მეტყველების ნაკლად ითვლება. ამას ეწოდება ტავტოლოგია, ანუ უმიზნო გამეორება. ხოლო თუ მთქმელი საგანგებოდ მიმართავს გამეორების ხერხს, ამ შემთხვევაში გამეორება მიზნობრივია და ღირსებად მიიჩნევა. ასეთ შემთხვევებს პირობითად შეიძლება ეწოდოს სტილისტიკური გამეორება. ძველად ეძახდნენ ფიგურებსაც.

გამეორების ერთ-ერთი სახეობა არის სალექსო მეტყველება. მუსიკიდან უნდა იყოს შემოსული ბგერათა გამეორებისას შესაძლებლობები ლექსის ენაში.⁶⁷

სალექსო მეტყველება მკვეთრად განსხვავდება პროზის ენისაგან. ლექსისთვის დამახასიათებელია მეტრი (ზომა, რიტმი, რითმა და სხვა).

მეტრი ეწოდება სტრიქონთა შორის მარცვალთა თანაბრობის დაცვას. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ლექსის სტროფში პირველი ტაეპი (სტრიქონი) შეიცავს ათ მარცვალს, მომდევნო სტრიქონშიც ასეთივე რაოდენობის მარცვლები იქნება. როდესაც ვკითხულობთ ლექსს, შემთხვევით თუ რომელიმე სტრიქონს დავაკელით ან წაუმატეთ თუნდაც ერთი მარცვალიც, უმაღ ვიგრძნობთ ჰარმონიის დარღვევებს.

ლექსის სტრიქონი დაყოფილია გარკვეულ ერთეულებად, რომელსაც ეწოდება რიტმი. სტრიქონებში რიტმული ერთეულების კანონზომიერი გამეორება ლექსითი მეტყველების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშან-

67. ს. ელენტი, ქართული ენის რიტმიკულ-მელოდიური სტრუქტურა, 1963 წ. გვ. 27.

ნია.⁶⁸ მაგალითად: თექვსმეტ-მარცვლიან ლექსში ზოგჯერ გვხვდება რიტ-
მული ერთეულები, რომლებიც შეიცავენ ოთხ-ოთხ მარცვალს: 4-4-4-4;
ზოგჯერ ასეთი ერთეულებია გამეორებული: 5-3-5-3, ან პირიქით. რიტმ-
ში არის ეფფონიის (კეთილზმოვნების) შექმნის ერთ-ერთი ძლიერი ხერხი.
ლექსით მეტყველებაში კეთილზმოვნების მისაღებად მოხმარებული არის
აგრეთვე – რითმა. სტრიქონების გარკვეული რაოდენობა ბოლოვდება
ერთნაირი ან მსგავსი ბგერებით: ერთი, ორი, სამი ან მეტი მარცვლის
ფარგლებში: საცოდნარია-საწუნარია; ჩახატული-გაზაფხული მდგარი-კა-
რი და სხვა. თუ რითმა არ მოიპოვება, ლექსს თეთრი ლექსი ეწოდება.⁶⁹

ლექსის ენაში კეთილზმოვნების შესაქმნელად სხვა საშუალებებიც მო-
იპოვება. ერთ-ერთი მათ შორის არის ალიტერაცია. ეს ხერხი იმ შე-
მთხვევაში არსებობს, თუ სალექსო სტრიქონებში სიხშირით არის გამეო-
რებული ისეთი მარცვლები, რომლებიც შეიცავენ ერთნაირ ან მსგავს
თანზმოვნებს: ამირან, ძმათა მზესა, ნურა გინდა ნურავისი, თორემ გმირნი
დაგეძრახავენ: „მკვდარი გაუძარცვავს სხვისი“. აქ 12 სიტყვაა, თითქმის
ყველაშია ნარნარა თანზმოვნები.

არა მარტო ლექსის ენაში, არამედ სხვა ჟანრების ენაშიც ხშირად
გვხვდება გამეორების შემთხვევები. ზოგჯერ გამეორებულია სიტყვები,
ზოგჯერ – გამოთქმები. განსაკუთრებით ხშირია გამეორებები ლექსიკის
სფეროში; გვხვდება გამეორების სხვადასხვა ნიმუშები; მაგალითად, გამე-
ორებულია სავსებით ერთნაირი სიტყვები, ერთნაირი ფუნქციით, სხვა-
დასხვა სიტყვები ერთნაირი ფუნქციით; გამეორებულია წინადადების
რომელიმე წევრი სათანადო სიხშირით; გამეორებულია რომელიმე სტი-
ლისტიკური საშუალება და სხვა.

**ა. გამეორებულია გარეგნულად ერთნაირი სიტყვები ერთნაირი ფუნ-
ქციით:**

არც მასვეს და არც მაქამეს, არც ჩამაცვეს, არც დამხურეს.
(დავით გურამიშვილი)


თოვლი მოდის, აგერ თოვლი,
ამიკრელდა, ამებლანდა...
მოუხშირა, მოუხშირა,
წამობრძანდა, წამობრძანდა...
ვხედავ, ვხედავ დაგვიზამთრდა;
მომავონდა მე ზამთარი.
მომავონდა პაწიობა,
მომავონდა მე სახლ-კარი!

(რაფიელ ერისთავი).

68. მეტრი და რიტმი „ვეფხისტყაოსანში“, გ. წერეთლის რედაქციით და გამოკვლე-
ვით, 1978 წ.

69. ა. გაწერელია, ქართული კლასიკური ლექსი, 1958 წ.

ხალხი აზვირთდა, ხალხი აღდგა, ხალხი

მოქმედებს! 
საქართველოს
წიგნების კავშირი
(ილია ჭავჭავაძე)

ამიტომაც გამოგონეთ,
გესმათ ჩემი ნაუბარი:
შეიძინეთ, შეიძინეთ,
შეიძინეთ მეგობარი!

(იოსებ გრიშაშვილი).

ბ. გამეორებული სხვადასხვა სიტყვა ერთნაირი ფუნქციით.

უაით, ვუით, წყევლით, კრულვით,
რიგი ფეხით, რიგი ურმით
ზედიზედა:
მამა, დედა,
ძმები, დები,
მამიდები,
ხიძე, ქალი,
მაჰანკალი,
ცოლი, შვილი,
ბერი, ჩვილი,
ძმისწულები,
ნათლულები,
აქ ხიდედრი, იქ ხიმამრი -
აეშალა ყველას ტამრი,
გამოესხათ ფრთები ორბის -
ყველა მორბის, ყველა მორბის!

(ოვანეს თუმანიანი).

პლენხანოვის გამზირი ორ პარალელურ მდინარესავით მიედინებოდა
აღმა-დაღმა. მოქალაქეები დაცურებული მორებივით მიჰყვებოდნენ მდი-
ნარეთა ამ თავაწყვეტილ დინებას, ერთმანეთს გვერდს უჭყვევდნენ, ეხეთ-
ქებოდნენ, აჩერებდნენ, რალაცას უხსნიდნენ ერთმანეთს ხელებით, მერე
კვლავ სცილდებოდნენ ერთმანეთს და კვლავ მიჰყვებოდნენ ამ აბოზოქ-
რებულ მდინარეს!

(ნოდარ დუმბაძე).

გ. გამეორებულია დამატებები

მიყვარს მარად მხნე და ძმური
ეს გურია, ეს ხვანეთი,
თუში, ფშავი და ხევსური,
აქარა და თრიალეთი!

(გალაკტიონ ტაბიძე).

მწყურვალისათვის მიმატანინე წყალი,
მეველისათვის
მიმატანინე ვალი,
გზააბნეულისათვის
მასწავლებლინე გზები,

შეუწამლავი
შემაწამლინე ზვრები,
მომამებნინე
სხვაგან დამარხული ძმები
ამ ჩემს მამულში
დამამარხვინე ძვლები,
მათქმევინე:
ქვეყნად სიციცხლე ღირდა,
მერე წამოვალ,—
წამოვალ საცა გინდა!

(ქანსულ ჩარკვიანი).

დ. გამეორებულია შედარებები

როგორც მამათა ჩვენთა ამაგი,
როგორც წინაპართ ანდერძანავი,
როგორც ერთგული ტოლ-ამზანავი,—
ძველი სიმღერა არ დაივიწყო!

(ხუტა ბერულავა).

ე. გამეორებულია ეპითეტი ზმნასთან

ნაზად, ამაყად ცეცხლა-პირს იქდა...

(ილია ჭავჭავაძე).

ვ. გამეორებულია სინონიმები

ნუთუ ნაღველი, დარდი და ჭავრი
თან არაეისი წამოგილია?!

(ილია ჭავჭავაძე).

ზ. გამეორებულია მიმართვები

გეხვეოდნენ ყვაე-ყორნები,
გწვავდა ცეცხლის წვიმა,—
უკრაინა, უკრაინა,
დიდო უკრაინა!

(იოსებ ნონეშვილი).

თ. გამეორებულია სხვადასხვა ფორმით ერთი ძირის სიტყვები

უგულო კაცი ვერ კაცობს, კაცთაგან განაკილია!

(შოთა რუხთაველი).

ი. გამეორებულია ანტონიმები

მაძღარს ართმევე, მშვიერს აძლევე,
ღმერთი როგორ წავაბღენსა?!

(ხალხური „არსენა“).

მე ნექტარს გთხოვდი, ნაღველს მასმევედი,
მე იას გთხოვდი, ნაცარს მაყრიდი,
მე გულსა გთხოვდი, — ხიცვილს მაყრიდი,
მე ბეჭედს გთხოვდი, — ბორკილს მაყრიდი!

(რაფიელ ერისთავი).

ხან უღნური ვარ, ხან ბრძენი,
ხან არც ისა ვარ, არც ისა!

გარემოების საყვირი —
 არც მიწინა ვარ, არც ცხმა
 (აკაკი წერეთელი).

კ. ანაფორული გამეორებები

— ო, ენაე ჩემო,
 დედაო ენაე,
 შენ, ჩვენო ნიჭო,
 სრბოლავ და ფრენავ,
 შენ, ჩვენი სუნთქვის დიდო ალამო,
 შენ, კირთა ჩვენთა ტკბილო მალამო,
 შენ, კირთა ჩვენთა ქვათა და კირთა,
 შენ, ერთი შემზრჩი სამარის პირთან!

(ირაკლი აბაშიძე).

მე ახალგაზრდა სანამ ვიქნები,
 ხანამ ფრთებს შლიან ჩემი წიგნები,
 ხანამ წინ მიხმობს ხალისი ზვალის,
 სანამ მიყვები სრულყოფის ხალისს,
 ხანამ არ დავთმობ ახლის მოლოდინს,
 ხანამ არ ვიტყვი სათქმელს ბოლომდის!

(გრიგოლ აბაშიძე).

ღ. ზეაღსვლა (გრადაცია)

გრადაცია — გულისხმობს მოქმედების, რაიმე მოვლენის აღწერის თან-
 დათან გაძლიერებით ზეაღსვლას. გრადაციაში უპირატესად მოხმარებუ-
 ლია სხვადასხვა სახეობის გამეორებები და მეტყველების სხვა საშუალე-
 ბებიც.

ხელმწიფე მფლობელო, საზოგადო მამავ, მეფე ირაკლი! ვის მივსცე შე-
 ნი უმაღლესი თავისა და უძლეველი ტანის უზომო ტრფიალება? ვის
 დროშას ვემსახურო? ვინ შევიყვარო?! ვისთვის მოვკვდე?! ვისთვის ვიცო-
 ცხლო შენს უკან სიცოცხლე საზრახავად განმწარებულმა?!

(სოლომონ ლეონიძის სიტყვა, თქმული ერეკლე მეორის დაკრძალვა-
 ზე).

დაე მოვკვდე მე უპატრონოდ მისგან ოხერი!
 ვერ შემაშინოს მისმა ბასრმა მოსისხლე მტერი,
 ვასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამზღვარი,
 და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი შავად მღელვარი!

(ნიკოლოზ ბარათაშვილი).

ქუხვა და ქექვა, ელვა და სეტყვა,
 არევ-დარევა ღრუბლების სრბოლა,
 ქართა, აწ გრიგალთ რადმე ქცეულთა,
 ზარით და ზათქით კლდეებში ქროლა,—
 ესე ყოველნი ერთად რეული —
 ჰგვანდნენ ცის ვლენილს რისხვას ღეთისასა!
 (ილია ჭავჭავაძე).

დიდება უკვდავ
მშვიდობის საქმეს...
მილიონ გულთან
ვგუგუნებთ ერთხმად;
მშვიდობა კერებს,
მშვიდობა ხალხებს,
მშვიდობა ქვეყნად,
მშვიდობა ქვეყნად!

(ირაკლი აბაშიძე)

მუხანათურად მოგკლეს პოეტი —
იგი მნათობის ჩაჭრობას ჰგავდა,
უფრო გაგიჟდა თერგი მრისხანე,
ბრაზმორეული მიწასა ხრავდა,
რიონის ტანი ლოდებს ასკდება,
მტკვარი თბილისში ამხედრებულა,
ატირებულა ტალღა არაგვის,
და ალაზანი აკვნესებულა!

(დავით პატატიშვილი).

რა მოკლავს ამ ხალხს,
ერთსულოვანს, რა მოსპობს ამ ერს,—
ყივის მამალი
და ყვილით ათენებს ღამეს!
დიდება შენდა, საქართველოვ,
შენს უკვდავ შვილებს, —
ლილე, ო, ლილე იმედისა,
ლილეთა ლილე!!

(მორის ფოცხიშვილი).

ჭერ საქართველო, გიორგი,
ჭერ საქართველო ვახსენოთ,
რისთვისაც გული გვიდგას და
ქვეყნად რისთვისაც ვარსებობთ!

(არჩილ ხულაკაური).

4. მოდალური საშუალებანი

„მოდალურ საშუალებებში“ უნდა გაერთიანდეს ის სიტყვები, გამოთქმები და წინადადებები, რომლებიც გრამატიკის სახელმძღვანელოში ცალკეა გამოყოფილი და აღინიშნება ასეთი სათაურით: „განკერძობული სიტყვები და გამოთქმები“.⁷⁰

70. რ. შამელაშვილი, განკერძობული სიტყვები და გამოთქმები ქართულში და მათი სწავლების მეთოდია, 1958 წ.



„მოდალური“ ნიშნავს მიმართებას ნათქვამისადმი. ეს მიმართება შეფერილია გარკვეული გარძობითი იერით, რომლითაც მკლავდებულ როგორ განიცდის მთქმელი გამოხატულ შინაარსს. მიმართებები სხვადასხვა ხასიათისაა; ყოველთვის არ არის განცდის ელფერი გარჩეულად გამოხატული, მაგრამ მაინც გრამატიკაში „განკერძოებულად“ მიჩნეული ენობრივი საშუალებები უფრო სტილისტიკის ობიექტად უნდა იქნას მიჩნეული.⁷¹

ენობრივ საშუალებებს „განკერძოებული“ ეწოდება იმიტომ, რომ დასრულებულ წინადადებაში განსაკუთრებულად არსებობენ. მთავარი თავისებურება ის არის, რომ „განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები“ წინადადებაში რომელიმე წევრის ფუნქციას არ ასრულებენ. გარდა ამისა, განკერძოებული საშუალებები სინტაქსურ დამოკიდებულებაში არ იმყოფებიან წინადადების სხვა სიტყვა-წევრებთან, ისინი თითქოს ცალკე დგანან, ზეპირმეტყველებაში აქვთ გამოჩენილი ინტონაცია და წერაში კი პუნქტუაციური ნიშნებით გამოიყოფიან. მიუხედავად ამისა, განკერძოებულ სიტყვებსა და გამოთქმებს, ზოგჯერ ბგერას ან ბგერათა ჯგუფს, როგორც მოდალურ საშუალებებს, მკვეთრი ფუნქციები მოეპოვებათ წინადადების აზრობრივი მხარის მონაცემებისათვის სათანადო ელფერის მისანიჭებლად.

გრამატიკის „განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები“, ხოლო სტილისტიკის „მოდალური საშუალებები“ შეიძლება დაჯგუფდეს შემდეგი სახით: მიმართვა, მიგებითი ნაწილაკი, განკერძოებული განსაზღვრება, განკერძოებული გარემოება, დანართი, ჩართული და შორისდებული.

მიმართვა

წოდებითი ბრუნვის ფორმას მიმართვის ფუნქციის გადმოცემა ეკისრება. მიმართვას ზოგჯერ ახლავს მსაზღვრელი სიტყვა („კეთილო მეგობარო“), მაგრამ მთლიანად გამოთქმა გამოცალკევებულია წინადადების სხვა წევრებისაგან. წოდებითი ბრუნვის ფორმის სიტყვას ან მთელ გამოთქმას სტილისტიკური ელფერის გამოხატვა ეკისრება: „მიმართვას სხვადასხვა სტილისტიკური ელფერი შეაქვს მთელ გამონათქვამში.“⁷²

მთქმელს სხვადასხვა მომენტში უხდება „მიმართვის“ გამოყენება. ზოგჯერ მიმართვას ძალზე მძაფრი ხასიათი შეაქვს წინადადების შინაარსში, ან ძალზე მოზღვავებული განცდებია გამოხატული და სხვა. მიმართვა

71. ალ. გვენცაძე, ზოგადი სტილისტიკის საფუძვლები, 1974 წ.

72. რ. შამელაშვილი, დასახელებული წიგნი, გვ. 42.

ზოგჯერ მიჰყრობილია უსულო საგნების ან მოვლენებისადმი, — ზოგჯერ ადამიანებისადმი და სხვა.⁷³

— მეუღლისაგან განაწამებმა უშუაწამა ასე მიმართა თანამზრახველთ: „— ნუ სტირთ, ძმანო ჩემნო და დანო ჩემნო, შვილნო ჩემნო, არამედ ლოცვასა მომიხსენიეთ!“

იოვანე საბანის ძე ასე მიმართავს წამებულ ჰაბოს: „გიხაროდენ, გიხაროდენ, ხანატრელო მოწამეო!“

ავთანდილი გაემგზავრა ტარიელის დასახმარებლად; მიდის მხედარი და მიიმღერის:

მიმავალი ცახა შესტირს, ეუბნების, ეტყვის მზესა:
აჰა, მზეო, გეაჩები შენ, უმძლესთა მძლეთა მძლესა!
ნუ მიმატოვებ, ოცნებავ, მომეც ძველი ხილვანი!

(ალექსანდრე ჭავჭავაძე).

ვინ იცის, მტკვარო, რას ბუტბუტებ, ვისთვის რას იტყვი?
(ნიკოლოზ ბარათაშვილი).

ყაშირის ბელტო, ნუ ნაზობ,
გადადი ზედიზედაო!

(რაფიელ ერისთავი).

ჰოი, ბნელო ღამევ! მეჯავრები შენ მე!
(ლია ჭავჭავაძე).

ტყეო, დედამიწის გვირგვინო, მუღამაც იხარე ფოთოლით და ნაყოფით
(ვაჟა-ფშაველა)

შეებისა და ლხენის წყაროვ,
საქართველოს მარგალიტო,
საქართველოს ბურჯად მდგარო!
ბეჭერი ავი აგარიდოს
ქართლის ფუძევ ამაგდარო,
სანატრელო, სანუკვარო,
საქართველოს ტურფა თვალო!

(ლადო ასათიანი).

ჩემო ხალოცავო და ღამის ხათევო!
ხამშობლოვ!

ჩემო ძილის წამრთმევო!
და ჩემი კაცობის გვირგვინო.

(გრიგოლ აბაშიძე).

მაშ დიდება, ძველო ვაზო,
ხიხარულო აწინდელო,
ხარისთვალავ, ბუდეშურო,
ძველშავო და რქაწითელო,
კრახუნავ და ოქალეშო,

73. ა. კიჩირია, მიმართვა ძველ ქართულში, ქართული ენის სტრუქტურის საკითხები, 1963 წ.

ჩხავერო და იზაბელავ,
შაბიამნით გალუმპულო,
საქართველოს ცისა ფერად —
ილორძინე, ილიადე,
იძლიერე აწ და მარად
საქართველოს სასახელოდ!
საქართველოს გასახარად!
(მურმან ლებანიძე).

მიგებითი ნაწილაკი

შეიძლებოდა, რომ ცალკე არ გამოგვეყო მიგებითი ნაწილაკები: თითქმის უმჯობესია მათი მიკუთვნება მიმართებითი შორისდებულებისათვის. მაგრამ ტრადიციულად სახელმძღვანელოებში ცალკეა ისინი წარმოდგენილი და აქაც ასე დავიცავთ.

ძალზე საყურადღებოა ლეო კვაჭაძის მითითება, რომ მიგებითი ნაწილაკები დადასტურებითია ან უარყოფითი. დადასტურებითია: ჰო, კი, დიალ (დიალ); უარყოფითია: არა, ვერა; მიგებითი ნაწილაკები წინადადების მაგივრობას ეწევიან და ამიტომ მათ, ჩვეულებრივ „სიტყვა-წინადადებას“ უწახიან. ასეთი „სიტყვა-წინადადება“ წინადადების წვერი არ არის; იგი დაუნაწევრებელი ერთეულია, რომელიც ცალკე აღებული, არაფერს აღნიშნავს, მაგრამ მეტყველებაში საკომუნიკაციო ფუნქციას ასრულებს, გამოხატავს მოდალობას და ეკვივალენტია სრული თუ უსრული წინადადებისა.⁷⁴

ფაქტია, რომ მიგებითი ნაწილაკები მოდალური საშუალებებია. მიგებითი ნაწილაკების როლს ასრულებენ ზოგჯერ შემდეგი ერთეულები: მაშ, თითქოს, ნამდვილად, რატომაც არა და სხვა.

ა. დადასტურებითი:

— ჰო, გეთაყვა, ჰო! შენი გოშია ვარ, მაშ რა ვარ?
(ილია ჭავჭავაძე).

დიალ, დიალ, ალექსანდრეჯან!

(ლავრენტი არდაზიანი).

— კი, ბატონო, კი!

(დავით კლდიაშვილი).

ბ. უარყოფითი:

— და ხალხმა ვერ გაუძლო ამ გამოცდას?

— ვერა!

(ნოდარ დუმბაძე).

⁷⁴ ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, 1977 წ. გვ. 297.

- რაიმე პროფესია გაქვს?
- არა!
- მუშაობ სადმე?
- არა!
- ფული გაქვს?
- არა!

(ნოდარ დუმბაძე).

ჩართული

ჩართული სიტყვა და გამოთქმა მიეკუთვნება განკერძოებული საშუალებების წრეს. სხვა განკერძოებულ ერთეულებთან შედარებით, ჩართულში უფრო თვალსაჩინოა სტილისტიკური ელფერი. ეს ელფერი სხვადასხვა ხასიათისაა და ლოგიკურ-ექსპრესიული ნიუანსიც მრავალფეროვანია.

მართებულად უხდა იქნეს მიჩნეული ასეთი მითითება: „ჩართული სიტყვები ერთგვარად ამატებენ, აზუსტებენ წინადადების აზრს. ეს კი მიუთითებს ჩართულსა და წინადადების ნაწილებს შორის სემანტიკურ კავშირზე. ამიტომ თითქოს გაუმართლებელი ჩანს ზოგიერთი მკვლევარის მტკიცება იმის შესახებ, რომ თითქოს ჩართულის ამოღებით წინადადება არ ირღვეოდეს. სინამდვილეში კი ჩართულის გამოტოვებით წინადადების აღნაგობა უცვლელი რჩება, მაგრამ, სამაგიეროდ, ზიანდება სემანტიკური მხარე“.⁷⁵

მრავალფეროვანია საშუალებები ჩართულისათვის; მათი დაჯგუფება ასე შეიძლება: სიტყვები, გამოთქმები, წინადადებები.

ჩართული აუცილებლად გამოიყოფა სასკენი ნიშნებით.

ა. სიტყვები:

მართალია, დედი. ცრემლი მწუხარების შეილია, მწუხარებას ალბომს მაგრამ გონების თვალს არ უხდა მოერიოს ცრემლი.

(ილია ჭავჭავაძე).

ცხადია, რომ ამგვარ პირობებში ჩაყენებული მოზარდი თაობა ვერას გამოიტანდა ბევრს გიმნაზიიდან.

(აკაკი წერეთელი).

რასაკვირველია, მკითხველი მიხვდება, რომ ეს დაკრძალი ელგუჯა უნდა ყოფილიყო...

(ალექსანდრე ყაზბეგი).

75. რ. შამელაშვილი, განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები ქართულში და მათი სწავლების მეთოდთა, 1968 წ. გვ. 149.



უმჯავლია, დიდი სიფრთხილე გვმართებს...

(გიორგი წერეთელი).

საფიქრებელია, რომ თუთაშხია განზრახ ერიდებოდა ნინუასთან სტუმრობას.

(კაბუა ამირეჯიბი).

ბ. გამოთქმები:

რა თქმა უნდა, მარიამის ბრალია, ასე რომ შეაგვიანდა.

(ლეო ქიაჩელი).

სვიმონს, როგორც ეტყობოდა, არ ეამა ეს სიტყვები.

(ალექსანდრე ყაზბეგი).

ბოლოს, ფერისცვალობის დღეს, რაღაც ეშმაკად, ნათლიმამამ ნახევარი ლიტრა კალმახი შიართვა.

(ილია ჭავჭავაძე).

ჩემს ვაჟკაცობაში, უნდა მოგახსენოთ, ბევრ ირემს უზიდნია კისრით ჭები ისარი!

(გიორგი ლეონიძე).

მე უპირველეს ყოვლისა, ჩემი ხალხის, ჩემი მოდგმისა და ერის შეილ-თაგანი ვარ.

(კაბუა ამირეჯიბი).

გ. წინადადებები:

ვერ გაგიმეტე, გიორგი, ვაჟ დედიჩემის ღმერთსა!

(ხალხური „არსენა“).

ჯაჭალა, რომელიც თარჯიმანობდა შეყვარებულთა შორის, და მზალო დამეგობრდნენ ისე რიგად, რომ დამალული აღარა ჰქონდათ-რა.

(ალექსანდრე ყაზბეგი).

ჩვენთვის რომ ვთქვათ, წერა მაინც არც სხაპასხუპით იცოდა.

(ვაჟა-ფშაველა).

ერთ ზაფხულს, — შაშინ ხიშიონა თხუთმეტის წლისა იქნებოდა, ერთს სი-ბიანას მეზობელს ნალია გაუტეხეს და სიმიინდი მოჰპარეს.

(ეგნატე ნინოშვილი).

და, წუთის წინათ დადღილი, ისევ ბრძოლის ცეცხლით და ძალით ივსებო...

(მირზა გელოვანი).

ბანკროტობა უკვე ბანსაუღვრება

წინადადებაში განკერძოებული განსაზღვრების არსებობა მოითხოვს განსაკუთრებულ წყობას. განკერძოებული განსაზღვრება რაიმე მომენ-ტის, მოვლენის ან მიმართების დაზუსტება-დაკონკრეტების ფუნქციას



ასრულებს. რა თქმა უნდა, განსაზღვრება ინარჩუნებს თავის დანიშნულებას, მაგრამ თავისებური სიახლე მაინც ემატება წინადადებას აზრს, მაგალითად: ძალზე დალილიმა ჩემმა მეგობარმა ცივ წყაროსთან შეისვენა. ეს აზრი ასეთი წყობითაც გამოიხატება: ჩემმა მეგობარმა, ძალზე დალილიმა, ცივ წყაროსთან შეისვენა.

ხალხი, წუთის წინ ხულგანაბული, ეხლა მხიარულად ყაყანებდა.
(ილია ჭავჭავაძე).

კიდევ ერთი წამი და მაგდანა, წელში გამართული, პირმოშლიმარე, თოკით ხელში ლურჯას მიუძღვებოდა.
(ეკატერინე გაბაშვილი).

პატარა ბიჭი, მთლად ტყავში, ნაბადში და ყაბალახში გახვეული, ცხენს მიაჭენებდა.
(ალექსანდრე ყაზბეგი).

ბანკერძოებულის ბარემოება

განკერძოებული გარემოება ზმნა-შემასმენელთან დაკავშირებული სიტყვა ან გამოთქმაა. განკერძოებული გარემოება აზუსტებს, აკონკრეტებს გარემოების ამა თუ იმ სახეობას, — ეს იქნება დროის გარემოება, ადგილისა, თუ სხვა.

თბილისში, მთაწმინდის მოედნის მარჯვნივ, ჩრდილოეთით, ასდევს ერთი ვიწრო ქუჩა, რომელსაც ჰქვია ხევის ქუჩა.
(იაკობ გოგებაშვილი).

იმ დღეს, გლეხის ვახშობის დროს, ამ მეურმეებმა ქალაქის პირამ გამოუშვეს ურმები.
(ილია ჭავჭავაძე).

ერთხელ, ზამთარი რომ დადგა, მე და ჩემმა პატარა ფარეშებმა შვილდკოდლების კეთება დავიწყეთ.
(აკაკი წერეთელი).

აშ შენ არ გინახავს ერთი მშვენიერი კუთხე, ჩემთვის მაინც! ამ საარაგვოზე, ზედ არაგვის პირად, ბოდორნასა და ნაოზას შუა, არაგვის გაღმარის სოფელი გ.
(დანიელ ჭონჭაძე).

მეორე დღეს, დილით, მზის ამოსვლისას, რალაც ხმაური გაისმა ქუჩაზე.
(გიორგი წერეთელი).

გალმა, მარაბდის ზემოთ, თრიალეთის თეთრი ქედი ბზინავდა
(მიხეილ ჭავჭავაძე).



წინადადებაში რომელიმე სიტყვის ფუნქცია ისეა წარმოდგენილი, რომ ჩანს, თუ კონკრეტულად რა ან ვინ იგულისხმება; ვის ეხება, რას ეხება და სხვა. ასეთ შემთხვევაში ჩნდება მოთხოვნილება, რათა გაირკვეს და აზუსტდეს ვითარება: ჩვენ ვწირავთ სიცოცხლეს, — მაგრამ ამ „ჩვენში“ არ არის ნაგულისხმევი, არ ჩანს; ამიტომ იყო, რომ პოეტმა დააკონკრეტა შინაარსი: „ჩვენ, პოეტები საქართველოსი, ახალ გრიგალებს ვწირავთ სიცოცხლეს!“

ამრიგად, დანართი „პოეტები საქართველოსი“, — ასრულებს გარკვეულ საჭირო დანიშნულებას.

სამეცნიერო ლიტერატურაში თითქოს არ არის მითითება დანართის სტილისტიკურ ფუნქციაზე, მაგრამ იგი ამ ფუნქციას გარკვევით ასრულებს.⁷⁶

მე, როგორც ქვეყნის შვილს, თერგის სახე უფრო მომწონს.

(ილია ჭავჭავაძე).

მანამ ჩვენი რომანის გმირები, ბესია და მისი ამხანაგები, მივიდოდნენ მკაცთან, რომელთანაც წავიდნენ რჩევის საკითხავად...

(ეგნატე ნინოშვილი).

მე, დედამიწის მებრძოლი,
გლები ვარ, გლებად შობილი.

(რაფიელ ერისთავი).

ჩვენ, ბაღლები, ამ უცნაური სანახაობის მომსწრენი, შემკრთალები ვიყავით.

(ვიორჯი ლეონიძე).

მე, ქართველი ბუხაძე,
ბალყარეთის მთებში ვწეეარ.

(ირაკლი აბაშიძე).

შორისდებული

შორისდებული იმდენად თვალსაჩინოა მეტყველებაში, რომ მას ადგილი „მეტყველების ნაწილებში“ დაეთმო.

შორისდებულის „ლექსიკურ-სემასიოლოგიური“ დახასიათება აშკარად შეიცავს მითითებას, რომ შორისდებულს მოეპოვება სტილისტიკური კატეგორიის ფუნქცია.

76. ა. კიზირია, დანართი ძველ ქართულში, 1964 წ.



დადასტურება:

ჰაი, ჰაი, რომ ავასრულებ! მაშ არ ავასრულებ!

(ალექსანდრე ყაზბეგი).

მწუხარება:

აფსუს, ნინიაც თან რომ არ გაჰყვა მაშინ ერისთავის ვაჟს!

(კონსტანტინე გამსახურდია).

დარდი:

ვამე, თუ შორს გზას წავიდე,
საგძლად ვერა-რა წავიღო?...
(დავით გურამიშვილი).

ოხვრა:

ეჰ, ვის ესმის, თუ სადღაც მუშა კენესის?...

(გრიგოლ ორბელიანი).

ვახ, როგორ დროს მიღალატე,
გაგიწყდეს გამჟღელია!

(ხალხური „არხენა“).

ბოღმა:

ეეჰ, ჩემო მაზლო, ვისაც არა ჰყოლია, ის ვერც დაკარგავდა...

(ლადო მრელაშვილი).

ოი, როგორ მედიდური
მქონდა გული ბავშვობის,
ოი, როგორ დაგემდურე,
ოი, როგორ დაგშორდი?!
(მირზა გელოვანი).

ნაღველი:

ოჰ რამდენი გამოცდილება მაკლია მე საცოდავსა?!
(ვაჟა-ფშაველა).

ეჰ, ტიალი წუთისოფელი! რა მალე ამოსულა აქ ეკალი და ჰინჰარი?!
(ლევან გოთუა).

სინანული:

ვაი, რა ჩქარა წავიდა იგი!
ვაი, რა ცოტა დაეწერე წიგნი?!
(ხუტა ბერულავა).

ვაი, თქვენ, ჩემო ჩავლილო
სიყმაწვილისა წლებო!...

(მურმან ლებანიძე).

დაცინვა:

ეგ ყველაფერი ძალიან მოგისაზრებია... მარა რომ ეყოლოს, კაცო, შვილი... ხა, ხა, ხა! ...შვილი რომ ეყოლოს? სერიი არ იქნება? რას იზამ მაშინ, პლატონ? ხა, ხა, ხა! — ხარხარებდა კირილე.

(დავით კლდიაშვილი).



ნიშნის მოგება:

ოლოლო, შენ ვერ გამოიცანი!
(ილია ჭავჭავაძე).

შეცოდება-შებრალება:
ბეჩავ, ბიჭო! ცოდვა არა ხარ ეგრე შებოჭილ-დაბორკილებული?!
(ვახილ ბარნოვი).

შებრალება:
ბეჩა, თქვენ ტყუილა დეიხოცეთ ჭავრით თავი!
(ეგნატე ნინოშვილი).

გაბრაზება:
აა! არ გეტყინათ?! - და უფრო მაგრად მოუნაცვლა წყებლა.
(აკაკი წერეთელი).

ზიზღი:
ლომსა დავუგმე ნაქნარი, ვარქვი: „არა ხარ ცნობასა,
შენ საყუარელსა რად აწყენ? ფუ, შავა მამაცობასა!“
(შოთა რუხთაველი).
გატეხა და გადააგდო, ფუ გამჟველი გაგიწყდეს!
(ხალხური „არხენა“).
ფუ! შენს სამართალს, შენს სამსჯავროსა!...
(ილია ჭავჭავაძე).

ბრძანებითობის (იმპერატიულობის) შორისდებულები:
ბრძანება:
წა, შეები ხატაელთა!
(შოთა რუხთაველი).

ბე, გაუშვი ახლა ხელი! - გასცა განკარგულება.
(ნოდარ დუმბაძე).

დაძახება:
არიჭა, მარჯვედ იყავი არ წაგივიდეს!
(აკაკი წერეთელი).
არიჭა, მათიაუ! მიშველე, შენი კვენესამე, მიშველე!
(ალექსანდრე ყაზბეგი).

მოწოდება:
ბე, მთებო გოლიათებო, გააღეთ კლდეთა კარები!
(ხუტა ბერულავა).

ჩივი-დარიგება:
ფარა კუნტრუშით
ტყისკენ მიიწვეს,
სალამოს ნისლი
გვერდით ჩაუვლის...
ო, ბეკეებო,
მგელს ნუ ივიწყებთ,
ო, ბეკეებო,-

თავს ნუ გაგივიათ!
(ანა კალანდაძე).



გაფრთხილება:

სუ, სუ, ნაჩალნიკმა არ გაიგონოს!

(**ეგნატე ნინოშვილი**).

ჩუ! – ეს ვისი ხმაა? – წაიჩურჩულეს ფოთლებმა და შრიალი შეწყვიტეს.

(**გიორგი ქუჩიშვილი**).

ჩუ. ფუტკარი ზუის კორდზე –
პირველ ყვავილისკენ ჩქარობს...

(**მურმან ლებანიძე**).

თხოვნა:

აბა, თუ ღმერთი გწამს, წამიკითხე, მეც გავიგონო!

(**ილია ჭავჭავაძე**).

დატუქსვა:

აჰა, შე არ დასარჩენო, ამოისხი და ჩაიცვი!

(**ილია ჭავჭავაძე**).

გ. მიმართებითი შორისდებული

როგორც აღნიშნული გვაქვს, ერთი ჯგუფის შორისდებულებს ვუწოდებთ „მიმართებით“.

„მიმართება“ გულისხმობს გარკვეულ ვითარებას, რომ მთქმელი რაიმე თვალსაზრისით დამოკიდებულებას ამჟღავნებს სხვასთან. ეს დამოკიდებულება სხვადასხვა ხასიათისაა. მიმართებითად მოხმარებული შორისდებულები ზოგჯერ, ერთგვარ სიახლეს იჩენენ სხვა ჯგუფის შორისდებულებთან, მაგრამ მაინც ინარჩუნებენ განსხვავებულ იერს.

ფიცილის:

ფიცილის სათანადო იერი დაცულია შემდეგ ერთეულებში:

დედაშვილობას, ჩემმა მზემ, და-ძმობამ, ღმერთმანი და სხვა.

დედაშვილობას, აგრემც ღმერთი გიცოცხლებს შვილებს, შენ, ღვთის გულისათვის, დამანებე თავი, – ეხვეწებოდა დედა-ჩემი.

(**დანიელ ჯონჭაძე**).

ღმერთმანი, რომ ასეა!

(**ილია ჭავჭავაძე**).

სააღერსო:

უი, შენ კი გენაცვალოს დედა!

(**ვაჟა-ფშაველა**).

ჩემო ყველაჯ! – ეუბნებოდა ის მაშინ...

(**ალექსანდრე ყაზბეგი**).

მოკრძალება:

არა, შენი კვნესა-შე, არა მინდა-რა.

(**ალექსანდრე ყაზბეგი**).

არ ემჯობინება, შენი ჰირიშიე, რომ წითელი ლათშა ვუბოძოთ?
(აკაკი წერეთელი)

მორიდება-მობოდიშება:

ოი, უკაცრავად, დამავიწყდა!
(დანიელ ჭონქაძე).

მისაღწება:

აი, გაგიმარჯოს, ჩემო გიორგი!
(ილია ჭავჭავაძე).

გამომშვიდობება:

ღამე ნებისა, ამხანაგო ექიმო!
(კონსტანტინე გამსახურდია).

დალოცვა:

აქა მშვიდობა და გამარჯვება!
(რევაზ მარგანი).

ყველა მაგალითის მოყვანა არ არის საჭირო. წარმოდგენილითაც დას-
ტურდება შორისდებულების სტილისტიკური ფუნქცია.

5. სიტყვა-ტერმინი

ენაში არსებული ლექსიკური ფონდი სხვადასხვა ასპექტით გვუფლება. ზოგი სიტყვა (და ისიც უმრავლესობა) მიჩნეულია ჩვეულებრივ ერთეულად. სიტყვათა გარკვეული ნაწილი მნიშვნელობაზე მიუთითებს, მაგრამ, ამავე დროს, მკვეთრად აღნიშნავს სიტყვის ან გამოთქმის არსებით მხარეს, ე. ი. აღნიშნავს ცნებას. ყველა სიტყვა არ გამოხატავს ცნებას. ზოგჯერ ერთი და იგივე სიტყვა მეტყველებაში იხმარება, როგორც ჩვეულებრივი მნიშვნელობით, ასევე, როგორც ცნების გამოხატველი. მაგალითად, სიტყვა „მარილი“ ჩვეულებრივ მეტყველებაში ეწოდება ისეთ მასალას, რომელსაც იყენებენ, მაგალითად, კერძის შესანელებლად, მაგრამ იგივე სიტყვა „მარილი“ მეცნიერების ენაში გამოხატავს ცნებას და მასში იგულისხმება სხვადასხვა ელემენტის ნაერთი. მეცნიერების ენაში „მარილი“ ტერმინია. „საგნის არსებით ნიშან-თვისებას ცნება წარმოადგენს. ცნებაში ეს ნიშან-თვისებები განზოგადების შედეგადაა მიღებული“.⁸¹

მეცნიერების ენისათვის ტერმინი არის განსაკუთრებული შესაძლებლობა, ამის შესაბამისად სიტყვა-ტერმინი მიჩნეული უნდა იქნეს მეცნიერების ენის ტიპის დამახასიათებელ სტილურ ნიშნად. ამას ნათლად ადას-

81.ა. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, 1952 წ. გვ. 211.



ტურებს არნოდდ ჩიქობავას სიტყვები: „ენაში არსებული ყველა სიტყვა არ არის ტერმინი. ცნების სახელს ტერმინი ეწოდება.“⁸²

ცნებების მეშვეობით ხდება მეცნიერული აზროვნება, ცხადია, მეცნიერულ აზროვნებას აუცილებლად სჭირდება ცნებების გამოხატველი სიტყვები, ანუ – ტერმინები. ენათმეცნიერებაში ცალკე დარგად გამოიყოფა ტერმინთა ერთობლიობის შესწავლა, რომელსაც ეწოდება ტერმინოლოგია.

ყოველ ცალკე მეცნიერებას აქვს თავისი ცნებები და, ამის შესაბამისად, არსებობს დარგობრივი ტერმინოლოგია. ყოველი ენის კულტურას განსაზღვრავს სიტყვა – ტერმინთა არსებობა. ამიტომ არის, რომ მეცნიერების ესა თუ ის დარგი შეუნელბელ ყურადღებას უთმობს სათანადო ტერმინების შექმნას და ცნების ზუსტად გამოხატვას. თუ გაეითვალისწინებთ არსებულ მდგომარეობას, ვნახავთ, რომ მოგვეპოვება ამა თუ იმ დარგის მეცნიერების ტერმინთა ლექსიკონები. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარება თანდათან ამდიდრებს ტერმინოლოგიის სფეროს.⁸²

თანამედროვე კულტურულ ენებში ტერმინთა გარკვეული ნაწილი საერთოა, ე. ი. ერთნაირი სიტყვა-ტერმინები მოიხმარება. ასეთი სიტყვები არ ითარგმნება, არამედ ერთნაირად რჩება: კომუნისში, პარტია, ატომი, ომის კანონი; რენტა, კოდი, სტილი, ფონეტიკა, ფიზიკა და სხვა. ზოგიერთი ტერმინი მიღებულია კონკრეტული ენის მასალის გამოყენებით: განტოლება, ძაბვა, უკუგდება, ქვემდებარე, და სხვა.

სამეცნიერო ენის ტიპი იყენებს აგრეთვე სიმბოლეს, როგორც ტერმინთა გარკვეულ და თავისებურ სახეობას.

ტერმინოლოგიური საშუალებანი წარმოდგენილია დარგობრივ ლექსიკონებში.

6. სტილიზაცია

ცალკე უნდა გამოიყოს სტილიზაციის საკითხები.

ენათმეცნიერების სტილისტიკა თითქოს არ უნდა შეეხოს სტილიზაციის საკითხებს, რადგანაც სტილიზაცია ცალკე კატეგორიას არ წარმოადგენს; მაგრამ მეტყველებაში არსებულ რიგ მოვლენებს სტილისტიკა მანც ვერ აუვლის გვერდს. მაგალითად, ზოგჯერ ტექსტის ენაში ან ზეპირად ნათქვამში გვხვდება არქაიზმები, დიალექტიზმები, ეარგონიზმები და სხვა. ცხადია, ასეთი შემთხვევები ინტერესს იწვევს ენათმეცნიერების სტილისტიკის თვალსაზრისითაც.

82. ა. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, 1952 წ. გვ. 211.

82. ალ. ელენტი, ლექსიკოლოგია და ლექსიკოგრაფია, 1964, გვ.

ენის (მეტყველების) გარკვეულ მონაცემში სტილიზაციის მიზნით განგებოდ მიმართავენ არქაიზმების გამოყენებას; ზოგჯერ ეს ხერხი გამოიყენება სიმწინვეი სიბშირით არის წარმოდგენილი. ცხადია, არქაიზმების მოხმარებას ის მიზანი აქვს, რომ შეიქმნას სათანადო ელფერი; რა თქმა უნდა, ასეთივე მიზანდასახულობა იწვევს დიალექტიზმების, ანუ კუთხური მეტყველებისათვის დამახასიათებელ თავისებურებათა გამოყენების შემთხვევებსაც. ცნობილია, რომ მწერლები თავიანთი ნაწარმოების პერსონაჟებს დიალექტის ნორმებით ალაპარაკებენ. აქ მიზანია მეტყველების სტილიზაცია.

პრქაიზმი

არქაული ნიშნავს მოძველებულს. ამა თუ იმ ენამ ხელი შეიძლება აიღოს რომელიმე სიტყვის ან გრამატიკული წესისა და მისი საშუალების მოხმარებაზე. ეს „მოძველებული“ „ინახება“ ძველი მწერლობის ტექსტების ენაში. თუ, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ვინმემ ეს „მოძველებული“ ისევ შემოაბრუნა ენაში, მაშინ ის იქნება არქაიზმი. როგორც აღნიშნული გვაქვს, არქაიზმების მოხმარებას სტილიზაციის მიზანდასახულება აქვს: როდესაც ვეცნობით მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის, ე. წ. რომანტიკოსების შემოქმედებას, ხშირად გვხვდება არქაიზმები. რომანტიკოსებისათვის დამახასიათებელი იყო წარსულის იდეალიზაცია და ამ სფეროში ენაც უწევდათ დახმარებას. მწერალი, რომელიც ისტორიის თემაზე წერს, ზოგჯერ სტილიზაციის მიზნით არქაიზმებსაც მიმართავს; მაგალითად: ვასილ ბარნოვი, კონსტანტინე გამსახურდია და სხვა.⁸⁴

დიალექტიზმები

დიალექტის, კუთხური კილოს, ენობრივი მონაცემები თვალნათლივ უპირისპირდება სალიტერატურო მეტყველებას, რომლის საყოველთაოდ მიღებული ნორმების დაცვა ევალება ყველა მწერალს. თუ სალიტერატურო ენის ნორმა დაირღვა, ვუწუნებთ მთქმელს ენას. მაგრამ თუ მწერალმა პერსონაჟის სახის უფრო მკვეთრად ჩვენებისათვის მისი კუთხის დიალექტიზმებიც მოიხმარა, ამას გამართლება აქვს, როგორც სტილიზაციის საშუალებას. ასე გვხვდება ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებში“ მო-

⁸⁴ ე.კოშორიძე, ვასილ ბარნოვის ენა ისტორიული რომანების მიხედვით, 1966 წ.

ქალური და მამაკაცური მეტყველების იერი

ზოგჯერ ცდილობენ, რათა ცალკე გამოყონ ქალური და მამაკაცური ენის თავისებურებანი. მაგალითად: ლუარსაბი არასოდეს არ ამბობს: ჭა! მაგრამ ასეთი მიმართვა დარეჯანისათვის ჩვეულებრივია.

– ჭა! ბაბალეს კამეჩი მეველეებს დაუმწყვდევიათ და გემუდარება, – გამოაშვებინეო!

დარეჯანი არასოდეს არ ამბობს: „ვეეო!“, მაგრამ ლუარსაბს ხშირად მიუმართავს ამ სიტყვისათვის.

ლუარსაბისა და დათოს საუბრის ერთ-ერთი მაგალითი:

– რატომ ბეგარისა ხუთმეტი არ არის? – ხუთმეტი ჩვენ კაცობაში თავის გაჩენაში არ შებმულა, შენი ჭირიმე, დღეს საიღამ იქნებოდა?!

– ხუთმეტი უნდა ყოფილიყო, ვეუო! რატომ არ არის?! მე არ ვიცნო ხუთმეტი უნდა ყოფილიყო. როგორ იქნება? ბატონს სამსახური უნდა მაშ მე ბატონი აღარ ვყოფილვარ?! გაგონილა!... ფიე! ხუთმეტი უნდა ყოფილიყო, მე ვუჩვენებ იმათ, რომ მე ბატონი ვარ და ისინი ყმები არიან!⁸⁶

ქარგონი

ქარგონი, ანუ რომელიმე კლასის ან წრის მეტყველების თავისებურებანი, ხშირად არის მოხმარებული ცალკეული ნაწარმოების ენაში. ასეთ შემთხვევებს სტილიზაციის მიზანდასახულობა აქვს.⁸⁷

გიორგი ერისთავის „გაყრაში“ ხშირია ქარგონის მოხმარება.⁸⁸

ივანე (სიცილით უყურებს): „– მაშ ნიშანი უნდა გქონდეს! აბა, გნახო ღორის ყურები გასხია, თუ არა?“

მიკიტუმ: – ეე, კნიაზ! მასხარა ჰა! კნიაზჯან, ერთი ნსტეცეკე, (დასხდებიან): ექესი თუმანი შენი ვალი, ეს დავბოთ; ხუთასი თუმანიც რამეები მზითევი მოგცე; ასი თუმანი ჭიბის ფული, კნიაზის მზემ, ასე აზიზ...

85. შ. ძიძიგური, საენათმეცნიერო საუბრები, თბ. 1975 წ. გვ. 189.

86. ზ. ჭუმბურიძე, სალიტერატურო ენა და პერსონაჟის მეტყველება, ქართული სალიტერატურო ენისა და სტილის საკითხები, 1956 წ. გვ. 70.

87. Общее языкознание, М., 1970, ст. 478.

88. ო. ურიდია, გიორგი ერისთავის კომედიების პერსონაჟთა მეტყველებისათვის თსს „პროზები“, ტ. 67. 1967 წ.

შეგინახამ, სულ ყაბლუ ფლავს გაკმევ, ჩემი ცოლი ისეთი რამეები იცის:
მურაბე, ნუყლი...



ავანე: — პასმოტრიმ, ესლი ანა ხარაშა!

ენის ტიპი და სტილისტიკური კატეგორიების ფუნქციონირება

აღდამიანს ენის (მეტყველების) საშუალებებით უხდება ბუნებისა და საზოგადოებრივი საგან-მოვლენათა შესწავლის შედეგების გადმოცემა. შედეგები მრავალნაირია იმის გამო, რომ შესწავლის მიზანდასახულობაც მრავალმხრივია. რომელიმე საზოგადოებრივი მოვლენა ობიექტია მეცნიერებისა და მხატვრული მწერლობისაც. მაგალითად: ბატონყმური ურთიერთობის გაუქმების შემდეგ როგორი დამოკიდებულება დამყარდა ყოფილ ბატონებსა და ყოფილ ყმებს შორის? ამ ვითარებას ისტორიკოსი გაარკვევს სხვა მიდგომით, მწერალი კი სხვაგვარად. ამის ცოცხალი მაგალითია ილია ჭავჭავაძის მოთხრობა „ოთარაანთ ქვრივი“.

ისტორიკოსიც და მწერალიც ერთ საერთო ენას მოიხმარენ მოვლენათა ურთიერთობის ჩვენებისათვის. მკვლევარის მიერ მიღებულ შედეგებს ეწოდება მეცნიერება, ხოლო მწერლის მიერ მიღებულს — ხელოვნება (სიტყვიერი ხელოვნება). მეცნიერი მიმართავს მოვლენათა ანალიზს და დასაბუთებას; მწერალი მოვლენების აღწერასა და სახეებით ჩვენებას.

არ არსებობს მეცნიერებისა და სიტყვიერი ხელოვნებისათვის ცალ-ცალკე ფონეტიკური, მორფოლოგიური-სინტაქსური და ჩვეულებრივი ლექსიკური ფონდის საშუალებები. მეცნიერების ყველა დარგი, სიტყვიერი ხელოვნების (მხატვრული მწერლობის) ყველა ენარი მოიხმარს ერთი საერთო ენის საშუალებებს. მიუხედავად ამისა, მეცნიერების ენასა და მხატვრული მწერლობის ენას შორის მაინც თვალსაჩინო განსხვავებაა. ეს განსხვავება სხვადასხვა ხასიათით მელავნდება. ამის შესაბამისად შეიძლება აღიარება, რომ არსებობს მეცნიერების ენის ტიპი, მხატვრული მწერლობის ენის ტიპი და სხვა.

ყოველი დარგის ენის ტიპს თავთავისი თავისებურება მოეპოვება. ამ თავისებურებათა შორის ერთ-ერთი არის სტილისტიკური კატეგორიების ფუნქციონირების ასპარეზი. ჩვენ აქ შევეხებით ენის (მეტყველების) ტიპებში სტილისტიკური კატეგორიების მოხმარების მიხედვით თავისებურებებს, რომელთა საფუძველზე გამოირჩევა ამა თუ იმ ტიპის სტილი.

უნდა ავლნიშნოთ, რომ ყველა დარგის მეცნიერებათა ენაც არ არის ერთნაირი. ამის შესაბამისად წარმოდგენილი იქნება პირობითად დაყოფა

დადასტურება:

ჰაი, ჰაი, რომ აევასრულებ! მაშ არ აევასრულებ!

(ალექსანდრე ყაზბეგი).

მწუხარება:

აფხუხ, ნინიაც თან რომ არ გაპყუა მაშინ ერისთავის ვაჟს!

(კონსტანტინე გამსახურდია).

დარდი:

ვამე, თუ შორს გზას წავიდე,
საგძლად ვერა-რა წავიღო?...
(დავით გურამიშვილი).

ოხვრა:

ეპ, ვის ესმის, თუ სადღაც მუშა კენესის?...
(გრიგოლ ორბელიანი).

ვახ, როგორ დროს მიღალატე,
გაგიწყდეს გამჟღელაია!

(ხალხური „არხენა“).

ბოღმა:

ეეპ, ჩემო მაზლო, ვისაც არა ჰყოლია, ის ვერც დაკარგავდა...
(ლადო მრელაშვილი).

ოი, როგორ მედიდური
მქონდა ტული ბავშვობის,
ოი, როგორ დაგემდურე,
ოი, როგორ დაგშორდი?

(მირზა გელოვანი).

ნაღველი:

ოპ რამდენი გამოცდილება მაკლია მე საცოდავსა?!
(ვაჟა-ფშაველა).

ეპ, ტიალი წუთისოფელი! რა მალე ამოსულა აქ ეკალი და კინკარი?!
(ლევან გოთუა).

სინანული:

ვაი, რა ჩქარა წავიდა იგი!
ვაი, რა ცოტა დავწერე წიგნი?!
(ხუტა ბერულავა).

ვაი, თქვენ, ჩემო ჩავლილო
სიყმაწვილისა წლებო!...

(მურმან ლებანიძე).

დაცინვა:

ეგ ყველაფერი ძალიან მოგისაზრებია... მარა რომ ეყოლოს, კაცო, შვი-
ლი... ხა, ხა, ხა! ...შვილი რომ ეყოლოს? სერიი არ იქნება? რას იზამ მაშინ,
პლატონ? ხა, ხა, ხა! — ხარხარებდა კირილე.

(დავით კლდიაშვილი).

ნიშნის მოგება:

ოლოლო, შენ ვერ გამოიციან!
(ილია ჭავჭავაძე).

შეცოდება-შებრალება:

ბეჩავ, ბიკო! ცოდვა არა ხარ ეგრე შებოჭილ-დაბოროკილებული?!
(ვახილ ბარნოვი).

შებრალება:

ბეჩა, თქვენ ტყუილა დეიხოცეთ ჯაერით თავი!
(ეგნატე ნინოშვილი).

გაბრაზება:

აა! არ გეტკინათ?! — და უფრო მაგრად მოუნაცვლა წკებლა.
(აკაკი წერეთელი).

ზიზღი:

ლომსა დაეუგმე ნაქნარი, ვარქვი: „არა ხარ ცნობასა,
შენ საყვარელსა რად აწყენ? ფუ, მავა მამაცობასა!“

(შოთა რუხთაველი).

გატება და გადააგდო, ფუ გამჟღელი გაგიწყდესა!

(ხალხური „არხენა“).

ფუ! შენს სამართალს, შენს სამსჯავროსა!...

(ილია ჭავჭავაძე).

ბბრძანებითობის (იმპერატიულობის) შორისდებულები:

ბრძანება:

წა, შეები ხატაელთა!

(შოთა რუხთაველი).

ბე, გაუშვი ახლა ხელი! — გასცა განკარგულება.

(ნოდარ დუმბაძე).

დაძახება:

არიჟა, მარჯვედ იყავი არ წაგივიდეს!

(აკაკი წერეთელი).

არიჟა, მათიაუ! მიშველე, შენი კვნესამე, მიშველე!

(ალექსანდრე ყაზბეგი).

მოწოდება:

ბე, მთებო გოლიათებო, გააღეთ კლდეთა კარები!

(ხუტა ბერულავა).

ჩჩევა-დარიგება:

ფარა კენტრუშით

ტყისკენ მიიწევს,

სალამოს ნისლი

გვერდით ჩაუვლის...

ო, ბეკეებო,

მგელს ნუ ივიწყებთ,

ო, ბეკეებო,—

თავს ნუ გაგივათ!
(ანა კალანდაძე).



გაფრთხილება:

სუ, სუ, ნაჩაღნიკმა არ გაიგონოს!

(**ეგნატე ნინოშვილი**).

ჩუ! — ეს ვისი ხმაა? — წაიჩურჩულეს ფოთლებმა და შრიალი შეწყვიტეს.

(**გიორგი ქუჩიშვილი**).

ჩუ, ფუტკარი ზუის კორდზე —
პირველ ყვავილისკენ ჩქარობს!

(**მურმან ლებანიძე**).

თხოვნა:

აბა, თუ ღმერთი გწამს, წამიკითხე, მეც გავიგონო!

(**ილია ჰავჭავაძე**).

დატუქვა:

აჰა, შე არ დასარჩენო, ამოისხი და ჩაიცივი!

(**ილია ჰავჭავაძე**).

გ. მიმართებითი შორისდებულთ

როგორც აღნიშნული გვაქვს, ერთი ჯგუფის შორისდებულებს ვუწოდეთ „მიმართებითი“.

„მიმართება“ გულისხმობს გარკვეულ ვითარებას, რომ მიქმელი რაიმე თვალსაზრისით დამოკიდებულებას ამჟღავნებს სხვასთან. ეს დამოკიდებულება სხვადასხვა ხასიათისაა. მიმართებითად მოხმარებული შორისდებულებები ზოგჯერ, ერთგვარ სიახლეს იჩენენ სხვა ჯგუფის შორისდებულებთან, მაგრამ მაინც ინარჩუნებენ განსხვავებულ იერს.

ფიცილის:

ფიცილის სათანადო იერი დაცულია შემდეგ ერთეულებში:

დედაშვილობას, ჩემმა მზემ, და-ძმობამ, ღმერთმანი და სხვა.

დედაშვილობას, აგრემც ღმერთი გიცოცხლებს შვილებს, შენ, ღვთის გულისათვის, დამანებე თავი, — ეხვეწებოდა დედა-ჩემი.

(**დანიელ ჯონქაძე**).

ღმერთმანი, რომ ასეა!

(**ილია ჰავჭავაძე**).

ხააღერხო:

უი, შენ კი გენაცვალოს დედა!

(**ვაჟა-ფშაველა**).

ჩემო ყველავე! — ეუბნებოდა ის მაშინ...

(**ალექსანდრე ყაზბეგი**).

მოკრძალება:

არა, შენი კვნესა-მე, არა მინდა-რა.

(**ალექსანდრე ყაზბეგი**).



არ ემჯობინება, შენი ჭირიშე, რომ წითელი ლაფშა ვუბოძოთ?
(აკაკი წერეთელი).

მორიდება-მოზოდიშება:
ოი, უკაცრავად, დამავიწყდა!
(დანიელ ჭონჭაძე).

მისალმება:
აი, გაგიმარჯოს, ჩემო გიორგი!
(ილია ჭავჭავაძე).

გამომშვიდობება:
ლაშე ნებისა, ამხანაგო ექიმო!
(კონსტანტინე გამსახურდია).

დალოცვა:
აქა მშვიდობა და გამარჯვება!
(რევაზ მარგანი).

ყველა მაგალითის მოყვანა არ არის საჭირო. წარმოდგენილითაც დას-
ტურდება შორისდებულების სტილისტიკური ფუნქცია.

ნ. სიტყვა-ტერმინი

ენაში არსებული ლექსიკური ფონდი სხვადასხვა ასპექტით ჯგუფდება. ზოგი სიტყვა (და ისიც უმრავლესობა) მიჩნეულია ჩვეულებრივ ერთეულად. სიტყვათა გარკვეული ნაწილი მნიშვნელობაზე მიუთითებს, მაგრამ, ამავე დროს, მკვეთრად აღნიშნავს სიტყვის ან გამოთქმის არსებით მხარეს, ე. ი. აღნიშნავს ცნებას. ყველა სიტყვა არ გამოხატავს ცნებას. ზოგჯერ ერთი და იგივე სიტყვა მეტყველებაში იხმარება, როგორც ჩვეულებრივი მნიშვნელობით, ასევე, როგორც ცნების გამოხატველი. მაგალითად, სიტყვა „მარილი“ ჩვეულებრივ მეტყველებაში ეწოდება ისეთ მასალას, რომელსაც იყენებენ, მაგალითად, კერძის შესანელებლად, მაგრამ იგივე სიტყვა „მარილი“ მეცნიერების ენაში გამოხატავს ცნებას და მასში იგულისხმება სხვადასხვა ელემენტის ნაერთი. მეცნიერების ენაში „მარილი“ ტერმინია. „საგნის არსებით ნიშან-თვისებას ცნება წარმოადგენს. ცნებაში ეს ნიშან-თვისებები განზოგადების შედეგადაა მიღებული“.⁸¹

მეცნიერების ენისათვის ტერმინი არის განსაკუთრებული შესაძლებლობა, ამის შესაბამისად სიტყვა-ტერმინი მიჩნეული უნდა იქნეს მეცნიერების ენის ტიპის დამახასიათებელ სტილურ ნიშნად. ამას ნათლად ადას-

81.ა. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, 1962 წ. გვ. 211.



ტურებს არნოდ ჩიქობავას სიტყვები: „ენაში არსებული ყველა სიტყვა არ არის ტერმინი. ცნების სახელს ტერმინი ეწოდება.“⁸²

ცნებების მეშვეობით ხდება მეცნიერული აზროვნება, ცხადია, მეცნიერულ აზროვნებას აუცილებლად სჭირდება ცნებების გამოხატველი სიტყვები, ანუ — ტერმინები. ენათმეცნიერებაში ცალკე დარგად გამოიყოფა ტერმინთა ერთობლიობის შესწავლა, რომელსაც ეწოდება ტერმინოლოგია.

ყოველ ცალკე მეცნიერებას აქვს თავისი ცნებები და, ამის შესაბამისად, არსებობს დარგობრივი ტერმინოლოგია. ყოველი ენის კულტურას განსაზღვრავს სიტყვა — ტერმინთა არსებობა. ამიტომ არის, რომ მეცნიერების ესა თუ ის დარგი შეუწელებელ ყურადღებას უთმობს სათანადო ტერმინების შექმნას და ცნების ზუსტად გამოხატვას. თუ გაეითვალისწინებთ არსებულ მდგომარეობას, ვნახავთ, რომ მოგვეპოვება ამა თუ იმ დარგის მეცნიერების ტერმინთა ლექსიკონები. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარება თანდათან ამღიდრებს ტერმინოლოგიის სფეროს.⁸³

თანამედროვე კულტურულ ენებში ტერმინთა გარკვეული ნაწილი საერთოა, ე. ი. ერთნაირი სიტყვა-ტერმინები მოიხმარება. ასეთი სიტყვები არ ითარგმნება, არამედ ერთნაირად რჩება: კომუნისში, პარტია, ატომი, ომის კანონი; რენტა, კოდი. სტილი, ფონეტიკა, ფიზიკა და სხვა. ზოგიერთი ტერმინი მიღებულია კონკრეტული ენის მასალის გამოყენებით: განტოლება, ძაბვა, უკუგდება, ქვემდებარე, და სხვა.

სამეცნიერო ენის ტიპი იყენებს აგრეთვე სიმბოლეს, როგორც ტერმინთა გარკვეულ და თავისებურ სახეობას.

ტერმინოლოგიური საშუალებანი წარმოდგენილია დარგობრივ ლექსიკონებში.

6. სტილიზაცია

ცალკე უნდა გამოიყოს სტილიზაციის საკითხები.

ენათმეცნიერების სტილისტიკა თითქოს არ უნდა შეეხოს სტილიზაციის საკითხებს, რადგანაც **სტილიზაცია** ცალკე კატეგორიას არ წარმოადგენს; მაგრამ მეტყველებაში არსებულ რიგ მოვლენებს სტილისტიკა მინც ვერ აუვლის გვერდს. მაგალითად, ზოგჯერ ტექსტის ენაში ან ზეზირად ნათქვამში გვხვდება არქაიზმები, დიალექტიზმები, ეარგონიზმები და სხვა. ცხადია, ასეთი შემთხვევები ინტერესს იწვევს ენათმეცნიერების სტილისტიკის თვალსაზრისითაც.

82. ა. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, 1952 წ. გვ. 211.

83. ალ. ვლენტი, ლექსიკოლოგია და ლექსიკოგრაფია, 1964, გვ.



ენის (მეტყველების) გარკვეულ მონაცემში სტილიზაციის მიზნით სა-
განგებოდ მიმართავენ არქაიზმების გამოყენებას; ზოგჯერ ეს ზერხი შე-
სამჩნევი სიხშირით არის წარმოდგენილი. ცხადია, არქაიზმების მოხმარე-
გას ის მიზანი აქვს, რომ შეიქმნას სათანადო ელფერი; რა თქმა უნდა,
ასეთივე მიზანდასახულობა იწვევს დიალექტიზმების, ანუ კუთხური მე-
ტყველებისათვის დამახასიათებელ თავისებურებათა გამოყენების შე-
მთხვევებსაც. ცნობილია, რომ მწერლები თავიანთი ნაწარმოების პერსო-
ნაჟებს დიალექტის ნორმებით ალაპარაკებენ. აქ მიზანია მეტყველების
სტილიზაცია.

არქაიზმი

არქაული ნიშნავს მოძველებულს. ამა თუ იმ ენამ ხელი შეიძლება აი-
ღოს რომელიმე სიტყვის ან გრამატიკული წესისა და მისი საშუალების
მოხმარებაზე. ეს „მოძველებული“ „ინახება“ ძველი მწერლობის ტექსტე-
ბის ენაში. თუ, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ვინმემ ეს „მოძველე-
ბული“ ისევ შემოაბრუნა ენაში, მაშინ ის იქნება არქაიზმი. როგორც აღ-
ნიშნული გვაქვს, არქაიზმების მოხმარებას სტილიზაციის მიზანდასახუ-
ლება აქვს: როდესაც ვეცნობით მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის, ე. წ.
რომანტიკოსების შემოქმედებას, ხშირად გვხვდება არქაიზმები. რომან-
ტიკოსებისათვის დამახასიათებელი იყო წარსულის იდეალიზაცია და ამ
სფეროში ენაც უწევდათ დახმარებას. მწერალი, რომელიც ისტორიის თე-
მაზე წერს, ზოგჯერ სტილიზაციის მიზნით არქაიზმებსაც მიმართავს; მა-
გალითად: ვასილ ბარნოვი, კონსტანტინე გამსახურდია და სხვა.⁸⁴

დიალექტიზმები

დიალექტის, კუთხური კილოს, ენობრივი მონაცემები თვალნათლივ
უპირისპირდება სალიტერატურო მეტყველებას, რომლის საყოველთაოდ
მიღებული ნორმების დაცვა ევალება ყველა მწერალს. თუ სალიტერატუ-
რო ენის ნორმა დაირღვა, ვუწუნებთ მთქმელს ენას. მაგრამ თუ მწერალ-
მა პერსონაჟის სახის უფრო მკვეთრად ჩვენებისათვის მისი კუთხის დია-
ლექტიზმებიც მოიხმარა, ამას გამართლება აქვს, როგორც სტილიზაციის
საშუალებას. ასე გვხვდება ილია ჭავჭავაძის „გზავრის წერილებში“ მო-

⁸⁴ ე.კოშორიძე, ვასილ ბარნოვის ენა ისტორიული რომანების მიხედვით, 1966 წ.

ქალური და მამაკაცური მეტყველების იმპრი

ზოგჯერ ცდილობენ, რათა ცალკე გამოყონ ქალური და მამაკაცური ენის თავისებურებანი. მაგალითად: ლუარსაბი არასოდეს არ ამბობს: ქა! მაგრამ ასეთი მიმართვა დარეჯანისათვის ჩვეულებრივია.

— ქა! ბაბალეს კამეჩი მეველეებს დაუმწყვდევიათ და გემუდარება, — გამოაშვებინეო!

დარეჯანი არასოდეს არ ამბობს: „ვეეო!“, მაგრამ ლუარსაბს ხშირად მიუმართავს ამ სიტყვისათვის.

ლუარსაბისა და დათოს საუბრის ერთ-ერთი მაგალითი:

— რატომ ბეგარისა ხუთმეტი არ არის? — ხუთმეტი ჩვენ კაცობაში თავის გაჩენაში არ შებმულა, შენი ჭირიმე, დღეს საიღამ იქნებოდა?!

— ხუთმეტი უნდა ყოფილიყო, ვეჟო! რატომ არ არის?! მე არ ვიცო ხუთმეტი უნდა ყოფილიყო. როგორ იქნება? ბატონს სამსახური უნდა მაშ მე ბატონი აღარ ვყოფილვარ?! გაგონილა!... ფიე! ხუთმეტი უნდა ყოფილიყო, მე ვუჩვენებ იმათ, რომ მე ბატონი ვარ და ისინი ყმები არიან!⁸⁶

ქარბონი

ქარგონი, ანუ რომელიმე კლასის ან წრის მეტყველების თავისებურებანი, ხშირად არის მოხმარებული ცალკეული ნაწარმოების ენაში. ასეთ შემთხვევებს სტილიზაციის მიზანდასახულობა აქვს.⁸⁷

გიორგი ერისთავის „გაყრაში“ ხშირია ქარგონის მოხმარება.⁸⁸

ივანე (სიცილით უყურებს): „— მაშ ნიშანი უნდა გქონდეს! აბა, გნახო ლორის ყურები გასხია, თუ არა?“

მიკირტუმ: — ეე, კნიაზ! მასხარა ჰა! კნიაზჯან, ერთი ნსტეცეჟი, (და სხდებიან): ექვსი თუმანი შენი ვალი, ეს დავხიოთ; ხუთასი თუმანიც რამეები მზითევი მოგცე; ასი თუმანი ჭიბის ფული, კნიაზის მზემ, ასე აზიზ

85. შ. ძიძიგური, საენათმეცნიერო საუბრები, თბ. 1975 წ. გვ. 189.

86. ზ. ჭუმბურიძე, სალიტერატურო ენა და პერსონაჟის მეტყველება, ქართული სალიტერატურო ენისა და სტილის საკითხები, 1856 წ. გვ. 70.

87. Общее языкознание, М., 1970, ст. 478.

88. ო. ურიდია, გიორგი ერისთავის კომედიების პერსონაჟთა მეტყველებისათვის „პრობები“, ტ. 87. 1967 წ.

შეგინახამ, სულ ყაბლუ ფლავს გაკმევე, ჩემი ცოლი ისეთი რამეები იცის!
მურაბე, ნუყლი...



ივანე: - პასმორტიმ, ესლი ანა ხარაშა!

ენის ტიპი და სტილისტიკური კატეგორიების ფუნქციონირება

ადამიანს ენის (მეტყველების) საშუალებებით უხდება ბუნებისა და საზოგადოებრივი საგან-მოვლენათა შესწავლის შედეგების გადმოცემა. შედეგები მრავალნაირია იმის გამო, რომ შესწავლის მიზანდასახულობაც მრავალმხრივია. რომელიმე საზოგადოებრივი მოვლენა ობიექტია მეცნიერებისაც და მხატვრული მწერლობისაც. მაგალითად: ბატონყმური ურთიერთობის გაუქმების შემდეგ როგორი დამოკიდებულება დამყარდა ყოფილ ბატონებსა და ყოფილ ყმებს შორის? ამ ვითარებას ისტორიკოსი გაარკვევს სხვა მიდგომით, მწერალი კი სხვაგვარად. ამის ცოცხალი მაგალითია ილია ჭავჭავაძის მოთხრობა „ოთარაანთ ქვრივი“.

ისტორიკოსიც და მწერალიც ერთ საერთო ენას მოიხმარენ მოვლენათა ურთიერთობის ჩვენებისათვის. მკვლევარის მიერ მიღებულ შედეგებს ეწოდება მეცნიერება, ხოლო მწერლის მიერ მიღებულს - ხელოვნება (სიტყვიერი ხელოვნება). მეცნიერი მიმართავს მოვლენათა ანალიზს და დასაბუთებას; მწერალი მოვლენების აღწერასა და სახეებით ჩვენებას.

არ არსებობს მეცნიერებისა და სიტყვიერი ხელოვნებისათვის ცალ-ცალკე ფონეტიკური, მორფოლოგიური-სინტაქსური და ჩვეულებრივი ლექსიკური ფონდის საშუალებები. მეცნიერების ყველა დარგი, სიტყვიერი ხელოვნების (მხატვრული მწერლობის) ყველა ჟანრი მოიხმარს ერთი საერთო ენის საშუალებებს. მიუხედავად ამისა, მეცნიერების ენასა და მხატვრული მწერლობის ენას შორის მაინც თვალსაჩინო განსხვავებაა. ეს განსხვავება სხვადასხვა ხასიათით მქლავნდება. ამის შესაბამისად შეიძლება აღიარება, რომ არსებობს მეცნიერების ენის ტიპი, მხატვრული მწერლობის ენის ტიპი და სხვა.

ყოველი დარგის ენის ტიპს თავთავისი თავისებურება მოეპოვება. ამ თავისებურებათა შორის ერთ-ერთი არის სტილისტიკური კატეგორიების ფუნქციონირების ასპარეზი. ჩვენ აქ შევეხებით ენის (მეტყველების) ტიპებში სტილისტიკური კატეგორიების მოხმარების მიხედვით თავისებურებებს, რომელთა საფუძველზე გამოირჩევა ამა თუ იმ ტიპის სტილი.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა დარგის მეცნიერებათა, ენაც არ არის ერთნაირი. ამის შესაბამისად წარმოდგენილი იქნება პირობითად დაყოფა

და ცალკეულის დახასიათება სტილური ნიშნების მოხმარების თვალსაზრისით.



ზუსტი მეცნიერების ენის ტიპის სტილი

ზუსტი მეცნიერებებია: მათემატიკა, ასტრონომია; ცხადია, ისეთი ახალი დარგებიც, როგორც არის კოსმოსის დაპყრობის ტექნიკური საშუალებები, გამომთვლელი (კომპიუტერული) ტექნიკა და სხვა.

რა თქმა უნდა, „ზუსტი“ პირობითად უნდა იქნეს გაგებული, თორემ სიზუსტე ყველა ტიპის ენას მოეთხოვება. ყოველ შემთხვევისათვის მსაზღვრელი „ზუსტი“ ერთგვარ მიმართებაშია მხატვრული მწერლობის ტიპთან და მითითებაა იმაზე, რომ ზუსტ მეცნიერებათა ენაში, არ არის მიზანშეწონილი და არც არის შესაძლებელი, გამოყენებული იქნას ისეთი სტილური ნიშნები, როგორც არის ტროპის სახეობები: მეტაფორებით, პერიფრაზებით, პიპერბოლებითა და სხვა საშუალებებით დედამიწის თანამგზავრთა და კოსმოსური ხომალდების გაშვება-დაბრუნება შეუძლებელი იქნებოდა. ძველმა ბერძენმა სტილისტიკოსებმაც კი კარგად იცოდნენ, რომ ზუსტი მეცნიერების ენის ტიპში ტროპები არ გამოიყენება.⁸⁹

„ყოველ მეცნიერებაში სტილს მცირე მნიშვნელობა ეძლევა, რადგან საკითხის ნათელსაყოფად განსხვავება ისაა, თუ როგორ იხმარ სიტყვას. ამის მნიშვნელობა კი არც თუ ისე დიდია, რადგან მისი მიზანია წარმოდგენის შექმნა და მსმენელზე შთაბეჭდილების მოხდენა. ამიტომ ამ ხერხს არ იყენებენ გეომეტრიის სწავლების დროს“⁹⁰

ზუსტი მეცნიერების ენის ტიპისათვის დამახასიათებელია ტერმინებისა და სიმბოლოების მოხმარება.

საქმიანი დოკუმენტების ენის ტიპის სტილი

საქმიან დოკუმენტებად მიჩნეულია სხვადასხვა სახის ოფიციალური ერთეულები; მაგალითად: სხვადასხვა ორგანიზაციების დადგენილებები, სამთავრობო უწყებების გადაწყვეტილებანი, ბრძანებულება და სხვანი. საქმიანი დოკუმენტების ენის ტიპის ნიშნები ახლოს არის ზუსტი მეცნიე-

89. Особенности стиля научного изложения, М., 1976.

90. არისტოტელე, რიტორიკა, ძველბერძენულიდან თარგმნა, შესავალი წერილი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო თამარ კუკაეამ, რედაქტორი ა. ურუშაძე, 1981 წ. გვ. 166.



რების ენასთან. თავისი ხასიათის შესაბამისად საქმიანი და კომუნისტების
ენის ტიპის სტილს განსაზღვრავს სათანადო ტერმინებისა და სპეციალ-
ური ლექსიკის მოხმარება.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ენის ტიპის სტილი

ცალკე უნდა გამოიყოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი. საბუნე-
ბისმეტყველო მეცნიერებად მიჩნეულია ყველა დარგი, რომელიც კი სწავ-
ლობს ბუნების საგნებსა და მოვლენებს; ასეთებია: ფიზიკა, ქიმია, ბიო-
ლოგია, ფიზიოლოგია, მინერალოგია... და სხვა.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ყოველ ცალკე დარგს თავისი სპე-
ციფიკური ტერმინები მოეპოვება.

შეიძლებადა, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი გაერთიანებუ-
ლიყო „ზუსტ“ მეცნიერებათა წრეში, მაგრამ ცალ-ცალკე გამოყოფა პი-
რობითად მაინც გამართლებულია უფრო მეტი სიცხადისა და გარკვეუ-
ლობის თვალსაზრისით.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა ენის ტიპის სტილი.

საზოგადოებრივი მეცნიერება თუ იგი სწავლობს საზოგადოებრივ
(სოციალურ) მოვლენებს, საზოგადოებრივ მეცნიერებათა სტილს მიე-
კუთვნება: ფილოსოფია, ფსიქოლოგია, პოლიტიკური ეკონომია, სამარ-
თალმცოდნეობა, სამოქალაქო ისტორია, პედაგოგიკა, ესთეტიკა, ლიტე-
რატურისმცოდნეობა, ლინგვისტიკა და სხვ.

საზოგადოებრივი მეცნიერებანი, როგორც მეცნიერებანი, ცხადია, გუ-
ლისხმობს, რომ თავიანთი ხასიათის შესაბამისად მოიხმარენ სპეციალურ
ტერმინებსაც. მაგრამ საზოგადოებრივი მეცნიერების ენაში უფრო მეტი
შესაძლებლობაა, რომ სხვა სტილისტიკური კატეგორიებიც იქნეს გამო-
ყენებული. საზოგადოებრივი მეცნიერების ენის ტიპში შეგვხვდება ტრო-
პები, გამეორებები, მოდალური საშუალებანიც; განსაკუთრებით მაშინ,
თუ ადგილი აქვს პაექრობას, პოლემიკასა და სხვა. მაგრამ ყოველივე ეს
დამატებითი საშუალებებია. რა თქმა უნდა, საზოგადოებრივი მეცნიერე-
ბის ენის ტიპისთვისაც ძირითადია საკუთარი და სპეციალური ტერმინე-
ბი.

პუბლიცისტიკის ენის ტიპის სტილი



პუბლიცისტური ხასიათის ნაწერები უპირატესად შექმნილია საზოგადოებრივ თემებზე. პუბლიცისტური კონკრეტული მასალის ენა უახლოვდება სათანადო დანიშნულების საზოგადოებრივი მეცნიერების ან თუ იმ დარგის ენას. შეიძლება, რომ პუბლიცისტური დანიშნულების აღმოჩნდეს სხვა ენის ტიპის მონაცემები, მაგალითად: გაზეთების, ჟურნალების ფურცლებზე შეხვედებით საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა შინაარსის ნაწერებსაც. ცხადია ასეთ შემთხვევებში უპირატესად მოხმარებული იქნება შესაბამისი ტიპის ტერმინები.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, პუბლიცისტიკის ენა, შედარებით, ძალზედ შეზღუდული არ არის, რომ მოიხმაროს: ტროპები, სინონიმები, გამეორებები და სხვა.

სიტყვიერი ხელოვნების ენის ტიპის სტილი

სიტყვიერი ხელოვნება მრავალფეროვან სამყაროს გულისხმობს. „მხატვრული სიტყვის“ სახეობებია: პოეზიის ნიმუშები (ლირიკა), პოემა, პროზაული ნაწარმოები (მოთხრობა, რომანი და სხვა), დრამატული ქმნილებები და სხვა.

თავის შინაგანი სიმდიდრით სიტყვიერი ხელოვნების, ანუ როგორც ჩვეულებრივად უწოდებენ — მხატვრული შემოქმედება, მრავალმხრივია. ცხადია, ენობრივი საშუალებების ფუნქციონირებაც მეტ-ნაკლებად განსხვავდება ენობრივი სპეციფიკის მიხედვით. მაგრამ, ყველა ენისათვის, საერთო დამახასიათებელი ის არის, რომ სინამდვილის მოვლენები და მათი ურთიერთობანი გამოხატულია სახეების მეშვეობით.

სიტყვიერი ხელოვნების ძეგლში სახეების შექმნა ხორციელდება სხვადასხვა საშუალებებით. ამ თავისებურებას არსებითი მნიშვნელობა აქვს ენის (მეტყველების) საშუალებების მოხმარების თვალსაზრისითაც.

სიტყვიერი ხელოვნების ენის ტიპის დამახასიათებელი და სპეციფიკურიც არის: ტროპების, სინონიმების, გამეორებების, მოდალური საშუალებების, სტილიზაციის ხერხების მოხმარების მეტ-ნაკლები ასპარეზი.

მიუხედავად ამისა, საჭიროების შემთხვევაში, სიტყვიერი ხელოვნების ენა უარს არ ამბობს ისეთი სპეციალური ნიშნის შესახებ, — როგორც არის ტერმინები და სხვა. მაგრამ ამას საგანგებო და ორიგინალური სა-

ფუძვლები აქვს. ამის კარგი მაგალითი ჩანს ელადიმერ მაიაკოვსკის გა-
ლაკტიონ ტაბიძის და სხვათა შემოქმედებაში.⁹¹
სხვა ყველა თავისებურებას რომ არ გაეწიოს ანგარიში, სიტყვიერო სე-
ლოენების სფეროში ისიც საკმარისია, რომ აქ ხდება დღეწიით თქმის უამ-
რავი მაგალითი და ამასთან დაკავშირებული სხვა ნიშან-თვისებებიც.

სასაუბრო ენის ტიპის სტილი

ზოგჯერ „სასაუბრო ენად“ მიიჩნეოთ საერთოდ, „სახალხო“ მოხმარე-
ბული ენის სახეობა, — დაახლოებით ისეთი, ცალკეულ დიალექტებში
(კილოებში) რომ გამოვლინდება. „ხალხური ენა“ ერთგვარად ფართო
ცნებაა და გაიგავება „სასაუბრო ენასთან“ არ იქნება მართებული.

„სასაუბრო ენას“ ძალზე მკვეთრი თავისებურებანი ახასიათებს განსა-
კუთრებით თანამედროვე დონეზე, როდესაც სალიტერატურო ენა ასე
ფართოდ შეიჭრა ადამიანთა ყოფა-ცხოვრებაში. ახლა „სასაუბრო ენას“
— ეს იქნება ოჯახში, კოლექტივში, აუ სხვა — ახასიათებს სალიტერატუ-
რო მეტყველების ნორმების დაცვის მოთხოვნები. აგრეთვე საუბარი შე-
იძლება სხვადასხვა დარგის თემაზე და ამის შესაბამისად.

„სასაუბრო ენად“ — პირობით მიჩნეულ უნდა იქნას „შინაურ წრეებში“
გამოყენებული მეტყველების სახეობა, — ეს არის ოჯახური წრის, მეგობ-
ბარ-ამხანაგთა წრის წევრთა საურთიერათო ენობრივი საშუალებები.⁹²

ყოველივე ამის შესაბამისად „სასაუბრო ენის“ ტიპი, ერთგვარად მა-
ინც, პირობითი მონაცემია და მისთვის შეუძლებელი არ არის, იყენებდეს
სხვადასხვა ენის ტიპის სპეციფიკურ საშუალებებსაც.⁹³

როგორც ჩანს, სტილისტიკური კატეგორიების ფუნქციონირების ასაპა-
რეზის თავისებურებანი განსაზღვრავს მეტყველების ტიპებად დაყოფის
საჭიროებას. ჩანს, აგრეთვე ის, რომ ცალკეულ ტიპს შორის გარდაუვალი
საზღვარი არ არსებობს; თუ საჭიროება მოითხოვს, ცალკეული ტიპის
სტილური საშუალებები შეიძლება მოხმარებული იქნეს მიზნობრივად,
ზოგჯერ გამონაკლისის სახით და სხვა.

91 რ. შამელაშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ ენის საკითხები, 1977 წ. გვ. 65.

92. Литературная норма и просторечье, М., 1977.

93. აღ. ლლონტი, ხალხური პოეზიისა და სტილის საკითხები, 1976 წ.



ზეპირი თუ წერილი მეტყველების ანალიზი მიზნად ისახავს, რომ გამოავლენდეს, რომელი სახეობის სიტყვები მრავალფეროვანიაა ისინი განვლილის, სინტაქსის, ლექსიკის, სტილის

ველი მონაცემის ლინგვისტური მის და დაახასიათოს ის საშუალოობრი გამოიტავა. ეს საშუალოებებიდან ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსის, ლექსიკის, სტილის

ნათქვამის ლინგვისტური ანალიზის ფუნქციონირების შეგნებული გააზრება-განზოგადება.

ჩრითადი მიზანია საშუალოებების მათი ამოცნობა და დაახასიათება.

სასწავლებლებში ლიტერატურის ნიმუშების გაცნობისას მეთოდოლოგიად წარმართავენ ე. წ. სალექსიკონო მუშაობას; ეს სამუშაო გულისხმობს გაუგებარი ან სემანტიკურად დასაბუხსტებელი სიტყვების და გამოთქმების „მიგნებას“, გამოცალკეების და გააზრებას. ეს არის უაღრესად პრაქტიკული ამოცანა, რომ „გუგებარმა“ ხელი არ შეგვიშალოს ნაწარმოების სოფეკტური, იდეურ-მხატვრული ასპექტებით დაუფლებაში; აგრეთვე უაღრესად პრაქტიკულია იმ მხრივ, რომ ვამდიდრებთ მოსწავლის, როგორც გონებრივ მხარეს, აგრეთვე სამეტყველო საშუალებათა სფეროს.

მეთოდოლოგიური საკითხია, თუ როგორ ამოუხსნათ კატეგორიის ფუნქცია და როდის, როგორი განმარტება მოეცეზნოს მათ.

ზოგჯერ შეიძლება დავუმალო ვიღაც ამით, რომ სტილისტიკურ კატეგორიას სემანტიკური მიხვედრითაა მათწავლე და თავი ავარიდოთ მოვლენის ხახედის დარჩმევა და სათანადო ფორმულირებას. მაგალითად: ამოვიცანით მეტაფორის შინაარსი, მაგრამ მეტაფორის განმარტება და ამ ცნების დაუფლება ჯერ ნაადრევეა ბავშვის გონებისა და განათლების დონისათვის.

მაგრამ, როდესაც მოსწავლე ასაკობრივად, განათლების დონით შესძლებს კატეგორიის სრულ დაუფლებას, მაშინ სემასიოლოგიურ ფუნქციისავე ამოხსნას და სავალდებულოც იქნება კატეგორიის განმარტებითი ფორმულირების ცოდნაც. მაგალითად: როგორ საშუალებას ეწოდება ეპითეტი, პერიფრაზი, გამეორება და სხვა.

მიღებული ცოდნა უნდა გამოვიყენოთ სისტემატური ვარჯიშის წყალობით. ახალგაზრდა უნდა შეიტყოს, რომ მიზნობრივად მმარობდეს სტილისტიკურ კატეგორიებს, როგორც ზეპირ, ასევე წერილის მეტყველებაში. მალე კლასტში მწერლობის ცალკეული ნიმუშის შესწავლა-შეფასებისას უნდა შეისწავლოს მოსწავლემ, რომ ხარისხობრივი მარკინებლების ერთ-ერთი საზომი ვახდეს მწერლის ენის სტილისტიკური დირსება.

მეთოდოლოგიური საკითხია, თუ როგორ ამოუხსნათ კატეგორიის ფუნქცია და როდის, როგორი განმარტება მოეცეზნოს მათ.

წინათქმა	3
შესავალი	4
სტილისტიკის საგანი და ადგილი ფილოლოგიის სხვა დარგთა შორის სტილი	8
ფუნქციური სტილისტიკა	10
ზოგადი სტილისტიკა	10
სტილისტიკური კატეგორიების საკიროებისათვის	11
ენის სტილი და „მხატვრული სტილი“	12
სალიტერატურო ენა	13
„მხატვრული მწერლობის“ ენა	14
ზეპირი მეტყველება და ნაწერის ენა	14
„წიგნური ენა“	15
„მეტყველების კულტურა“ და სტილისტიკა	15
„ობიექტური“ და „სუბიექტური“ სტილი	17
სტილისტიკის ტერმინები	17
სტილისტიკა და ფილოლოგიის სხვა დარგებზე	18
ენათმეცნიერების სტილისტიკის მეთოდისათვის	20
საანალიზო ტექსტის მოცულობა	20
სტილისტიკის საგანმანათლებლო მნიშვნელობა	21
სტილისტიკური კატეგორიები	22
1. ტროპი	22
2. სინონიმია (სინონიმკა)	48
3. გამეორება და მისი სახეობები	51
4. მოდალური საშუალებანი	56
5. სიტყვა-ტერმინი	69
6. სტილიზაცია	70
მეთოდური მითითებანი	78

Гвенцадзе Александр Эрстович
Общая стилистика
(на грузинском языке)

რედაქტორები: ნოდარ ნარსია, ნათელა ჭუფიძე
სამბატეო რედაქტორი ჯურამ ჯაკალაშვილი
ტექნიკური სოფიო ამირანაშვილი
რედაქტორ-ოპერატორი ლია თაბუკაშვილი
უფ. კორექტორი შავული კეზულაძე
კორექტორი იზოლდა დონაძე

მოწმად და დასაბეჭდად გამომცემლობაში კომპიუტერული ტექნოლოგიით.

МБ № 4263 учебное издание

ხელმოწერილია დასაბეჭდად 18.05.91. ქალაქის ზომა 60x84; ოფსეტის ქალაქის ოფსეტის ტური ბეჭდვა; ნაბეჭდი თაბახი 5 ; პირობითი ნაბეჭდი თაბახი 4,65; პირობ.საღებავ გატარება 4,86; სააღრ. - საგამომცემლო თაბახი 4,14
ტირაჟი 1 000

შეცვ. № 1028

ფასი 85 კაპ.

გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ქ.50
Издательство „Ганатлеба“, Тбилиси, ул. Чубинашвили 50

1991

საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სისტემის დეპარტამენტის ილია ქაეჭავაძის სახელობა თბილისის წიგნის ფაბრიკა გრ. ჩუბინაშვილის გამზარი №7
Тбилисская книжная фабрика им. И Чавчавадзе Департамента печати Республики Грузия, пр. Гр. Робакидзе №7.



ՆԱԿԱԾԵՆՈՒ
ՅՈՒՆԻՎԵՐՍԻՏԵՏ